დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM):

საქართველო საბოლოო ანგარიში 2014-2016

ლაშა გოგიძე
დამოუკიდებელი მკვლევარი

მეორე საბოლოო ანგარიში
Second End-of-Term Report

Open Government Partnership
INDEPENDENT REPORTING MECHANISM

This work is licensed under the Creative Commons Attribution 4.0 International License. To view a copy of this license, visit http://creativecommons.org/licenses/by/4.0/ or send a letter to Creative Commons, PO Box 1866, Mountain View, CA 94042, USA.

INDEPENDENT REPORTING MECHANISM (IRM): GEORGIA END-OF-TERM REPORT 2014-2016

Georgia has shown significant progress in increasing access to information through using open data and improving public participation mechanisms in decision-making. The three most important commitments — developing a separate Freedom of Information Act, a petitions web-portal for citizens, and an interactive crime statistics and map system — were not implemented by the government. These commitments were highly demanded by local civil society and directly addressed open government values of transparency, public accountability, and civic participation.

The Open Government Partnership (OGP) is a voluntary international initiative that aims to secure commitments from governments to their citizenry to promote transparency, empower citizens, fight corruption, and harness new technologies to strengthen governance. The Independent Reporting Mechanism (IRM) carries out a review of the activities of each OGP participating country. This report summarizes the results of the period July 2014 to June 2016 and includes some relevant developments up to September 2016.

In Georgia, the Ministry of Justice (MoJ) and its Analytical Department is in charge of coordinating the development and implementation of the OGP national action plan. However, this agency does not have legal power to enforce policy changes within other governmental agencies, especially given that the Head of Government, the Prime Minister, is not directly involved in the plan development and implementation. As a result of the MoJ's limited mandate, the action plan heavily focuses on public services, which are the responsibility of the Ministry's subordinated agencies. Further, the government has not dedicated a separate budget or staff to OGP, which is part of the existing expenditure programs under the state budget.

Civil Society Organizations (CSOs) were involved in the action plan development and implementation processes by participating in a multi-party interagency coordination mechanism called Georgia's Open Government Forum (Forum).

The Forum played a key role in developing Georgia's 2014-2015 national action plan. Specifically, Forum members were involved actively in planning and conducting OGP public consultation meetings across the country and incorporating public feedback into the final document. The Forum played a coordination and facilitation role in the development of the 2014-2015

TABLE 1: AT A GLANCE

NUMBER OF COMMITMENTS: 29

LEVEL OF COMPLETION

	MIDTERM	*END-OF-TERM*
COMPLETED:	12 (41%)	18 (62%)
SUBSTANTIAL:	7 (24%)	4 (14%)
LIMITED:	9 (31%)	7 (24%)
NOT STARTED:	1 (3%)	0 (0%)

NUMBER OF COMMITMENTS WITH:

CLEAR RELEVANCE TO OGP VALUES:	17 (59%)	17(59%)
TRANSFORMATIVE POTENTIAL IMPACT:	3 (10%)	3 (10%)
SUBSTANTIAL OR COMPLETE IMPLEMENTATION:	19 (66%)	22 (76%)
ALL THREE (✪):	2 (7%)	2 (7%)

MOVING FORWARD

COMMITMENTS CARRIED OVER TO NEXT ACTION PLAN:	5 (17%)

This report was prepared by Lasha Gogidze

OGP national action plan, including developing one commitment. However, the Forum lacked legal authority to compel government agencies to take OGP related actions, despite the fact that the commitments were approved by a special Government decree and hence, legally binding.

In July 2016, the MoJ published for public comment the first draft of the 2016-2017 OGP national action plan for Georgia's third cycle.[1] On 24 October 2016, the MoJ shared with stakeholders, including the IRM researcher, the second updated draft. The information provided below is based on this latest draft and details whether remaining commitments were carried over to the third national action plan.

The Georgian government carried over five commitments to the next 2016-2017 action plan with no significant modifications. These include the development of the new Freedom of Information (FoI) law, implementing a monitoring system for public officials' asset declarations, a new communication channel to connect with the Emergency Center 112 and two commitments on increasing transparency of surveillance and procurement data. CSOs and the IRM researcher deemed three commitments to be most important: developing a separate Freedom of Information Act, an online petitions portal, and an interactive crime statistics and maps system. However, these were not implemented by the government and only the FoI commitment was carried over to the next action plan, according to the latest draft as of October 2016.[2]

[1] "2016-2017 Draft OGP Action Plan" (Ministry of Justice), http://bit.ly/2b3h5FS.
[2] MoJ, "2016-2017 Draft OGP Action Plan", http://bit.ly/2b3h5FS.

Table 2: Overview: Assessment of Progress by Commitment

COMMITMENT OVERVIEW	SPECIFICITY				OGP VALUE RELEVANCE				POTENTIAL IMPACT				COMPLETION		MIDTERM / END-OF-TERM		DID IT OPEN GOVERNMENT?				
	None	Low	Medium	High	Access to Information	Civic participation	Pubilc Accountability	Technology & Innovation for Transparency & Accountability	None	Minor	Moderate	Transformative	Not started	Limited	Substantial	Completed	Worsened	Did not change	Marginal	Major	Outstanding
1.A. Travel insurance services				✗	Unclear					✗			✗					✗			
																✗					
1.B. State property registration				✗	Unclear					✗				✗				✗			
																✗					
3. JUSTdrive				✗	Unclear					✗						✗		✗			
																✗					
4. Educational services			✗		Unclear					✗				✗				✗			
														✗							
5. Citizen's Portal – www.mygov.ge			✗		Unclear					✗				✗				✗			
														✗							
8. Digital signature and online authentication				✗	Unclear					✗				✗				✗			
														✗							
9. Open data portal – data.gov.ge			✗		✗						✗				✗				✗		
															✗						
15. Political party financial declarations				✗	✗							✗				✗				✗	
																✗					
2. "Voice of the Consumer"				✗		✗	✗				✗					✗			✗		
																✗					
12. I-Change.ge				✗		✗	✗					✗		✗				✗			
														✗							
6.A. Development of Community Centers in Georgia				✗		✗					✗					✗				✗	
																✗					

COMMITMENT OVERVIEW	SPECIFICITY				OGP VALUE RELEVANCE				POTENTIAL IMPACT				COMPLETION		MIDTERM / END-OF-TERM		DID IT OPEN GOVERNMENT?				
	None	Low	Medium	High	Access to Information	Civic participation	Pubilc Accountability	Technology & Innovation for Transparency & Accountability	None	Minor	Moderate	Transformative	Not started	Limited	Substantial	Completed	Worsened	Did not change	Marginal	Major	Outstanding
6.B. Introduction of e-Governance in Local Self-Governments				✗	Unclear					✗					✗			✗			
															✗						
7. Transformation of public libraries for regional development			✗		Unclear					✗					✗				✗		
																✗					
21. Digital HR management system				✗	Unclear				✗					✗				✗			
															✗						
25. Public finance management system				✗	Unclear				✗							✗		✗			
																✗					
22. Digital preservation system: e-Archive			✗		Unclear					✗				✗				✗			
														✗							
23. Openness and accessibility of archives				✗	✗					✗					✗				✗		
																✗					
24. Electronic catalogues of MIA archives				✗	✗					✗				✗					✗		
																✗					
26. Alternate channels to "112"				✗	Unclear						✗					✗		✗			
																✗					
27. Interactive statistics and crime mapping				✗	✗			✗			✗			✗				✗			
														✗							
10. Freedom of Information Act Draft				✗	✗					✗					✗			✗			
														✗							
11. Georgia's OGP Forum				✗		✗	✗			✗						✗				✗	
																✗					

COMMITMENT OVERVIEW	SPECIFICITY				OGP VALUE RELEVANCE				POTENTIAL IMPACT				COMPLETION		MIDTERM	END-OF-TERM	DID IT OPEN GOVERNMENT?				
	None	Low	Medium	High	Access to Information	Civic participation	Pubilc Accountability	Technology & Innovation for Transparency & Accountability	None	Minor	Moderate	Transformative	Not started	Limited	Substantial	Completed	Worsened	Did not change	Marginal	Major	Outstanding
13. Transparency of public recruitment				✗	✗	✗	✗				✗					✗			✗		
																✗					
14. Asset declaration monitoring system		✗			✗		✗				✗				✗			✗			
															✗						
16. Special needs access to Ministry of Interior's webpage				✗	✗						✗					✗					✗
																✗					
17. Proactive publishing of surveillance data				✗	✗							✗				✗					✗
																✗					
18. Electoral process awareness			✗		✗	✗					✗				✗					✗	
																✗					
19. Transparency of budgetary processes			✗		✗	✗					✗					✗		✗			
																✗					
20. Electronic system of procurement				✗	✗		✗				✗					✗			✗		
																✗					

დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი
საქართველო
საბოლოო ანგარიში 2014–2016

საქართველომ ღია მონაცემების მეშვეობით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდასა და გადაწყვეტილების მიღებაში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების შექმნაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. სამი ყველაზე მნიშვნელოვანი ვალდებულებაა: ინფორმაციის თავისუფლების ცალკე აქტის შემუშავება, მოქალაქეებისთვის ონლაინპეტიციების პორტალის შექმნა და დანაშაულის ინტერაქტიული სტატისტიკისა და კრიმინოგენური რუკის გამოქვეყნება. მათ შესრულებას ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად ითხოვდა. ეს ვალდებულებები პირდაპირ უპასუხებდა ღია მმართველობის ძირითად ღირებულებებს – გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებასა და მოქალაქეთა ჩართულობას.

ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) არის ნებაყოფლობითი საერთაშორისო ინიციატივა, რომლის მიზანია, მთავრობები მოქალაქეებისადმი უფრო ანგარიშვალდებული იყვნენ გამჭვირვალობის გაზრდით, მოქალაქეთა შესაძლებლობების გაძლიერებით, კორუფციასთან ბრძოლით და მმართველობის რეფორმისთვის ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით. დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM) აღნიშნული ინიციატივის წევრი თითოეული ქვეყნის მიერ ერთი წლის განმავლობაში განხორციელებულ ღონისძიებებს აანალიზებს. ეს ანგარიში აჯამებს შედეგებს 2014 წლის 1 ივლისიდან 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით პერიოდისთვის, ასევე მოიცავს 2016 წლის სექტემბრამდე მომხდარი ზოგიერთი შესაბამისი მოვლენის ანალიზს. საქართველოში OGP-ის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და შესრულების პროცესის კოორდინაციისთვის პასუხისმგებელია იუსტიციის სამინისტრო და მისი ანალიტიკური დეპარტამენტი. თუმცა ამ სამინისტროს არ აქვს სამართლებრივი ბერკეტი, რომ სხვა სამთავრობო უწყებებს დაავალოს მათ პოლიტიკაში ცვლილებების განხორციელება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მთავრობის მეთაური, პრემიერ-მინისტრი, უშუალოდ არ არის ჩართული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და შესრულების პროცესში. იუსტიციის სამინისტროს შეზღუდული მანდატის გამო სამოქმედო გეგმა მნიშვნელოვანწილად ორიენტირებულია საჯარო სერვისების მიწოდებაზე, რომლისთვისაც პასუხისმგებელი არიან ამ სამინისტროსადმი დაქვემდებარებული უწყებები. გარდა ამისა, მთავრობას არ გამოუყვია ცალკე ბიუჯეტი ან პერსონალი OGP-ისთვის, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის მიმდინარე პროგრამების ნაწილია.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და შესრულების პროცესში უწყებათაშორისი საკოორდინაციო მექანიზმის, ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის, მეშვეობით მონაწილეობდნენ.

ამ ფორუმმა ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის (მეორე სამოქმედო გეგმა) შემუშავებაში საკვანძო როლი შეასრულა. კერძოდ, ფორუმის წევრები აქტიურად იყვნენ ჩართული ქვეყნის მასშტაბით OGP-ის საჯარო საკონსულტაციო შეხვედრების დაგეგმვასა და ჩატარებაში და ამ შეხვედრებზე საზოგადოებისგან მიღებული კომენტარების საბოლოო დოკუმენტში გათვალისწინებაში. ფორუმმა კოორდინაცია გაუწია და ხელი შეუწყო მეორე სამოქმედო გეგმის შემუშავებას, მათ შორის, ერთი ვალდებულების საკუთარ თავზე აღებით. თუმცა ფორუმს არ აქვს მანდატი, დაავალდებულოს სხვა საჯარო უწყებები, OGP-სთან დაკავშირებული ღონისძიებები განახორციელონ, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ვალდებულებები მთავრობის შესაბამისი დადგენილებით განისაზღვრა.

ცხრილი 1: მოკლედ

ვალდებულებათა რაოდენობა: 29

შესრულების დონე

	შუალედური	*საბოლოო*
შესრულებული	12 (41%)	18 (62%)
არსებითი	7 (24%)	4 (14%)
შეზღუდული	9 (31%)	7 (24%)
არ დაწყებულა	1 (3%)	0 (0%)

იმ ვალდებულებათა რაოდენობა:

რომლებიც გარკვევით უკავშირდება OGP-ის ღირებულებებს	17 (59%)	17(59%)
რომელთაც ტრანსფორმაციული პოტენციური შედეგი აქვთ	3 (10%)	3 (10%)
რომლებიც არსებითად ან სრულად შესრულდა	19 (66%)	22 (76%)
რომლებიც სამივე ზემოაღნიშნულ პირობას აკმაყოფილებს (✪):	2 (7%)	2 (7%)

წინ გადასადგმელი ნაბიჯები

იმ ვალდებულებათა რაოდენობა, რომლებიც მომდევნო სამოქმედო გეგმაში იქნა შეტანილი	5 (17%)

2016 წლის ივლისში იუსტიციის სამინისტრომ საჯარო კომენტარებისთვის გამოაქვეყნა ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016–2017 წლების სამოქმედო გეგმის (მესამე სამოქმედო გეგმა) პირველი პროექტი.[1] 2016 წლის 24 ოქტომბერს იმავე სამინისტრომ დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის, IRM–ის მკვლევარს, სამოქმედო გეგმის მეორე, განახლებული ვარიანტი გააცნო. აღნიშნულ ვარიანტს ეფუძნება ამ ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, მათ შორის, იმის შესახებ, შეტანილ იქნა თუ არა შეუსრულებელი ვალდებულებები გეგმაში.

საქართველოს მთავრობამ მესამე სამოქმედო გეგმაში ხუთი შეუსრულებელი ვალდებულება გადაიტანა, ისე, რომ მათი შინაარსი მნიშვნელოვნად არ შეუცვლია. ეს ვალდებულებებია: ინფორმაციის თავისუფლების ახალი აქტის შემუშავება, საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის დანერგვა, გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრთან, „112"–თან, დაკავშირების ახალი ალტერნატიული არხების შექმნა და ორი ვალდებულება, რომლებიც ფარული მიყურადების მონაცემებისა და საჯარო შესყიდვების გამჭვირვალობის გაზრდას შეეხებოდა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და IRM–ის მკვლევრის აზრით, მეორე სამოქმედო გეგმაში ყველაზე მნიშვნელოვანი სამი ვალდებულება იყო: ინფორმაციის თავისუფლების ცალკე აქტის შემუშავება, მოქალაქეებისთვის ონლაინპეტიციების პორტალის შექმნა და დანაშაულის ინტერაქტიული სტატისტიკისა და კრიმინოგენური რუკის გამოქვეყნება. თუმცა მთავრობამ ეს ვალდებულებები ვერ შეასრულა. მათგან მხოლოდ ინფორმაციის თავისუფლების აქტის შემუშავების ვალდებულება იქნა შეტანილი მესამე სამოქმედო გეგმაში, მისი უკანასკნელი, 2016 წლის ოქტომბრის პროექტის მიხედვით.[2]

სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციები სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში

OGP–ის წევრი ქვეყნები OGP–ის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და შესრულების დროს კონსულტაციებისთვის დადგენილ პროცედურებს იცავენ.

სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდში კონსულტაციები იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით ტარდებოდა ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მეშვეობით, რომლის შეხვედრები ორ თვეში ერთხელ, თბილისში, სამინისტროს შენობაში იმართებოდა. ფორუმის მუშაობაში უფრო მეტი სამთავრობო უწყება ჩაერთო. არასამთავრობო ორგანიზაციებს საშუალება ჰქონდათ, უშუალოდ ამ უწყებებისთვის დაესვათ კითხვები და წამოეჭრათ საერთო მნიშვნელობის საკითხები. თუმცა პასუხისმგებელი უწყებებისთვის რეკომენდაციების მიწოდებაში ყველაზე აქტიური იმ ორგანიზაციათა მცირე ჯგუფი იყო, რომლებიც ღია მმართველობის სფეროში უკვე დიდი ხანია საქმიანობენ, სხვადასხვა სექტორში სპეციალიზებული ორგანიზაციები კი ამ პროცესში ჩართული არ იყვნენ. ამას გარდა, მას შემდეგ, რაც მთავრობამ ვერ შეძლო ისეთი მნიშვნელოვანი ვალდებულებების შესრულება, როგორებიცაა: ინფორმაციის თავისუფლების ცალკე აქტის შემუშავება, მოქალაქეებისთვის ონლაინპეტიციების პორტალის შექმნა და დანაშაულის ინტერაქტიული სტატისტიკისა და კრიმინოგენური რუკის გამოქვეყნება, არასამთავრობო ორგანიზაციები ფორუმის საქმიანობაში ნაკლები ენთუზიაზმით ერთვებოდნენ. 2016 წლის ივლისში იუსტიციის სამინისტრომ მესამე სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით საჯარო ონლაინკონსულტაციების პროცესი დაიწყო.

ცხრილი 2: სამოქმედო გეგმაზე კონსულტაციების პროცესი

მოქმედების ფაზა	OGP–ის პროცესის მოთხოვნა (OGP–ის სახელმძღვანელო დებულებების თავი)	შეასრულა თუ არა მთავრობამ ეს მოთხოვნა?
შესრულების პროცესში	იყო თუ არა რეგულარული ფორუმი შესრულების პროცესში?	დიახ
	კონსულტაციები ყველასთვის ღია იყო თუ მათში მონაწილეობა მხოლოდ მოწვევით შეიძლებოდა?	მხოლოდ მოწვევით
	მიუჩინეთ კონსულტაციებს შესაბამისი ადგილი IAP2–ის სკალაზე.	თანამშრომლობა

[1] საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016–2017 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი, http://bit.ly/2b3h5FS.
[2] საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016–2017 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი, http://bit.ly/2b3h5FS.

პროგრესი ვალდებულებების შესრულების პროცესში

IRM-ის ანგარიშში მოყვანილი ყველა ინდიკატორისა და შეფასების მეთოდის ნახვა შესაძლებელია IRM-ის პროცედურების სახელმძღვანელოში შემდეგ ბმულზე: http://bit.ly/2xblXjm. ერთი მეთოდი ახსნას საჭიროებს მისდამი მკითხველების განსაკუთრებული ინტერესის გამო და OGP-ის წევრი ქვეყნების წახალისებისთვის, რომ ისინი ერთმანეთს შეეჯიბრონ საუკეთესო შედეგების მიღწევაში. ეს მეთოდია „ვარსკვლავური“ ვალდებულება (✪). ასეთი ვალდებულებები OGP-სთვის სამაგალითო ვალდებულებებია. ვარსკვლავის მისაღებად ვალდებულებამ რამდენიმე კრიტერიუმი უნდა დააკმაყოფილოს:

1. ვალდებულება საკმარისად კონკრეტული უნდა იყოს, რომ მისი პოტენციური შედეგის გაანალიზება შეიძლებოდეს. „ვარსკვლავურ“ ვალდებულებას „საშუალო“ ან „მაღალი“ კონკრეტულობა უნდა ჰქონდეს.
2. ვალდებულების ტექსტმა მკაფიოდ უნდა გამოკვეთოს ვალდებულების ღია მმართველობასთან კავშირი. კერძოდ, ის უნდა უკავშირდებოდეს OGP-ის სულ მცირე ერთ ღირებულებას: ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მოქალაქეთა ჩართულობას ან ანგარიშვალდებულებას.
3. ვალდებულებას „ტრანსფორმაციული“ პოტენციური შედეგი ექნება, თუ ის სრულად შესრულდება.
4. სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდში ვალდებულების შესრულებაში მნიშვნელოვანი პროგრესი უნდა იქნეს მიღწეული, რაც გამოიხატება შეფასებით: „არსებითი“ შესრულება ან „სრული“ შესრულება.

ამ კრიტერიუმების მიხედვით, მეორე სამოქმედო გეგმის შუალედური შეფასებით საქართველოს ორი „ვარსკვლავური“ ვალდებულება ჰქონდა. სამოქმედო გეგმის საბოლოო შეფასებით, ვალდებულებების შესრულების დონის ცვლილებების გათვალისწინებით, „ვარსკვლავური“ ვალდებულება ათი იყო.

იმ ვალდებულებებმა, რომლებიც შუალედურ ანგარიშში „ვარსკვლავურ“ ვალდებულებებად შეფასდა, შეიძლება ეს სტატუსი დაკარგოს, თუ, საბოლოო ანგარიშის მიხედვით, მათი შესრულების დონე „არსებითი“ ან „სრული“ არ არის. ეს იმას ნიშნავს, რომ, მთლიანობაში, აღნიშნული ვალდებულებების ტექსტიდან გამომდინარე, მათი შესრულების დონე შეფასდა, როგორც „შეზღუდული“.

ამ ანგარიშში მოცემული ცხრილები შეიცავს მოკლე ინფორმაციას IRM-ის მიერ შუალედური ანგარიშების შედგენის პროცესში შეგროვებული ვრცელი მონაცემებიდან. საქართველოს შესახებ სრული ინფორმაციის სანახავად იხილეთ OGP-ის გზამკვლევი შემდეგ ბმულზე: www.opengovpartnership.org/explorer.

კითხვის „გახსნა ამან მთავრობა?“ შესახებ

ხშირად OGP-ის ვალდებულებების ტექსტი ბუნდოვანია ან მათი ღია მმართველობასთან კავშირი ცხადი არ არის, თუმცა ამ ვალდებულებების მიზანი მნიშვნელოვანი პოლიტიკური რეფორმების მიღწევაა. ამას გარდა, ზოგიერთი არსებითად შესრულებული ვალდებულება შეიძლება OGP-ის შესაბამისი და ამბიციური იყოს, მაგრამ მთავრობა ვერ გახსნას. ამ ნიუანსებისა და მთავრობის პრაქტიკაში მომხდარი ფაქტობრივი ცვლილებების გასათვალისწინებლად, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, IRM-მა საბოლოო ანგარიშებისთვის შეიმუშავა ახალი ინდიკატორი: კითხვა „გახსნა ამან მთავრობა?“. ამ ინდიკატორის მიზანია, შეაფასოს არა მხოლოდ მიღწეული შედეგები, არამედ ის, თუ რამდენად შეიცვალა მთავრობის პრაქტიკა ვალდებულების შესრულების შედეგად. იგი განსხვავდება IRM-ის „ვარსკვლავური“ ვალდებულებისგან, რომელიც პოტენციურ შედეგს აანალიზებს.

IRM-ის მკვლევრები კითხვით „გახსნა ამან მთავრობა?“ თითოეულ ვალდებულებას OGP-ის იმ ღირებულების მიხედვით აფასებენ, რომელსაც ეს ვალდებულება უკავშირდება. მთავარი კითხვაა, შეცვალა თუ არა ვალდებულებამ მთავრობის ჩვეულებრივი პრაქტიკა. ქვემოთ მოცემულია შეფასების სკალა:

- გააუარესა: მთავრობა ვალდებულების შესასრულებლად განხორციელებული ქმედებების შედეგად უფრო დახურული გახდა.
- არაფერი შეცვალა: მთავრობის არსებული პრაქტიკა არ შეცვლილა.
- მცირედი ცვლილება: მთავრობის პრაქტიკაში ცვლილება არის, თუმცა ის მთავრობის ღიაობაზე მცირე გავლენას ახდენს.
- მნიშვნელოვანი ცვლილება: ვალდებულების შესრულება შესაბამის სფეროში მთავრობის ღიაობის კუთხით წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა იგი შეზღუდული მასშტაბისაა.
- გამორჩეული: რეფორმამ შესაბამის სფეროში მთავრობის ღიაობის კუთხით ტრანსფორმაციული გავლენა მოახდინა, რამაც მთავრობის ჩვეულებრივი პრაქტიკა შეცვალა.

აღნიშნული ინდიკატორით შეფასებისას მკვლევრები სამოქმედო გეგმის შესრულების დაწყების დროს არსებულ, საბაზისო მდგომარეობას ადგენენ. შემდეგ ისინი იმას აფასებენ, თუ რამდენად გახსნა მთავრობა სამოქმედო გეგმის მიხედვით განხორციელებულმა ქმედებებმა.

მკითხველებმა ამ მეთოდის გარკვეული შეზღუდვები უნდა გაითვალისწინონ. IRM-ის საბოლოო ანგარიში სამოქმედო გეგმის შესრულებიდან მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ დგება. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი ძირითადად იმ შედეგებს

აანალიზებს, რომლებიც მთავრობის ღიაობის კუთხით დადგა სამოქმედო გეგმის ორწლიანი ციკლის დასრულების შემდეგ. ეს ანგარიში და ინდიკატორი, რთული მეთოდოლოგიური პროცესისა და შეზღუდული დროის გათვალისწინებით, მიზნად არ ისახავს ვალდებულების ზოგადი გავლენის შეფასებას.

ვალდებულებების ზოგადი მიმოხილვა

OGP-ის წევრი ყოველი ქვეყნის მთავრობა შეიმუშავებს მისი ქვეყნის OGP-ის ეროვნულ სამოქმედო გეგმას, რომელიც პირველ ორწლიან პერიოდზე გათვლილ კონკრეტულ ვალდებულებებს შეიცავს. საბოლოო ანგარიში შეფასებისთვის იყენებს დამატებით ინდიკატორს: „გახსნა ამან მთავრობა?". ქვემოთ მოცემული ცხრილები საბოლოო ანგარიშის შედგენის დროისთვის თითოეული ვალდებულების შესრულების დონეს და აღნიშნული ინდიკატორის კუთხით მიღწეულ პროგრესს აფასებს. იმ ვალდებულებებისთვის, რომლებიც, შუალედური ანგარიშის მიხედვით, უკვე შესრულებულია, მხოლოდ კითხვის „გახსნა ამან მთავრობა?" ანალიზია მოცემული. უკვე შესრულებული ვალდებულებების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ IRM-ის 2014-2015 წლების შუალედური ანგარიში: დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM): საქართველოს წინსვლის ანგარიში (2014-12015).

ვალდებულებების შესრულებისთვის პასუხისმგებლობა 16-მა საჯარო უწყებამ აიღო. მათგან 5 იუსტიციის სამინისტროს ექვემდებარება. ვალდებულებების შესრულებისთვის პასუხისმგებელი უწყებები არიან ასევე უზენაესი სასამართლო და 3 დამოუკიდებელი უწყება – სახელმწიფო აუდიტის სამსახური, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო), არჩევითი ორგანოები (პარლამენტი და საკრებულოები) კი ასეთ უწყებათა შორის არ არის. 2015 წლის აპრილში პარლამენტი ღია პარლამენტის შესახებ დეკლარაციას შეუერთდა და იმავე წლის ივლისში საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა (2015-2016) მიიღო.[1]

მეორე სამოქმედო გეგმა შეიცავს 29 ვალდებულებას, რომლებიც მთავრობამ OGP-ის ოთხი დიდი გამოწვევის (საჯარო მომსახურების გაუმჯობესება, საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება, სახელმწიფო რესურსების უფრო ეფექტიანად მართვა, უფრო უსაფრთხო საზოგადოების შექმნა) მიხედვით დააჯგუფა. თუმცა ამან ვერ უზრუნველყო იმ თემების ზუსტად წარმოდგენა, რომლებსაც ვალდებულებები რეალურად ფარავს. ზოგიერთი ვალდებულება, რომლებიც საჯარო მომსახურების ჯგუფში შედის, კერძოდ, „მომხმარებლის ხმა" და data.gov.ge, ღია მონაცემებისა და მოქალაქეთა ჩართულობისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საჯარო მომსახურების მიწოდებისთვის. მთავრობას ვალდებულებების დაჯგუფების დროს ეს თემები ნათლად არ გაუმიჯნავს. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულებები ოთხ დიდ გამოწვევას უპასუხებს, 29-დან 12-ს OGP-ის ღირებულებებთან კავშირი არ აქვს.

ვალდებულებების აღქმის გასაადვილებლად IRM-მა ისინი მეორე სამოქმედო გეგმისგან განსხვავებულად დააჯგუფა. კერძოდ, ვალდებულებები 16 თემის მიხედვით დაჯგუფდა. სამოქმედო გეგმა ასევე შეიცავს ზოგიერთ ვალდებულებას (მაგალითად, სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის გაფართოების ვალდებულებას), რომლის მსგავსი სხვა ვალდებულება გეგმაში არ არის. IRM-მა ასეთი ცალკე მდგომი ვალდებულებები დაჯგუფებული ვალდებულებებისგან განცალკევებით განათავსა. ამასთანავე, IRM-მა გააერთიანა თითოეული ვალდებულებისთვის შექმნილი ინდიკატორები, ამ ვალდებულებების ტექნიკური ხასიათიდან გამომდინარე.

შესაბამისად, ეს ანგარიში არის ვალდებულების შეფასება და არა მისი ინდიკატორებისა. ვალდებულებები მეორე სამოქმედო გეგმის ნუმერაციის მიხედვით არის დანომრილი. სხვაობა ერთადერთია და ვალდებულებების საერთო რაოდენობას შეეხება. სამოქმედო გეგმაში წერია, რომ მასში 27 ვალდებულებაა, მაგრამ რეალურად გეგმაში 29 ვალდებულებაა წარმოდგენილი. კერძოდ,

მთავრობამ №1ა და №1ბ ვალდებულებები, ასევე №6ა და №6ბ ვალდებულებები ორ ვალდებულებად გააერთიანა, თუმცა ეს ვალდებულებები, მათი ხასიათიდან გამომდინარე, ინდივიდუალური ვალდებულებებია. IRM-მა ეს ოთხი ვალდებულება ცალ-ცალკე დათვალა, რამაც ვალდებულებების საერთო რაოდენობა 29-მდე გაზარდა. ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგი ორი სათაურით: დაჯგუფებული ვალდებულებები და ცალკე მდგომი ვალდებულებები. შესაბამისად, ზოგჯერ ისინი რიგითობის მიხედვით დალაგებული არ არის.

არსებული 29 ვალდებულებიდან 12 ეხება საჯარო მომსახურების მიწოდების გაუმჯობესებას, ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობების გაზრდას და საჯარო სერვისების მართვის ელექტრონული სისტემების დანერგვას, ხოლო 3 – ეროვნული არქივის ხელმისაწვდომობის გაზრდას. 6 ვალდებულება ეხება ღია მონაცემების სტანდარტებისა და მოქალაქეთა ჩართულობის ონლაინმექანიზმების დანერგვას, ასევე ტექნოლოგიების გამოყენებით უსაფრთხო გარემოს შექმნას. მომდევნო 8 ვალდებულება შემდეგ საკითხებზეა ორიენტირებული: ინფორმაციის თავისუფლების აქტის შემუშავება; ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მუშაობის გაუმჯობესება; საჯარო სამსახურში მიღების პროცესის გამჭვირვალობისა და მიუკერძოებლობის გაზრდა; საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის დანერგვა; ფარული მიყურადების მონაცემების პროაქტიული გამოქვეყნება; საარჩევნო პროცესების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება; სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის გაფართოება; სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდის ხელმისაწვდომობის გაზრდა.

[1] საქართველოს პარლამენტი, საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა (2015-2016), http://bit.ly/2jof4Gp.

ცხრილი 3: ვალდებულების მიხედვით წინსვლის შეჯამება

ვალდებულების აღწერა	კონკრეტუ-ლობა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება		შუალედური / საბოლოო		გახსნა ამან მთავრობა?				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისთვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვალა	მცირედ ცვლილება	მნიშვნელოვანი	გამორჩეული
1.ა. სამოგზაურო დაზღვევის სერვისები				✗	გაურკვეველი					✗			✗					✗			
																✗					
1.ბ. სახელმწიფო ქონების რეგისტრაცია				✗	გაურკვეველი					✗				✗				✗			
																✗					
3. JUSTdrive				✗	გაურკვეველი					✗						✗		✗			
																✗					
4. განათლების სერვისები			✗		გაურკვეველი					✗				✗				✗			
														✗							
5. მოქალაქის პორტალი – www.my.gov.ge			✗		გაურკვეველი					✗				✗				✗			
														✗							
8. ციფრული ხელმოწერა და ონლაინავთენ-ტიფიკაცია				✗	გაურკვეველი					✗				✗				✗			
														✗							
9. ღია მონაცემების პორტალი – data.gov.ge			✗		✗						✗				✗				✗		
															✗						
15. პოლიტიკური პარტიების ფინანსური დეკლარაციები				✗	✗							✗				✗				✗	
																✗					
2. „მომხმარებ-ლის ხმა“				✗		✗	✗				✗					✗			✗		
																✗					
12. I-Change.ge				✗		✗	✗					✗		✗				✗			
														✗							
6.ა. საქართველოში საზოგადოებრი-ვი ცენტრების განვითარება				✗		✗					✗					✗				✗	
																✗					

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება		შუალედური	საბოლოო	გახსნა ამან მთავრობა?				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაბუნდოვანებული	არადერი შეცვალა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი	გამორჩეული
6.ბ. ელექტრონული მმართველობის შემოღება ადგილობრივ თვითმმართველობებში				✗	გაურკვეველი					✗					✗			✗			
															✗						
7. რეგიონების განვითარება საჯარო ბიბლიოთეკების ტრანსფორმაციით			✗		გაურკვეველი					✗					✗				✗		
																✗					
21. ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა				✗	გაურკვეველი				✗					✗				✗			
															✗						
25. საჯარო ფინანსების მართვის სისტემა				✗	გაურკვეველი				✗							✗		✗			
																✗					
22. ელექტრონული შენახვის სისტემა: e-Archive			✗		გაურკვეველი					✗				✗				✗			
														✗							
23. არქივების გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა				✗	✗					✗					✗				✗		
																✗					
24. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ელექტრონული კატალოგები				✗	✗					✗				✗					✗		
																✗					
26. „112"-თან დაკავშირების ალტერნატიული არხების შექმნა				✗	გაურკვეველი						✗					✗		✗			
																✗					
27. ინტერაქტიული სტატისტიკა და დანაშაულის კრიმინოგენური რუკა				✗	✗			✗			✗			✗				✗			
														✗							
10. ინფორმაციის თავისუფლების აქტის პროექტის შემუშავება				✗	✗					✗					✗			✗			
														✗							
11. ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი				✗		✗	✗			✗						✗				✗	
																✗					

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება		შუალედური საბოლოო		გახსნა ამან მთავრობა?				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისთვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვალა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი	გამორჩეული
13. საჯარო სამსახურში მიღების გამჭვირვალობა				✗	✗	✗	✗				✗					✗			✗		
																✗					
14. საჯარო მოხელეთა ქონებრივი ხელმისაწვდომობა მონიტორინგის სისტემა		✗			✗		✗				✗				✗			✗			
															✗						
16. სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდის ხელმისაწვდომობა				✗	✗						✗					✗					✗
																✗					
17. ფარული მიყურადების მონაცემების პროაქტიული გამოქვეყნება				✗	✗							✗				✗					✗
																✗					
18. საარჩევნო პროცესების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება			✗		✗	✗					✗				✗					✗	
																✗					
19. საბიუჯეტო პროცესების გამჭვირვალობა			✗		✗	✗					✗					✗		✗			
																✗					
20. შესყიდვების ელექტრონული სისტემა				✗	✗		✗				✗					✗			✗		
																✗					

ჯგუფი 1 | საჯარო სერვისები

1.ა. სამოგზაურო დაზღვევის სერვისის დანერგვა იუსტიციის სახლებში[1]

მოქალაქეები იუსტიციის სახლში პასპორტის ასაღებად განაცხადის წარდგენასთან ერთად, იმავდროულად სამოგზაურო დაზღვევის პოლისის მიღებას შეძლებენ.

1.ბ. სახელმწიფო ქონების რეგისტრაციის სერვისის დანერგვა იუსტიციის სახლებში[2]

ამ ინიციატივის მეშვეობით მომხმარებლები როგორც სახელმწიფო უძრავი ქონების შესყიდვას ან იჯარით მფლობელობაში აღებას, ისე ამ ქონების რეგისტრაციას ერთ სივრცეში განახორციელებენ. საწყის ეტაპზე ეს სერვისი იქ დაინერგება, სადაც ის საერთოდ არ არსებობს, მათ შორის, იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მომსახურების ცენტრები არ აქვს (ოზურგეთი, გურჯაანი, ბათუმი და მარნეული) და მომხმარებელს სერვისის მისაღებად სხვა ქალაქში ჩასვლა უწევს.

წამყვანი დაწესებულება: 1.ა, 1.ბ: იუსტიციის სახლი

დამხმარე დაწესებულებები: 1.ა: სადაზღვევო კომპანიები, 1.ბ: სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

დაწყების თარიღი: 2014 წლის მაისი დასრულების თარიღი: 2014 წლის სექტემბერი

3. უფრო იოლი მექანიზმის, „JUSTDRIVE“-ს, შექმნა იუსტიციის სახლების სერვისების მისაღებად[3]

მომხმარებელი დროს დაზოგავს და სასურველ მომსახურებას ავტომობილიდან გადაუსვლელად, თბილისის იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე „JUSTdrive“-ს ფანჯარასთან მხოლოდ ელექტრონული პირადობის მოწმობით მიიღებს.

წამყვანი დაწესებულება: იუსტიციის სახლი

დამხმარე დაწესებულებები: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს ეროვნული არქივი, მონაცემთა გაცვლის სააგენტო, „სმართ ლოჯიქი“ (Smart Logic)

დაწყების თარიღი: 2014 წლის მაისი დასრულების თარიღი: 2014 წლის სექტემბერი

4. განათლების სერვისების ხელმისაწვდომობა იუსტიციის სახლებში[4]

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კომპეტენციისთვის მიკუთვნებული დოკუმენტების – სკოლის სერტიფიკატებისა და დიპლომების – დამოწმება სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს კომპეტენცია გახდება, დამოწმებული დოკუმენტები კი იუსტიციის სახლის სივრცეში გაიცემა.

წამყვანი დაწესებულება: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

დამხმარე დაწესებულებები: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, იუსტიციის სახლი

დაწყების თარიღი: 2014 წლის სექტემბერი დასრულების თარიღი: 2014 წლის ოქტომბერი

5. მოქალაქის პორტალის – WWW.MY.GOV.GE–ს – განვითარება[5]

2015 წლის ბოლომდე სსიპ – მონაცემთა გაცვლის სააგენტო უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული ელექტრონული სერვისების პორტალზე ინტეგრირებას. პორტალს მუნიციპალური ელექტრონული სერვისებიც დაემატება. პორტალზე არსებული ელექტრონული სერვისების გამოყენების გასამარტივებლად სსიპ – მონაცემთა გაცვლის სააგენტო მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისების კატალოგს შექმნის, პორტალის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად კი 2015 წლის ბოლომდე დაგეგმავს და განახორციელებს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს.

წამყვანი დაწესებულება: მონაცემთა გაცვლის სააგენტო

დამხმარე დაწესებულებები: სამინისტროები და სხვა სამთავრობო უწყებები, ელექტრონული სერვისების მიმწოდებელი კერძო კომპანიები

დაწყების თარიღი: 2014 წელი

დასრულების თარიღი: 2015 წლის დეკემბერი

8. ციფრული ხელმოწერისა და ონლაინავთენტიფიკაციის სისტემების დანერგვა[6]

ონლაინავთენტიფიკაციის სისტემა პირადობის ელექტრონული მოწმობისა და მასში რეალიზებული უსაფრთხო ავთენტიფიკაციის მექანიზმების გამოყენებით განვითარდება.

საქართველოში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემები ციფრული ხელმოწერისა და ციფრული შტამპის (ციფრული ხელმოწერა ორგანიზაციის სახელით) მექანიზმების შექმნითა და დახვეწით განვითარდება.

წამყვანი დაწესებულება: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

დამხმარე დაწესებულება: საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

დაწყების თარიღი: 2014 წლის ივლისი

დასრულების თარიღი: 2015 წლის ივლისი

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება		შუალედური		გახსნა ამან მთავრობა?				
															საბოლოო						
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისთვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვალა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი	გამორჩეული
1.ა. სამოგზაურო დაზღვევის სერვისები				✗	გაურკვეველი					✗			✗					✗			
																✗					
1.ბ. სახელმწიფო ქონების რეგისტრაცია				✗	გაურკვეველი					✗				✗				✗			
																✗					
3. JUSTdrive				✗	გაურკვეველი					✗						✗		✗			
																✗					
4. განათლების სერვისები			✗		გაურკვეველი					✗				✗				✗			
														✗							
5. მოქალაქის პორტალი – www.my.gov.ge			✗		გაურკვეველი					✗				✗				✗			
														✗							
8. ციფრული ხელმოწერა და ონლაინავთენტიფიკაცია				✗	გაურკვეველი					✗				✗				✗			
														✗							

1.ა: სამოგზაურო დაზღვევის სერვისის დანერგვა იუსტიციის სახლებში ვალდებულების მიზანი:

ამ ახალი ვალდებულების მიზანი იყო საქართველოს მოქალაქეებისთვის უცხოეთში მგზავრობის გამარტივება. იგი მათ საშუალებას მისცემდა, იუსტიციის სახლში პასპორტთან ერთად სამოგზაურო დაზღვევის პოლისიც აეღოთ. იუსტიციის სახლის წარმომადგენლის თქმით, ეს ახალი სერვისი იმ მოქალაქეების დროსა და რესურსს დაზოგავდა, რომლებსაც სამოგზაურო დაზღვევის პოლისის ასაღებად მანამდე სხვა ქალაქში უწევდათ წასვლა.

სტატუსი

შუალედური: შეზღუდული

ამ ვალდებულების შესრულება შუალედური ანგარიშის შედგენის დროს დაწყებული არ იყო. 2015 წლის ივლისში იუსტიციის სახლმა თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა განაცხადი ინტერესის გამოხატვაზე ყველა სადაზღვევო კომპანიისთვის, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ. კვალიფიციურ კომპანიებს სამოგზაურო დაზღვევის სფეროში მუშაობის სულ მცირე 4 წლის გამოცდილება უნდა ჰქონოდათ, მომხმარებლებისთვის სამოგზაურო დაზღვევის პოლისების შესაძენად

კონკურენტუნარიანი ფასი უნდა შეეთავაზებინათ და ამ პოლისების გაყიდვიდან მიღებული მოგება იუსტიციის სახლისთვის უნდა გაეზიარებინათ.

საბოლოო: შესრულებული

ეს ვალდებულება საბოლოო ანგარიშის შედგენამდე შესრულდა. 2015 წლის ოქტომბერში იუსტიციის სახლმა შეარჩია კომპანია „უნისონი“, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა მოქალაქეებისთვის სამოგზაურო დაზღვევის პოლისების გაცემისთვის. იმავე წლის 2 ნოემბრიდან სამოგზაურო დაზღვევის ახალი სერვისი ქვეყნის მასშტაბით ყველა იუსტიციის სახლში გახდა ხელმისაწვდომი.[7]

1.ბ: სახელმწიფო ქონების რეგისტრაციის სერვისის დანერგვა იუსტიციის სახლებში

ვალდებულების მიზანი:

ამ ახალი ვალდებულების მიზანი იყო მოქალაქეებისთვის სახელმწიფო ქონების ყიდვის, იჯარით აღებისა და რეგისტრაციის იუსტიციის სახლებში განხორციელების საშუალების მიცემა. საწყის ეტაპზე სერვისი იმ მუნიციპალიტეტებში უნდა დანერგილიყო, სადაც მისი ყველაზე დიდი საჭიროება იყო, კერძოდ, ოზურგეთში, გურჯაანში, ბათუმსა და მარნეულში.

სტატუსი

შუალედური: შეზღუდული

ეს ვალდებულება შუალედური ანგარიშის შედგენის დროს შეზღუდულად იყო შესრულებული, რადგან სახელმწიფო ქონების რეგისტრაციის სერვისი მხოლოდ მარნეულის მუნიციპალიტეტში იყო დანერგილი.

საბოლოო: შესრულებული

ეს ვალდებულება საბოლოო ანგარიშის შედგენამდე შესრულდა. 2015 წლის 2 ნოემბრიდან სამოგზაურო დაზღვევის სერვისთან ერთად სახელმწიფო ქონების რეგისტრაციის სერვისიც სრულად გახდა ხელმისაწვდომი ქვეყნის მასშტაბით ყველა იუსტიციის სახლში.[8]

3: უფრო იოლი მექანიზმის, „JUSTDRIVE“-ს, შექმნა იუსტიციის სახლების სერვისების მისაღებად ვალდებულების მიზანი:

ამ უკვე არსებული ვალდებულების მიზანი იყო თბილისში მოძრავი მძღოლებისთვის იუსტიციის სახლის სერვისების მიღების გამარტივება, კერძოდ, მათ მიერ ამ სერვისების მანქანიდან გადაუსვლელად მიღება.

სტატუსი

შუალედური: შესრულებული

ეს ვალდებულება შესრულდა 2015 წლის აპრილში, როდესაც „JUSTdrive“-ს სერვისი თბილისის იუსტიციის სახლში დაინერგა.[9]

4: განათლების სერვისების ხელმისაწვდომობა იუსტიციის სახლებში

ვალდებულების მიზანი:

ამ ახალი ვალდებულების მიზანი იყო განათლების სერვისების მიწოდება, კერძოდ, სკოლის სერტიფიკატების, დიპლომებისა და ნიშნების დამოწმება და იუსტიციის სახლებში მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. მანამდე ამ დოკუმენტების დასამოწმებლად მოქალაქეებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ სხვადასხვა უწყებაში რთული პროცედურების გავლა უხდებოდათ. ამ პროცედურების გასამარტივებლად მთავრობამ გადაწყვიტა, სამინისტროს შესაბამისი კომპეტენცია იუსტიციის სახლისთვის გადაეცა და ყველა საგანმანათლებლო დოკუმენტის დამოწმება ერთ სივრცეში მოეხდინა.

სტატუსი

შუალედური: შეზღუდული

ეს ვალდებულება შუალედური ანგარიშის შედგენის დროს შეზღუდულად იყო შესრულებული. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მისი შესრულებისთვის აუცილებელი ბიზნესმოდული და კომპიუტერული პროგრამა შექმნა, თუმცა მთავრობის სპეციალური განკარგულების გარეშე სააგენტო აღნიშნული ვალდებულების შესრულებაში პროგრესს ვერ აღწევდა.

საბოლოო: შეზღუდული

მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო ანგარიშის შედგენის დროისთვის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ამ ვალდებულების შესრულებაში გარკვეულ პროგრესს მიაღწია, მთლიანობაში, მისი შესრულების დონე შეზღუდული დარჩა. სააგენტომ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი მოამზადა და გადაუგზავნა მთავრობას, რომელმაც ეს კანონპროექტი მისაღებად პარლამენტს უნდა წარუდგინოს. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ახალი სერვისის დანერგვას.[10]

5: მოქალაქის პორტალის – WWW.MY.GOV.GE-ს – განვითარება

ვალდებულების მიზანი:

ამ უკვე არსებული ვალდებულების მიზანი იყო მოქალაქეებისთვის ონლაინსივრცეში მეტი საჯარო სერვისის მიწოდება. ეს გულისხმობდა my.gov.ge-ზე იუსტიციის სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს და მუნიციპალიტეტების ელექტრონული სერვისების ინტეგრირებას. პორტალის მომხმარებელთა რაოდენობის გასაზრდელად მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ცნობიერების ამაღლების კამპანიის ჩატარების ვალდებულება აიღო.

სტატუსი

შუალედური: შეზღუდული

ეს ვალდებულება შუალედური ანგარიშის შედგენის დროს შეზღუდულად იყო შესრულებული. my.gov.ge-ზე ახალი სერვისები განათავსეს იუსტიციის სამინისტრომ, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა – „საქპატენტმა“. თუმცა პორტალზე ხელმისაწვდომი არ იყო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მუნიციპალიტეტების სერვისები, რადგან მათ არ შეუქმნიათ ელექტრონული საქმისწარმოების შიდა სისტემები, რომლებიც მათ მონაცემებს

პორტალთან დააკავშირებდა. გარდა ამისა, მთავრობას ონლაინსივრცეში მიწოდებული საჯარო სერვისების მომხმარებელთა რაოდენობის გასაზრდელად პიარკამპანია არ ჩაუტარებია.

საბოლოო: შეზღუდული

ამ ვალდებულების შესრულების დონე საბოლოო ანგარიშის შედგენის დროს შეზღუდული დარჩა. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის თქმით, ამის ძირითადი მიზეზია შესაბამის უწყებებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა, ასევე ის, რომ მათ ონლაინსერვისების განვითარების და mygov.ge–ზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ნაკლები სურვილი აქვთ.[11] კიდევ ერთი გამოწვევაა პორტალის მოქალაქეებისთვის გაცნობა მათ მიერ საჯარო ონლაინსერვისების რეგულარული გამოყენების დასაწყებად.

8: ციფრული ხელმოწერისა და ონლაინავთენტიფიკაციის სისტემების დანერგვა

ვალდებულების მიზანი:

დოკუმენტების ადმინისტრირების გასაადვილებლად და ქაღალდის ხელმოწერასთან დაკავშირებული ხარჯების შესამცირებლად სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ციფრული ხელმოწერისა და ონლაინავთენტიფიკაციის სისტემების განვითარების ვალდებულება აიღო. მოქალაქეები ახალი ელექტრონული ID ბარათის აღებისას მიიღებდნენ ასევე ორწლიან სერტიფიკატს პინკოდთან ერთად, რათა ID ბარათზე განთავსებული პერსონალური ინფორმაცია ემართათ. ამის შემდეგ მოქალაქეები შეძლებდნენ id.ge–ზე გადმოეტვირთათ ID ბარათის წასაკითხი და ციფრული ხელმოწერის შექმნის სპეციალური პროგრამა და my.gov.ge–ზე ონლაინავთენტიფიკაცია მოეხდინათ. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ IRM–ის 2014–2015 წლების შუალედური ანგარიში.

სტატუსი

შუალედური: შეზღუდული

ეს ვალდებულება შუალედური ანგარიშის შედგენის დროს შეზღუდულად იყო შესრულებული. 2014 წლის მარტში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ციფრული ხელმოწერის პროგრამის განახლებული ვერსია გამოუშვა. თუმცა ამ პროგრამას ძალიან ცოტა მომხმარებელი ჰყავდა, რაც იმით იყო განპირობებული, რომ მომხმარებლები ხშირად კარგავდნენ პინკოდებს ან ერიდებოდნენ საკუთარი პერსონალური ინფორმაციის ონლაინსივრცეში განთავსებას. კიდევ ერთი გამოწვევა ის იყო, რომ კერძო კომპანიებიც არ იყენებდნენ ამ პროგრამას და საკუთარი ონლაინავთენტიფიკაციის სისტემების გამოყენებას ამჯობინებდნენ. ამის საპასუხოდ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ გადაწყვიტა ისეთი პროგრამის შექმნა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდებოდა დაკარგული პინკოდის აღდგენა. სააგენტომ ასევე დაგეგმა ამ სისტემების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიის ჩატარება.

საბოლოო: შეზღუდული

ამ ვალდებულების შესრულების დონე საბოლოო ანგარიშის შედგენის დროს შეზღუდული დარჩა. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ იმ კომპანიებისთვის, რომლებიც სურვილს გამოთქვამდნენ, დაკარგული პინკოდის აღსადგენად ID ბარათისთვის ახალი ფუნქცია დაემატებინათ, ტექნიკური მოთხოვნები შეიმუშავა. თუმცა სააგენტომ ვერ შეძლო შესაფერისი კომპანიის შერჩევა, რომელიც სპეციალურ ტექნიკურ მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა. ამან, თავის მხრივ, ახალი სერვისის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობის კამპანია გადაავადა.[12]

გახსნა ამან მთავრობა?

საჯარო მომსახურების გაუმჯობესება ერთ-ერთია OGP-ის ხუთი დიდი გამოწვევიდან, რადგან იგი მნიშვნელოვანია მთავრობის მეტი ეფექტიანობისთვის და მოქალაქეთა ცხოვრების დონის ამაღლებისთვის. მაგრამ მხოლოდ სერვისის მიწოდება OGP-სთან საკმარისად დაკავშირებული არ არის, თუ ის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდას და გადაწყვეტილების მიღებაში მოქალაქეთა ჩართულობისა და მთავრობის ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას არ გულისხმობს.

საჯარო სერვისების მიწოდებაზე ორიენტირებული არცერთი ვალდებულება გარკვევით არ გულისხმობდა ახალი ინფორმაციის გამოქვეყნებას, საჯარო სექტორში გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობას ან მოქალაქეებისადმი მთავრობის ანგარიშვალდებულების გაზრდას. გარდა ამისა, დაინტერესებული მხარეების აზრით, აღნიშნული ვალდებულებები მცირე ტექნიკურ ღონისძიებებს მოიცავდა და არ ითვალისწინებდა ძირეულ რეფორმას ადგილობრივი თემების გასაძლიერებლად და საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკის შესამუშავებლად.

სერვისის მიწოდებაზე ორიენტირებული ვალდებულებების OGP-სთან სუსტი კავშირის და მოქალაქეთა ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესების კუთხით მათი მცირე პოტენციური შედეგის გათვალისწინებით, IRM-ს მიაჩნია, რომ ამ ვალდებულებებმა ბოლო 2 წლის განმავლობაში მთავრობის ღიაობის არსებული პრაქტიკა ვერ შეცვალა.

გაგრძელდა სამომავლოდ?

2016 წლის ოქტომბრის მონაცემებით, მთავრობამ მესამე სამოქმედო გეგმაში არ შეიტანა სერვისის მიწოდებაზე ორიენტირებული არცერთი ვალდებულება, რომელიც შეზღუდულად იყო შესრულებული. არსებული ვალდებულებების დასასრულებლად შესაბამისმა უწყებებმა ერთმანეთთან კოორდინაცია და ინფორმაციის გაცვლა უნდა გააუმჯობესონ და მათი ახალი სერვისების შესახებ საზოგადოების ცნობიერება უნდა აამაღლონ.

მთავრობისადმი IRM-ის მკვლევრის რეკომენდაციაა, რომ მან ყურადღება საჯარო სერვისების მიწოდების ტექნიკურ ასპექტებზე კი არ გაამახვილოს, არამედ აქცენტი გადაიტანოს ინოვაციურ რეფორმებზე, რომლებსაც OGP-ის ღირებულებებთან უფრო მეტი კავშირი ექნება. ეს გულისხმობს ახალი სერვისების განვითარებას მოქალაქეთა პრიორიტეტების გათვალისწინებით და უკუკავშირის ახალი მექანიზმების შექმნას სერვისების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში მოქალაქეების აქტიურად ჩასართავად. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ იუსტიციის სახლმა, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ და მონაცემთა გაცვლის სააგენტომ მათი სერვისების გამოყენებისა და მოქალაქეთა კმაყოფილების დონის შესახებ ინფორმაციის რეგულარულად, პროაქტიულად გამოქვეყნება დაიწყონ. სერვისის მიწოდებისას ხარვეზების დროს მოქალაქეებს შესაბამისი უწყებისთვის შეტყობინების სწრაფად გაგზავნა უნდა შეეძლოთ და უწყებაც სწრაფად უნდა რეაგირებდეს. მხოლოდ ასეთი საჭიროებებზე მორგებული ქმედებებით შეძლებს მთავრობა, წარმატებით დააკავშიროს საჯარო სერვისები OGP-ის ღირებულებებთან.

---

[1] იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 1ა სამოქმედო გეგმაში, გვ. 4, http://bit.ly/1Yf5K76.
[2] იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 1ბ სამოქმედო გეგმაში, გვ. 5, http://bit.ly/1Yf5K76.
[3] იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 3 სამოქმედო გეგმაში, გვ. 6, http://bit.ly/1Yf5K76.
[4] იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 4 სამოქმედო გეგმაში, გვ. 7, http://bit.ly/1Yf5K76.
[5] იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 5 სამოქმედო გეგმაში, გვ. 8, http://bit.ly/1Yf5K76.
[6] იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 8 სამოქმედო გეგმაში, გვ. 14, http://bit.ly/1Yf5K76.
[7] სადაზღვევო კომპანია „უნისონი“ (2015 წლის 20 ოქტომბერი), http://bit.ly/2bph800.
[8] იუსტიციის სახლი (2015 წლის 2 ნოემბერი), http://bit.ly/2bA3Nzs.
[9] იუსტიციის სახლი, „JUSTdrive“, http://bit.ly/2b2Uc5r.
[10] გიორგი ლობჟანიძე, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ბიზნეს ანალიზისა და პროექტების მართვის სამსახურის უფროსი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2016 წლის 7 ივლისი.
[11] ირაკლი გვენეტაძე, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2016 წლის 4 ივლისი.
[12] მიხეილ კაპანაძე, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საიდენტიფიკაციო სერვისების განვითარების სამსახურის უფროსი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2016 წლის 7 ივლისი.

ჯგუფი 2 | ღია მონაცემები

9: ღია მონაცემების პორტალის – DATA.GOV.GE–ს – განვითარება[1]

დღეს არსებული ვებგვერდი, რომელსაც ძირითადად სანავიგაციო ხასიათი აქვს და სამთავრობო უწყებების ვებგვერდების ელექტრონული მისამართების ერთობლიობაა, გარდაიქმნება ღია მონაცემების პორტალად, რომელზედაც ხელმისაწვდომი იქნება ღია მონაცემები, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს (data.gov.uk) და ამერიკის შეერთებული შტატების (data.gov) ღია მონაცემთა ვებგვერდების მსგავსად.

წამყვანი დაწესებულება: მონაცემთა გაცვლის სააგენტო

დამხმარე დაწესებულებები: სამინისტროები და სხვა სამთავრობო უწყებები, ელექტრონული სერვისების მიმწოდებელი კერძო კომპანიები

დაწყების თარიღი: 2014 წლის აგვისტო დასრულების თარიღი: 2014 წლის დეკემბერი

15: პოლიტიკური პარტიების ფინანსური დეკლარაციების[2] დამუშავებად ფორმატში გამოქვეყნება

პოლიტიკური პარტიების მიერ დამუშავებად ფორმატში (Excel–ის ცხრილების სახით) წარდგენილი ინფორმაცია და დამუშავებული სტატისტიკა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე გამოქვეყნდება.

წამყვანი დაწესებულება: სახელმწიფო აუდიტის სამსახური

დამხმარე დაწესებულებები: განსაზღვრული არ არის

დაწყების თარიღი: 2014 წლის მარტი დასრულების თარიღი: 2014 წლის სექტემბერი

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP–ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება		შუალედური		გახსნა ამან მთავრობა?				
															საბოლოო						
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გააუარესა	არაფერი შეცვალა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი	გამორჩეული
9. ღია მონაცემების პორტალი – data.gov.ge			✗		✗						✗				✗				✗		
															✗						
15. პოლიტიკური პარტიების ფინანსური დეკლარაციები				✗	✗							✗				✗				✗	
																✗					

9: ღია მონაცემების პორტალის – DATA.GOV.GE-ს – განვითარება

ვალდებულების მიზანი:

ამ ვალდებულების მიზანი იყო არსებული ღია მონაცემების პორტალის, data.gov.ge-ს, განახლება მასზე ფაქტობრივი მონაცემების ღია მონაცემთა ფორმატში გამოქვეყნებით, როგორც ეს მსგავსი პორტალების შემთხვევაში ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში. საჯარო ინფორმაციის ღია მონაცემთა ფორმატში მიწოდება ხელს უწყობს ინოვაციას, ბიზნესის განვითარებას და ეროვნული ეკონომიკის ზრდას, ასევე საჯარო და კერძო სექტორებს შორის წარმატებული პარტნიორობის დამყარებას. ცნობიერების ასამაღლებლად მონაცემთა გაცვლის სააგენტომ საქართველოში პირველად ღია მონაცემების შესახებ ჰაკათონის ჩატარების ვალდებულება აიღო.

სტატუსი

შუალედური: არსებითი

ეს ვალდებულება შუალედური ანგარიშის შედგენის დროს არსებითად იყო შესრულებული. უცხოელ ექსპერტთა რეკომენდაციების მიხედვით, განახლებული პორტალი 2015 წლის დასაწყისში ამოქმედდა. მასზე CSV-ისა და XML-ის ფორმატებში 95 მონაცემი იყო განთავსებული. ამ მონაცემების უმრავლესობა ფინანსებისა და განათლების სფეროებს შეეხებოდა. პორტალი მომხმარებლებს საშუალებას აძლევდა, ენახათ თითოეული მონაცემის გამოქვეყნებისა და ბოლო განახლების თარიღები, ასევე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია. მასზე ასევე ხელმისაწვდომი იყო ინფორმაცია მნახველთა და მონაცემების გადმოტვირთვის რაოდენობების შესახებ. მომხმარებლებს მონაცემებთან დაკავშირებით კომენტარების გაკეთება და მათთვის ქულების მინიჭება შეეძლოთ.[3]

თუმცა მთავარი გამოწვევა ის იყო, რომ არ არსებობდა საკანონმდებლო ბაზა, რომელიც საჯარო უწყებებს დაავალდებულებდა, მონაცემები სისტემატურად შეეგროვებინათ და ისინი data.gov.ge-ზე განეთავსებინათ.

საბოლოო: არსებითი

ეს ვალდებულება საბოლოო ანგარიშის შედგენის დროს შესრულებული არ იყო. data.gov.ge-ზე მონაცემების რაოდენობა 154-მდე გაიზარდა, თუმცა 2016 წლის აგვისტოსთვის ბევრ საჯარო უწყებას საკუთარი მონაცემები პორტალზე განთავსებული არ ჰქონდა. კერძოდ, წარმოდგენილი არ იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროს მონაცემები. ამავე დროს, ისეთი მნიშვნელოვანი სფეროების შესახებ, როგორებიცაა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი, ძალიან ცოტა ინფორმაცია იყო ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, მონაცემთა გაცვლის სააგენტომ არ ჩაატარა ღია მონაცემების შესახებ ჰაკათონი, რასაც მეორე სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა. სააგენტოს თავმჯდომარის თქმით, data.gov.ge-ზე მცირე რაოდენობის მონაცემისა და, შესაბამისად, მოქალაქეების მიერ მისი შეზღუდული გამოყენების ძირითადი მიზეზი ის არის, რომ საჯარო უწყებებს კანონით არ ევალებათ პორტალზე საკუთარი მონაცემების პროაქტიული გამოქვეყნება.[4]

გახსნა ამან მთავრობა?

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: მცირედი ცვლილება

შუალედური ანგარიშის მიხედვით, ეს ვალდებულება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდას უკავშირდებოდა. data.gov.ge-მდე საქართველოში არ არსებობდა ერთიანი ღია მონაცემების პორტალი, რომელზედაც მოქალაქეები ნახავდნენ განახლებად ინფორმაციას მთავრობის ახალი

პოლიტიკისა და ქმედებების შესახებ. მთავრობა მიზნად ისახავდა, data.gov.ge ინოვაციისა და ეკონომიკური განვითარების სასარგებლო წყარო გამხდარიყო. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ პორტალზე მცირე რაოდენობის მონაცემია განთავსებული და, შესაბამისად, მას ცოტა მომხმარებელი ჰყავს, აღნიშნულმა ვალდებულებამ მეორე სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდში მთავრობის ღიაობის გაზრდაზე მხოლოდ მცირედი გავლენა მოახდინა.[5,6]

გაგრძელდა სამომავლოდ?

მთავრობამ data.gov.ge-ს გაუმჯობესების ვალდებულება მესამე სამოქმედო გეგმაში აღარ შეიტანა. ამ ვალდებულების შესასრულებლად მთავრობამ შემდეგი ღონისძიებები უნდა განახორციელოს:

- უნდა შეიქმნას საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ყველა საჯარო უწყებას დაავალდებულებს, მონაცემები data.gov.ge-ზე პროაქტიულად გამოაქვეყნონ;
- მომხმარებელს საშუალება უნდა მიეცეს, data.gov.ge-ზე დარეგისტრირდეს, სასურველი ტიპის მონაცემი აირჩიოს და, როდესაც ეს მონაცემი ხელმისაწვდომი გახდება, შეტყობინება მიიღოს;
- data.gov.ge-ს განაცხადის პროგრამირების ინტერფეისი (API) უნდა ჰქონდეს, რათა მომხმარებლებმა არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით საკუთარი აპლიკაციების შექმნა შეძლონ;
- data.gov.ge-ზე განთავსებულ მონაცემებს ფუნქციურად მეტი დატვირთვა უნდა ჰქონდეს და მეტამონაცემების სტანდარტის შესაბამისად უნდა იყოს დასათაურებული და აღნიშნული, რაც გულისხმობს პორტალზე გეოგრაფიული კოორდინატების, დიაგრამებისა და რუკების განთავსებას, როდესაც ეს მიზანშეწონილია;
- მომხმარებლებისთვის მონაცემების გამოყენების გასამარტივებლად მონაცემთა გაცვლის სააგენტომ უნდა გამოაქვეყნოს ინფორმაცია თითოეული მონაცემის ლიცენზირებისა და ინტელექტუალური საკუთრების შესახებ, ასევე იმის თაობაზე, თუ როდის იქნა ეს მონაცემი მოპოვებული;
- data.gov.ge-ზე უფრო მეტი ინფორმაციის გამოქვეყნების და პორტალის გამოსაყენებლად მეტი მომხმარებლის მოზიდვის მიზნით მონაცემთა გაცვლის სააგენტომ უნდა ჩაატაროს ფართომასშტაბიანი პიარკამპანია და ჰაკათონი, რასაც მეორე სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა.

15: პოლიტიკური პარტიების ფინანსური დეკლარაციების დამუშავებად ფორმატში გამოქვეყნება

ვალდებულების მიზანი:

ამ ვალდებულების მიზანი იყო პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობის გაზრდა პოლიტიკური პარტიების ფინანსური ანგარიშებისა და სტატისტიკის დამუშავებად ფორმატში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე გამოქვეყნებით, რაც პირდაპირ უპასუხებდა IRM-ის რეკომენდაციას.

სტატუსი

შუალედური: შესრულებული

ეს ვალდებულება შუალედური ანგარიშის შედგენამდე შესრულდა. 2014 წლის მაისიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავის ვებგვერდზე რეგულარულად, Excel-ის ცხრილების სახით აქვეყნებდა პოლიტიკური პარტიების შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ანგარიშებს ინდივიდუალურ

შემომწირველთა სახელების, გვარებისა და პირადი ნომრების მითითებით.[7] ეს ანგარიშები, CSV-ის ფორმატში გადაყვანილი, ხელმისაწვდომი იყო data.gov.ge-ზედაც.[8]

გახსნა ამან მთავრობა?

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: მნიშვნელოვანი ცვლილება

შუალედური ანგარიშის მიხედვით, ეს ვალდებულება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდას უკავშირდებოდა. მანამდე პარტიების დაფინანსების მონაცემები სკანირებული PDF-ფაილების სახით ქვეყნდებოდა, რაც მათ ანალიზს ართულებდა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ვალდებულება აიღო, ეს მონაცემები დამუშავებად ფორმატში გამოექვეყნებინა, რამაც „მოდარაჯე" არასამთავრობო ორგანიზაციებს საკუთარი მონიტორინგისა და ადვოკატირების ღონისძიებების გაფართოებაში შეუწყო ხელი. მაგალითად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ახალ მონაცემებზე დაყრდნობით, 2016 წლის ივლისში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" აამოქმედა საკუთარი პორტალი, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, მოიპოვოს გაერთიანებული ინფორმაცია საქართველოში 2012 წლიდან დღემდე პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული ყველა შემოწირულების შესახებ, ასევე პარტიების დონორების ბიზნესინტერესების თაობაზე.[9] ამ პოზიტიური ცვლილების გათვალისწინებით, წამყვანი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძოდ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ფიქრობენ, რომ აღნიშნული ვალდებულების შესრულებამ მთავრობის ღიაობა მნიშვნელოვნად გაზარდა. ეს ორგანიზაციები რეგულარულად იყენებენ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მონაცემებს პოლიტიკური პარტიების დაფინანსებისა და ამ კუთხით კანონმდებლობის დაცვის მონიტორინგისთვის, ასევე რეფორმების ადვოკატირებისთვის.

გაგრძელდა სამომავლოდ?

მთავრობამ ეს ვალდებულება არ გააგრძელა. დაინტერესებული მხარეების აზრით, პარტიების დაფინანსების მონაცემებს ძირითადად ის არასამთავრობო ორგანიზაციები იყენებენ, რომლებიც წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგს ახორციელებენ, არჩევნების კონტექსტის მიღმა კი ეს მონაცემები შეზღუდულად გამოიყენება. მიუხედავად ამისა, პარტიების დაფინანსების მონაცემები მოქალაქეებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის უფრო სასარგებლო იქნება, თუ სახელმწიფო აუდიტის სამსახური მომხმარებლებისთვის მიმზიდველ ინფოგრაფიკებს გამოაქვეყნებს. ეს ხელს შეუწყობს აღნიშნული მონაცემების ფართო საზოგადოების მიერ აღქმას.[10]

---

[1] იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 9 სამოქმედო გეგმაში, გვ. 15, http://bit.ly/1Yf5K76.
[2] იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 15 სამოქმედო გეგმაში, გვ. 22, http://bit.ly/1Yf5K76.
[3] data.gov.ge, http://bit.ly/1Nxc6ds.
[4] გვენეტაძე, ინტერვიუ, 2016 წლის ივლისი.
[5] სუდხან სალაძე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პროექტის კოორდინატორი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2016 წლის 29 ივლისი.
[6] გიორგი კვლიაშვილი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) დირექტორი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2016 წლის 1 აგვისტო.
[7] სახელმწიფო აუდიტის სამსახური, „ფინანსური მონიტორინგი", http://bit.ly/1BLEuhI.
[8] data.gov.ge, „პოლიტიკური პარტიების შემოწირულებები", http://bit.ly/1Po71m1.
[9] „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო", „საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების შემოწირულებები", http://bit.ly/2b3yOA6.
[10] სალაძე, ინტერვიუ, 2016 წლის ივლისი.

ჯგუფი 3 | მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები

2. იუსტიციის სახლის მომხმარებლებისთვის უკუკავშირის მექანიზმის – „მომხმარებლის ხმის“ – შექმნა[1]

ამ ეტაპზე იუსტიციის სახლის მომხმარებლის უკუკავშირი საჩივრის წარდგენის შესაძლებლობით გამოიხატება. ამ ვალდებულების ფარგლებში იუსტიციის სახლი დანერგავს უკუკავშირის მექანიზმს – „მომხმარებლის ხმას“, რომლის მიზანი იქნება თითოეულ უკუკავშირზე მოქალაქესთან კომუნიკაცია და მისთვის იუსტიციის სახლში არსებული პროდუქტების და მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ასევე, შესაძლებლობის ფარგლებში, არსებული სერვისების, პროცედურებისა და სტანდარტების გაუმჯობესება მოქალაქეთა მოსაზრებების გათვალისწინებით და მათი ჩართულობით. ახალი მექანიზმი გაზრდის საზოგადოებისადმი იუსტიციის სახლის ანგარიშვალდებულებას, ასევე მომხმარებელს მომსახურების პროცესების დახვეწასა და ხარისხის გაუმჯობესებაში უშუალოდ მონაწილეობის საშუალებას მისცემს.

წამყვანი დაწესებულება: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

დამხმარე დაწესებულებები: საქართველოს პარლამენტი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, მონაცემთა გაცვლის სააგენტო, საჯარო სამსახურის ბიურო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), აშშ–ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)

დაწყების თარიღი: 2014 წლის მაისი

დასრულების თარიღი: 2014 წლის აგვისტო

12. ელექტრონული პეტიციების პორტალის – I–CHANGE.GE–ს – შექმნა[2]

I–Change.ge–ს მეშვეობით მოქალაქე საქართველოს მთავრობისადმი ელექტრონული პეტიციის ინიციირებას მოახდენს. საქართველოს მთავრობის კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე (იხ. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი) მოქალაქეების მიერ ინიციირებული წინადადებები საკმარისი რაოდენობის ელექტრონული ხელმოწერის შეგროვების შემთხვევაში საქართველოს მთავრობის სხდომაზე განიხილება.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია ამ საკითხზე მომუშავე სხვა უწყებებთან ერთად უხელმძღვანელებს და კოორდინაციას გაუწევს ინიცირებული პეტიციის განხილვას. ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის უზრუნველსაყოფად შეიქმნება სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც რეგულარულად შეიკრიბება და ინიციატივის პროგრესს განიხილავს. სამუშაო ჯგუფი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სსიპ – მონაცემთა გაცვლის სააგენტოს, საქართველოს პარლამენტის, სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს, არასამთავრობო ორგანიზაციების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შედგება.

ელექტრონული პეტიციების პორტალზე მუშაობის დასრულება და მისი დანერგვა 2015 წელს მოხდება.

წამყვანი დაწესებულება: იუსტიციის სახლი

დამხმარე დაწესებულებები: იუსტიციის სახლის მომხმარებლები

დაწყების თარიღი: 2014 წლის ივნისი

დასრულების თარიღი: 2015 წლის ივნისი

ვაღდებულების აღწერა	კონკრეტუ-ღობა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება		შუაღედური	საბოლოო	გახსნა ამან მთავრობა?				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისთვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვალა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი	გამორჩეული
2. „მომხმარებ-ლის ხმა“				✗		✗	✗				✗					✗			✗		
																✗					
12. I-Change.ge				✗		✗	✗					✗		✗				✗			
														✗							

2: იუსტიციის სახლის მომხმარებლებისთვის უკუკავშირის მექანიზმის – „მომხმარებლის ხმის“ – შექმნა

ვაღდებულების მიზანი:

ამ ვაღდებულების მიზანი იყო იუსტიციის სახლის სერვისების გაუმჯობესება და საზოგადოების საჭიროებებზე მორგება მოქალაქეთა უკუკავშირის ახალი მექანიზმის – „მომხმარებლის ხმის“ – შექმნით.

სტატუსი

შუალედური: შესრულებული

ეს ვაღდებულება შუალედური ანგარიშის შედგენამდე შესრულდა. 2014 წლის აპრილიდან ყველა იუსტიციის სახლის შესასვლელთან სპეციალური ყუთი განთავსდა. მოქალაქეებს შეუძლიათ ამ ყუთების გვერდით განთავსებული სტანდარტული უკუკავშირის ფორმები აიღონ, შეავსონ და ყუთებში ჩაყარონ. ფორმაში არის განყოფილება, რომელშიც მომხმარებელმა პერსონალური ინფორმაცია უნდა მიუთითოს. ფორმა შემდგომი პროცესების შესახებ ინფორმაციასაც შეიცავს. კერძოდ, იუსტიციის სახლის შიდა აუდიტის დეპარტამენტი მოქალაქეთა კომენტარებსა და საჩივრებს შეისწავლის და მათ 30 დღეში უპასუხებს. მოქალაქეებს შეუძლიათ მათ მიერ გაგზავნილი ფორმის სტატუსის თაობაზე ინფორმაცია იუსტიციის სახლის სატელეფონო სამსახურში დარეკვით და ფორმაზე განთავსებული უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით მოიძიონ. 2015 წლის აგვისტოს მონაცემებით, იუსტიციის სახლმა 1000-ზე მეტი შევსებული განაცხადის ფორმა მიიღო. ამ განაცხადებში მომხმარებლები მათდამი იუსტიციის სახლის პერსონალის მოპყრობას უმეტესად პოზიტიურად აფასებდნენ. თუმცა ზოგ შემთხვევაში ზოგიერთი თანამშრომლის ქცევასთან დაკავშირებით უკმაყოფილება იყო გამოთქმული.

გახსნა ამან მთავრობა?

მოქალაქეთა ჩართულობა: მცირედი ცვლილება
ანგარიშვალდებულება: მცირედი ცვლილება

შუალედური ანგარიშის მიხედვით, ეს ვალდებულება მოქალაქეთა ჩართულობისა და მთავრობის ანგარიშვალდებულების გაზრდას უკავშირდებოდა. მანამდე მოქალაქეებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, იუსტიციის სახლის მიერ მიწოდებული სერვისების ხარისხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები გაეცნოთ მისთვის და მონაწილეობა მიეღოთ სერვისების გაუმჯობესებაში. 2016 წლის ივლისის მონაცემებით, იუსტიციის სახლმა ახალი მექანიზმის – „მომხმარებლის ხმის“ – მეშვეობით მოქალაქეებისგან 1717 უკუკავშირის ფორმა მიიღო. ამ ფორმების უმეტესობა იუსტიციის სახლისადმი მადლობის წერილებს შეიცავდა, ფორმების 32 პროცენტში კი სერვისების ხარისხთან და იუსტიციის სახლის თანამშრომლების ქცევასთან დაკავშირებით უკმაყოფილება იყო გამოთქმული. ყველაზე აქტიურები თბილისის მცხოვრებლები იყვნენ – მათ 279 უკუკავშირის ფორმა შეავსეს. თბილისს მოსდევდა ზუგდიდი (71 ფორმა), ბათუმი (40 ფორმა) და ქუთაისი (37 ფორმა).[3]

როგორც ზემოთ აღინიშნა, „მომხმარებლის ხმა“ შეზღუდულად გამოიყენებოდა, განსაკუთრებით რეგიონებში. იუსტიციის სახლმა არ ჩაატარა კამპანია, რომ ეს ახალი მექანიზმი ქვეყნის მასშტაბით ფართო საზოგადოებისთვის გაეცნო. ამას გარდა, იუსტიციის სახლი თავის ვებგვერდზე რეგულარულად არ აქვეყნებდა სტატისტიკას იმის თაობაზე, თუ რამდენი მოქალაქე უგზავნიდა მას უკუკავშირის ფორმებს, რა საკითხებზე და როგორ რეაგირებდა იუსტიციის სახლი. ამის გათვალისწინებით, IRM-ის აზრით, აღნიშნულმა ვალდებულებამ მთავრობის ღიაობის გაზრდაზე მხოლოდ მცირედი გავლენა მოახდინა.

გაგრძელდა სამომავლოდ?

მთავრობამ ეს ვალდებულება არ გააგრძელა. შუალედურ ანგარიშში მოცემული IRM-ის რეკომენდაციის მიხედვით, იუსტიციის სახლმა უნდა შექმნას „მომხმარებლის ხმის“ ონლაინვერსია ამ მექანიზმის გამოყენების გასაზრდელად.

12: ელექტრონული პეტიციების პორტალის – I-CHANGE.GE-ს – შექმნა

ვალდებულების მიზანი:

ამ უკვე არსებული ვალდებულების მთავარი მიზანი იყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა ელექტრონული პეტიციების პლატფორმის, I-Change.ge-ს (შემდგომ – Ichange.gov.ge), მეშვეობით.

სტატუსი

შუალედური: შეზღუდული

ეს ვალდებულება შუალედური ანგარიშის შედგენის დროს შეზღუდულად იყო შესრულებული. მთავრობის ადმინისტრაციამ ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის წევრებთან Ichange.gov.ge-ს კონცეფციის ირგვლივ დისკუსიები 2014 წლის შემოდგომაზე დაიწყო. დაინტერესებული მხარეები შეთანხმდნენ პეტიციაზე ხელმოწერების რაოდენობის 5000-იან ზღვარზე, რომლის არსებობის შემთხვევაშიც მთავრობა ვალდებული იქნებოდა, პეტიცია განეხილა. ამასთანავე, მათ შეიმუშავეს კრიტერიუმები ახალი სისტემისთვის და სახელმძღვანელო, რომელიც Ichange.gov.ge-ს გამოყენების წესებს და მთლიან პროცესს განმარტავდა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ IRM-ის 2014-2015 წლების შუალედური ანგარიში.

ამას გარდა, მთავრობამ პორტალის საჩვენებელი გვერდი გაამზადა და ტესტირება ჩაუტარა, თუმცა ვერ შეძლო პორტალის 2015 წლის ზაფხულში ამოქმედება, რასაც მეორე სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა. ამის მთავარი მიზეზი იყო ამ პროცესში ჩართულ ბევრ საჯარო უწყებას შორის კოორდინაციის სირთულე. ამან, თავის მხრივ, გადაავადა მთავრობის დადგენილების მიღება, რომელიც აუცილებელი იყო Ichange.gov.ge-ს ამოქმედებისთვის.

საბოლოო: შეზღუდული

საბოლოო ანგარიშის შედგენის დროისთვის ამ ვალდებულების შესრულებაში არაფერი შეცვლილა. მთავრობას არ მიუღია დადგენილება, რომელიც Ichange.gov.ge-ს აამოქმედებდა. შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულების შესრულების დონე შეზღუდული დარჩა.

გახსნა ამან მთავრობა?

მოქალაქეთა ჩართულობა: არაფერი შეცვალა
ანგარიშვალდებულება: არაფერი შეცვალა

შუალედური ანგარიშის მიხედვით, ეს ვალდებულება მოქალაქეთა ჩართულობისა და მთავრობის ანგარიშვალდებულების გაზრდას უკავშირდებოდა. მანამდე მოქალაქეებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, პასუხისმგებელი უწყებების წინაშე პირდაპირ დაეყენებინათ საკითხები მათთვის პეტიციების გაგზავნით. შესაბამისად, დაინტერესებული მხარეების აზრით, პეტიციების ონლაინპორტალის, Ichange.gov.ge-ს, შექმნა იყო მეორე სამოქმედო გეგმის ყველაზე მნიშვნელოვანი ვალდებულება, რომელსაც OGP-ის ღირებულებებთან პირდაპირი კავშირი ჰქონდა. თუმცა სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდში მთავრობამ ვერ შეძლო ამ პორტალის ამოქმედება. შესაბამისად, აღნიშნულმა ვალდებულებამ მთავრობის ღიაობის გაზრდაზე გავლენა ვერ მოახდინა.

გაგრძელდა სამომავლოდ?

მთავრობამ ეს ვალდებულება არ გააგრძელა. ძირითადი დაინტერესებული მხარეები, კერძოდ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) და ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, ფიქრობენ, რომ ვალდებულების შესრულება დამოკიდებული იყო მთავრობის პოლიტიკურ ნებაზე, რომლის ნაკლებობამაც გამოიწვია მისი შეუსრულებლობა პირველი ორი სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდში. მათი აზრით, მთავრობამ არ მოინდომა Ichange.gov.ge-ს ამოქმედება, რადგან მოსალოდნელი იყო პორტალზე პოლიტიკურად სენსიტიური პეტიციები განთავსებულიყო, რასაც შეიძლებოდა 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ მმართველი პარტიის მხარდაჭერაზე უარყოფითად ემოქმედა.[4] დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციის მიხედვით, ეს ვალდებულება მესამე სამოქმედო გეგმაში არ უნდა შეტანილიყო. მის სანაცვლოდ მთავრობამ ისეთი ვალდებულება უნდა აიღოს, რომელსაც ის, უფრო მეტი აღბათობით, შეასრულებს. მიუხედავად ამისა, მთავრობისადმი IRM-ის მკვლევრის რეკომენდაციაა, რომ მან, უკვე განხორციელებულ ღონისძიებებზე დაყრდნობით, Ichange.gov.ge რაც შეიძლება მალე აამოქმედოს და ამით გადაწყვეტილების მიღების პროცესისადმი საზოგადოების ნდობა აამაღლოს.

[1] იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 2 სამოქმედო გეგმაში, გვ. 5, http://bit.ly/1Yf5K76.
[2] იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 12 სამოქმედო გეგმაში, გვ. 19, http://bit.ly/1Yf5K76.
[3] ნინო მურველაშვილი, იუსტიციის სახლის მომსახურების განვითარებისა და გაყიდვების დეპარტამენტის მრჩეველი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2016 წლის 22 აგვისტო.
[4] ვაკო ნაცვლიშვილი, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, და გიორგი თოფურია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2016 წლის 1 აგვისტო; სალაძე, ინტერვიუ, 2016 წლის ივლისი.

ჯგუფი 4 | ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობები

6.ა. საქართველოში საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება[1]

საქართველოში საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება როგორც საჯარო სერვისების, ისე ყველაზე მოთხოვნა¬დი კერძო სერვისების სოფლის დონეზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. ადგილობრივ მოსახლეობას 200–მდე სერვისის სოფლიდან გაუსვლელად მიღება შეუძლია. ცენტრი ადგილობრივი მოსახლეობისთვის სერვისების მიწოდების, ასევე საზოგადოების ჩართულობისა და გააქტიურების ფუნქციას ასრულებს.

ამ ეტაპზე ქვეყნის მასშტაბით 12 საზოგადოებრივი ცენტრი ფუნქციონირებს. 2014 წლის ბოლომდე კიდევ 6 ცენტრი აშენდება, რაც გაზრდის ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულ მოქალაქეთა რაოდენობას.

6.ბ. ელექტრონული მმართველობის შემოღება ადგილობრივ თვითმმართველობებში[2]

2014 წლის განმავლობაში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო მუნიციპალური სერვისების მართვის ელექტრონულ სისტემას 6 საპილოტო მუნიციპალიტეტში (ქარელი, თეთრი წყარო, ხაშური, ხობი, ახმეტა და გარდაბანი) დანერგავს, რისთვისაც შესაბამისი კადრები გადამზადდებიან და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლებს ტრენინგები ჩაუტარდებათ.

მუნიციპალიტეტებისთვის ხელმისაწვდომი იქნება არსებული ელექტრონული მონაცემთა ბაზები (სსიპ–ების – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, ასევე ცენტრალური ხელისუფლების და კერძო კომპანიების მონაცემთა ბაზები), რაც შეამცირებს ადგილობრივი თვითმმართველობის აპარატში მოქალაქეთა შესახებ მონაცემების შეგროვებისთვის, დამუშავებისა და შემოწმებისთვის საჭირო ადამიანური და დროითი რესურსების დანახარჯებს. სერვისები, რომლებიც სისტემის მეშვეობით იქნება მიწოდებული, ხელმისაწვდომი გახდება www.my.gov.ge–ზედაც. გარდა ამისა, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესასწავლად სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო კვლევას ჩაატარებს და მის საფუძველზე შექმნის ახალ პორტალს, რომელზედაც განთავსდება ინფორმაცია მუნიციპალიტეტებისა და საზოგადოებრივი ცენტრების საქმიანობის შესახებ.

2014–2015 წლებში ელექტრონული მმართველობა კიდევ 4 მუნიციპალიტეტში დაინერგება. ამასთანავე, სისტემის განვითარებისთვის მოხდება პროექტის საწყის ეტაპზე შერჩეული მომსახურებების რაოდენობის გაზრდა, სხვა მომსახურებების შესწავლა და სისტემაში შესაბამისი საქმისწარმოების პროცესების გათვალისწინება.

7. რეგიონების განვითარება საჯარო ბიბლიოთეკების ტრანსფორმაციით[3]

ეს ვალდებულება საჯარო ბიბლიოთეკების ახალი დანიშნულებით გამოყენებას გულისხმობს: ტრადიციული ფუნქციების შესრულებასთან ერთად, საჯარო ბიბლიოთეკები საზოგადოებრივი ცენტრების ფუნქციებს შეიძენს. საზოგადოებრივ ცენტრებთან ერთად საჯარო ბიბლიოთეკები იქნება დამატებითი საშუალება სოფლის მოსახლეობისა და ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობების გაზრდის ხელშესაწყობად. საზოგადოებას საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით

(ინტერნეტი, კომპიუტერული ტექნიკა, ახალი წიგნები) აღჭურვილ საჯარო ბიბლიოთეკებში მომსახურებას გადამზადებული ბიბლიოთე¬კარები გაუწევენ.

პროექტის მიზანია რეგიონულ დონეზე საჯა¬რო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მოსახლეობასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება, საზოგადოებ¬რივი ჩართულობის გაზრდა, ბიბლიოთეკართა შესაძლებლობების გაძლიერება ელექტრონული მმართველობისა და ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენებით.

2014 წლის საპილოტო პროექტი 4 საჯარო ბიბ¬ლიოთეკაში განხორციელდება. მისი შედეგების გათვალისწინებით, მუშაობა 2015 წლის გაგრძელდება.

წამყვანი დაწესებულებები: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

დამხმარე დაწესებულებები: 6.ა: ადგილობრივი თვითმმართველობა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, შპს „მექანიზატორი“, ევროკავშირი, „მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისათვის“, ლიბერთი ბანკი, მაგთიკომი

6.ბ: ადგილობრივი თვითმმართველობა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო, ევროკავშირი, იუ–ჯი–თი (UGT)

7: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭო (IREX), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

ვადები:

6.ა: საქართველოში საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება

დაწყების თარიღი: 2014 წლის იანვარი დასრულების თარიღი: 2015 წლის დეკემბერი

6.ბ: ელექტრონული მმართველობის შემოღება ადგილობრივ თვითმმართველობებში

დაწყების თარიღი: 2014 წლის მარტი დასრულების თარიღი: 2015 წლის მარტი

7. რეგიონების განვითარება საჯარო ბიბლიოთეკების ტრანსფორმაციით

დაწყების თარიღი: 2013 წლის დეკემბერი დასრულების თარიღი: 2014 წლის დეკემბერი

ვალდებულების აღწერა	კონკრეტუ-ლობა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება		შუალედური		გახსნა ამან მთავრობა?				
															საბოლოო						
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისთვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესება	არაფერი შეცვალა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი	გამორჩეული
6.ა. საქართველოში საზოგადოებრი-ვი ცენტრების განვითარება				✗		✗					✗					✗				✗	
																✗					
6.ბ. ელექტრონული მმართველობის შემოღება ადგილობრივ თვითმმართვე-ლობებში				✗	გაურკვეველი					✗					✗			✗			
															✗						
7. რეგიონების განვითარება საჯარო ბიბლიოთეკების ტრანსფორმაციით			✗		გაურკვეველი					✗					✗				✗		
																✗					

6.ა: საქართველოში საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება

ვალდებულების მიზანი:

ამ ვალდებულების მიზანი იყო ადგილობრივ დონეზე საჯარო მომსახურების გაუმჯობესება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა საზოგადოებრივი ცენტრების ქსელის გაფართოებით.

სტატუსი

შუალედური: შესრულებული

ეს ვალდებულება შუალედური ანგარიშის შედგენის პერიოდში შესრულდა. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ თავდაპირველად დაგეგმილი 6-ის ნაცვლად 13 ახალი ცენტრი გახსნა, ხოლო კიდევ 7 ცენტრი მშენებლობის პროცესში იყო. გარდა ამისა, 2014 წლის დეკემბერში შეიქმნა სპეციალური ვებგვერდი, centri.gov.ge, რომელიც საზოგადოებრივი ცენტრების მდებარეობის, სერვისებისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციას შეიცავს. საზოგადოებრივი ცენტრები მოქალაქეებს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის 200-ზე მეტ სერვისს სთავაზობს. საზოგადოებრივი ცენტრები გამოიყენება ასევე საჯარო შეხვედრების გასამართად, რომლებშიც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მონაწილეობენ.

2016 წლის აგვისტოს მონაცემებით, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ქვეყნის მასშტაბით 35 საზოგადოებრივი ცენტრი გახსნა, ხოლო კიდევ 9 ცენტრი მშენებლობის პროცესში იყო.[6] 2016 წლის მარტში მთავრობამ centri.gov.ge გააუმჯობესა მასზე ონლაინკალენდრის ფუნქციის დამატებით, რომლის მეშვეობითაც მომხმარებლებს შეუძლიათ საზოგადოებრივი

ცენტრები საჯარო შეხვედრებისა და სხვა ღონისძიებებისთვის დაჯავშნონ.[7] 2014 წლის ივლისიდან 2016 წლის ივლისამდე პერიოდში საზოგადოებრივმა ცენტრებმა უმასპინძლეს 70 საჯარო შეხვედრას, რომლებშიც ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ეს შეხვედრები შემდეგ თემებს მიეძღვნა: საქართველოს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მთავრობის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, ევროკავშირთან ინტეგრაცია, OGP–ის სამოქმედო გეგმა, მუნიციპალური განვითარების გეგმები, ეთნიკური უმცირესობების უფლებები, ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობა. შეხვედრები „სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე“, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლად მცხოვრები მოქალაქეებისთვის, 10 საზოგადოებრივ ცენტრში ჩატარდა და თითოეულ მათგანს 25–30 ადამიანი დაესწრო.[8] 2017 წელს, მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივი ცენტრები სრულად აღიჭურვება შესაბამისი რესურსებით, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო მათ მუნიციპალიტეტებს გადასცემს საკუთრებაში.

გახსნა ამან მთავრობა?

მოქალაქეთა ჩართულობა: მცირედი ცვლილება
ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: მნიშვნელოვანი ცვლილება

შუალედური ანგარიშის მიხედვით, ეს ვალდებულება მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას უკავშირდებოდა. მანამდე არ არსებობდა ერთიანი სივრცე, სადაც მოქალაქეები, განსაკუთრებით შორეული სოფლების მცხოვრებლები, საჯარო სერვისებს მარტივად მიიღებდნენ და სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მოწყობილ საჯარო შეხვედრებს დაესწრებოდნენ. ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს“ წარმომადგენლის თქმით, საზოგადოებრივი ცენტრები საქართველოს რეგიონულ განვითარებაზე ძალიან დიდ გავლენას ახდენენ და აქვთ პოტენციალი, რომ მთავრობის გადაწყვეტილების მიღების პროცესი გამჭვირვალე გახადონ.[9] ადგილობრივმა ხელისუფლებამ საზოგადოებრივ ცენტრებში ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე მრავალი საჯარო შეხვედრა ჩაატარა. ამ შეხვედრებს საკმაოდ ბევრი მოქალაქე ესწრებოდა. შეხვედრები შეეხებოდა ადგილობრივი სერვისების მიწოდებას, მთავრობის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამას“ და ადგილობრივი თვითმმართველობის ახალ კანონმდებლობას, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს სოფლად მცხოვრებ მოქალაქეებზე. შესაბამისად, საზოგადოებრივმა ცენტრებმა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ გაჩნდა ახალი ინფრასტრუქტურა საჯარო შეხვედრების ჩასატარებლად, საზოგადოებრივ ცენტრებს ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ახალი მექანიზმი არ შეუქმნიათ. ეს შეხვედრები მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის იყო და არ გულისხმობდა წარმოდგენილ თემებთან დაკავშირებით მოქალაქეთა კომენტარების მიღებასა და გათვალისწინებას, განსხვავებით საკონსულტაციო შეხვედრებისა და მონაწილეობითი ბიუჯეტირების პრაქტიკისგან. აქედან გამომდინარე, IRM–ის აზრით, აღნიშნულმა ვალდებულებამ მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდაზე მხოლოდ მცირედი გავლენა მოახდინა.

გაგრძელდა სამომავლოდ?

მთავრობამ ეს ვალდებულება არ გააგრძელა, რადგან იგი უკვე შესრულებული იყო. მთავრობისადმი IRM–ის მკვლევრის რეკომენდაციაა, რომ მან უფრო მკაფიოდ გამოკვეთოს საზოგადოებრივი ცენტრების მთავარი მიზანი – გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა და არა მხოლოდ სერვისების მიწოდება. მთავრობამ უნდა შექმნას მექანიზმი, რომელიც ამ კუთხით მიღწეულ პროგრესს შეაფასებს. გარდა ამისა, მთავრობამ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისთვის უფრო მეტი უნდა იმუშაოს. კერძოდ, მან ადგილობრივ მოსახლეობას უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასთან ახლოს არსებული საზოგადოებრივი ცენტრების შესახებ, რათა მოქალაქეებმა ცენტრების მიერ შეთავაზებული სერვისები რეგულარულად გამოიყენონ. მთავრობამ საზოგადოებრივი ცენტრების სერვისების ხარისხთან და ადგილობრივ თემებზე (განსაკუთრებით ეთნიკურ

უმცირესობებზე) მათ გავლენასთან დაკავშირებით საჯარო შეხვედრები და დისკუსიები უნდა მოაწყოს. ადგილობრივი თვითმმართველობებისადმი IRM-ის მკვლევრის რეკომენდაციაა, რომ მათ უფრო აქტიურად გამოიყენონ საზოგადოებრივი ცენტრები მოქალაქეებთან საჯარო კონსულტაციების ჩატარებისთვის და მათი პრიორიტეტების გასაგებად, განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ადგილობრივი ბიუჯეტი და ინფრასტრუქტურული პროექტები.

6.ბ: ელექტრონული მმართველობის შემოღება ადგილობრივ თვითმმართველობებში

ვალდებულების მიზანი:

ამ ვალდებულების მიზანი იყო საზოგადოებრივი ცენტრების სერვისების ონლაინსივრცეში ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სერვისების მართვის ხარისხის გაუმჯობესება. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მიზნად დაისახა საზოგადოებრივი ცენტრების ელექტრონული ინფრასტრუქტურის განვითარება 6 საპილოტო მუნიციპალიტეტში და პასუხისმგებელი ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლების შესაძლებლობების განვითარება. სააგენტომ მუნიციპალური სერვისების მართვის სისტემა შექმნა და ამ სისტემის დასანერგად მჭიდროდ ითანამშრომლა საპილოტო მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობით (საკრებულო) და აღმასრულებელ (მერია/გამგებელი) ორგანოებთან. მეორე სამოქმედო გეგმის მიხედვით, უნდა მომხდარიყო ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების კვლევა, ახალ სისტემაში საზოგადოებრივი ცენტრების 10 ყველაზე მოთხოვნადი სერვისის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ამ სერვისების my.gov.ge-ზე ინტეგრირება.

სტატუსი

შუალედური: არსებითი

ეს ვალდებულება შუალედური ანგარიშის შედგენის დროს არსებითად იყო შესრულებული. 2015 წლის თებერვალში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 8 საზოგადოებრივ ცენტრში ჩაატარა კვლევა იმის დასადგენად, თუ რა ინფორმაციისა და სერვისების მიღება სურდათ მოქალაქეებს ონლაინსივრცეში. კვლევაზე დაყრდნობით, სააგენტოს centri.gov.ge-ზე უნდა განთავსებინა დამატებითი სერვისები უკუკავშირის ონლაინმექანიზმთან და მობილურ აპლიკაციებთან ერთად.[10] გარდა ამისა, სააგენტომ პასუხისმგებელ ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლებს მუნიციპალური სერვისების მართვის ახალ სისტემასთან და ეფექტიან კომუნიკაციასთან დაკავშირებული ტრენინგები ჩაუტარა, დააყენა და შეაკეთა მაღალი სიჩქარის ინტერნეტკაბელები და საზოგადოებრივ ცენტრებში მოქალაქეთა მისაღები გაარემონტა. შემდეგ ეტაპზე, 2015 წლის შემოდგომაზე ახალი ელექტრონული ბაზების ტესტირება და მათი my.gov.ge-სთან დაკავშირება უნდა მომხდარიყო.

საბოლოო: არსებითი

ეს ვალდებულება საბოლოო ანგარიშის შედგენის დროს შესრულებული არ იყო. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მუნიციპალური სერვისების მართვის სისტემა დანერგა მაღალმთიანი რეგიონების 45 მუნიციპალიტეტში, მათ შორის, 3 საპილოტო მუნიციპალიტეტში, და 500 ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომელს ჩაუტარა ტრენინგები ამ ახალი სისტემის გამოყენების თაობაზე. აღნიშნულმა მუნიციპალიტეტებმა 2016 წლის იანვრიდან დაიწყეს მოქალაქეებისთვის ისეთი ადგილობრივი მნიშვნელობის სერვისების მიწოდება, როგორებიცაა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭება, შეწყვეტა, შეჩერება, აღდგენა და ამასთან დაკავშირებით სპეციალური ცნობის გაცემა. ამას გარდა, მუნიციპალური

სერვისების არსებულ სიას სოციალური სერვისები დაემატა, ხოლო სხვა სერვისები, რომლებზედაც მაღალი მოთხოვნილებაა, სისტემას ახლო მომავალში დაემატება.[11]

გახსნა ამან მთავრობა?

იმის გათვალისწინებით, რომ ეს ვალდებულება ელექტრონული მმართველობის სისტემებსა და საჯარო სერვისების მიწოდებაზე იყო ორიენტირებული, შუალედურმა ანგარიშმა დაადგინა, რომ მას სუსტი კავშირი ჰქონდა OGP–ის ისეთ ღირებულებებთან, როგორებიცაა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მოქალაქეთა ჩართულობა და ანგარიშვალდებულება. ამ ვალდებულების შესრულებამ არსებული მდგომარეობა ვერ შეცვალა. შესაბამისად, ვალდებულებას მთავრობის მეტი ღიაობის უზრუნველყოფაში წვლილი არ შეუტანია.

გაგრძელდა სამომავლოდ?

მთავრობამ ეს ვალდებულება არ გააგრძელა. მთავრობისადმი IRM–ის მკვლევრის რეკომენდაციაა, რომ იგი მოერიდოს მომავალ სამოქმედო გეგმებში საჯარო სერვისების მიწოდებაზე ორიენტირებული ისეთი ვალდებულებების შეტანას, რომლებსაც OGP–ის ღირებულებებთან გაურკვეველი კავშირი აქვს.

7: რეგიონების განვითარება საჯარო ბიბლიოთეკების ტრანსფორმაციით

ვალდებულების მიზანი:

ამ ვალდებულების მიზანი იყო შერჩეული 4 მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული ბიბლიოთეკების მოდერნიზება, მათი საზოგადოებრივი ცენტრების სისტემაში ინტეგრირება და, შესაბამისად, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად გამოყენება.

სტატუსი

შუალედური: არსებითი

ეს ვალდებულება შუალედური ანგარიშის შედგენის დროს არსებითად იყო შესრულებული. საპილოტო პროექტი ორ სამიზნე საზოგადოებრივ ცენტრში (ხიდისთავსა და ნუკრიანში) 2015 წლის მარტში დაიწყო და იმავე წლის სექტემბრამდე გაგრძელდა. ორი სხვა საზოგადოებრივი ცენტრის ბიბლიოთეკარებიც მონაწილეობდნენ ტრენერთა ტრენინგის პროგრამაში, რომლის მიზანი იყო ბიბლიოთეკართა ტექნიკური უნარების გაზრდა. ტრენინგის გავლის შემდეგ ბიბლიოთეკარებს ევალებოდათ, სხვა საზოგადოებრივ ცენტრებში მომუშავე მათი კოლეგებისთვის ჩაეტარებინათ ტრენინგი იმავე თემებზე.

საზოგადოებრივ ცენტრში არსებული ბიბლიოთეკა მომხმარებლებს 6 კომპიუტერს, უფასო ინტერნეტს, ასევე სხვადასხვა დაბეჭდილ ლიტერატურას (მათ შორის, მხატვრულ ლიტერატურას და მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებს) სთავაზობს. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ სამიზნე ბიბლიოთეკები იმ წიგნებით მოამარაგა, რომლებზედაც ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილება მაღალი იყო. ამასთანავე, სააგენტომ განავითარა მონიტორინგის სისტემა, რომლის მიხედვით, ბიბლიოთეკის სერვისებს ბევრი მომხმარებელი ჰყავს. ბიბლიოთეკები ასევე გამოიყენებოდა საჯარო შეხვედრების ჩასატარებლად და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის წარსადგენი პროექტების მოსამზადებლად. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ IRM–ის 2014–2015 წლების შუალედური ანგარიში.

საბოლოო: შესრულებული

ეს ვალდებულება საბოლოო ანგარიშის შედგენამდე შესრულდა. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ოთხივე საპილოტო ბიბლიოთეკა აუცილებელი ინფრასტრუქტურით აღჭურვა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას მათი სერვისების გამოყენება შესძლებოდა. ამას გარდა, სააგენტომ ბიბლიოთეკარებს ინტენსიური ტრენინგები ჩაუტარა მათი შესაძლებლობების განსავითარებლად. როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო მუნიციპალიტეტებს საკუთრებაში გადასცემს ყველა საზოგადოებრივ ცენტრსა და ბიბლიოთეკას, მას შემდეგ, რაც მათი განვითარებისა და თანამშრომლების უნარების გაზრდის პროცესი დასრულდება.

გახსნა ამან მთავრობა?

საქართველოს რეგიონების მანამდე სავალალო მდგომარეობაში მყოფი ბიბლიოთეკების სერვისების მიწოდების პუნქტებად გარდაქმნა მნიშვნელოვანია ადგილობრივი სერვისების ხელმისაწვდომობისთვის და ქალაქად და სოფლად მცხოვრებ მოქალაქეებს შორის არათანაბარი პირობების აღმოსაფხვრელად. ამ მცდელობას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, როდესაც მისი მიზანია ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა. თუმცა აღნიშნული ვალდებულების ბუნდოვანი ტექსტი არ ხსნის, თუ როგორ შეიძლება ამ მიზნის მიღწევა. შესაბამისად, შუალედურმა ანგარიშმა დაადგინა, რომ ვალდებულებას OGP-ის ღირებულებებთან გაურკვეველი კავშირი ჰქონდა.

ვალდებულების შესრულებამ აჩვენა, რომ მას კავშირი აქვს OGP-სთან, რადგან გარემონტებული ბიბლიოთეკები თემატური საჯარო შეხვედრებისა და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის წარსადგენი პროექტების მოსამზადებლად გამოიყენებოდა. თუმცა, მხოლოდ ოთხი ბიბლიოთეკის შეზღუდული მასშტაბის გათვალისწინებით, IRM-მა დაადგინა, რომ აღნიშნულმა ვალდებულებამ მთავრობის ღიაობის გაზრდაზე მხოლოდ მცირედი გავლენა მოახდინა.

გაგრძელდა სამომავლოდ?

მთავრობამ ეს ვალდებულება არ გააგრძელა, რადგან იგი უკვე შესრულებული იყო.

---

[1] იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 6ა სამოქმედო გეგმაში, გვ. 9, http://bit.ly/1Yf5K76.
[2] იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 6ბ სამოქმედო გეგმაში, გვ. 11, http://bit.ly/1Yf5K76.
[3] იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 7 სამოქმედო გეგმაში, გვ. 12, http://bit.ly/1Yf5K76.
[4] სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, „საზოგადოებრივი ცენტრი“, http://bit.ly/2BoCl38.
[5] ნანა წიკლაური, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სამსახურის უფროსი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2015 წლის 5 აგვისტო.
[6] სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, „საზოგადოებრივი ცენტრი“, http://bit.ly/2bXxQ8I.
[7] სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, „საზოგადოებრივი ცენტრი“, http://bit.ly/2b8WDGy.
[8] სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, პასუხი IRM-ის მკვლევრის მიერ გაგზავნილ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ფორმაზე, 2016 წლის 1 სექტემბერი.
[9] ნაცვლიშვილი, ინტერვიუ, 2016 წლის აგვისტო.
[10] სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, „საზოგადოებრივი ცენტრი“, http://bit.ly/2jgOYan.
[11] მარიამ ძაგნიძე, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პროექტის „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“ დირექტორი, და გიორგი ხაჩიძე, პროექტის „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“ ბიზნეს ანალიტიკოსი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2016 წლის 7 ივლისი.

ჯგუფი 5 | საჯარო სამსახურის მართვის ელექტრონული სისტემები

21. საჯარო სამსახურისთვის ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის განვითარება[1]

ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა – e-HMRS – ქვეყნის მასშტაბით საჯარო სექტორში დასაქმებული პერსონალის ერთიანი მონაცემთა ბაზაა. მისი მიზანია შემუშავებული პოლიტიკისა და სტანდარტების შესაბამისად

ადამიანური რესურსების ელექტრონული მართვის უზრუნველყოფა. e-HMRS არის სისტემა, რომელიც საჯარო სექტორის უწყებებისა და ორგანიზაციების პერსონალის მართვის ფუნქციის ახალ საფეხურზე გადაყვანას უზრუნველყოფს.

e-HMRS სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სხვა ორგანოებს საშუალებას მისცემს, სისტემაში არსებული ინფორმაცია ოპერატიულად მიიღონ და მიღებული მონაცემები ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და პრაქტიკის დასახვეწად გამოიყენონ. ელექტრონული პროგრამა მკვეთრად შეამცირებს მატერიალური, დროითი და ადამიანური რესურსების დანახარჯებს.

სისტემის შემუშავებასთან დაკავშირებულ პროცესებს კოორდინაციას გაუწევს სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო კონტროლისადმი დაქვემდებარებულ სსიპ – საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით. ამ პროცესში ჩართული იქნებიან არასამთავრობო ორგანიზაციები.

წამყვანი დაწესებულება: საჯარო სამსახურის ბიურო

დამხმარე დაწესებულებები: საფინანსო-ანალიტიკური სამსახური, არასამთავრობო ორგანიზაციები

დაწყების თარიღი: 2014 წლის იანვარი დასრულების თარიღი: 2015 წლის დეკემბერი

25. საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაზრდა[2]

ეს ვალდებულება გულისხმობს საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს

საქართველოში ელექტრონული მთავრობის შემდგომ განვითარებას.

საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის სრულყოფა-განვითარება ითვალისწინებს:

- *სახელმწიფო ხაზინის მართვის ელექტრონული სისტემის – e-Treasury-ს – შემდგომ სრულყოფას და ფართომასშტაბიან დანერგვას ქვეყნის ყველა სახაზინო (საბიუჯეტო) ორგანიზაციაში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში (სსიპ-ებში) და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. ამ სისტემის მეშვეობით ქვეყანაში გადახდების განხორციელება მხოლოდ ელექტრონული ფორმით იქნება უზრუნველყოფილი;*
- *ბიუჯეტის დაგეგმვის ელექტრონული სისტემის – e-Budget-ის – შემდგომ სრულყოფას და ქვეყნის ყველა სახაზინო (საბიუჯეტო) ორგანიზაციაში და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანერგვას;*
- *სახელმწიფო ვალის და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემის – e-DMS-ის – შემდგომ სრულყოფას. ეს სისტემა სახელმწიფო საშინაო ვალისა და სესხის მართვის*

ავტომატიზაციისთვის საჭირო ინსტრუმენტების კრებუდია. მისი დანიშნულებაა სახელმწიფო სესხის, ვადისა და გრანტების შესახებ არსებული ყველა სახის მონაცემის ერთ ადგილას თავმოყრა. ამ სისტემის ფარგლებში შესაძლებელი იქნება სანდო და სრული ფინანსური ინფორმაციის მიღება;

- *ელექტრონული აუქციონის სისტემის – e-Auction.ge-ს – შემდგომ განვითარებას. ეს არის საქართველოში ელექტრონული ყიდვა-გაყიდვის უნიკალური სისტემა, რომელიც ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სსიპ-ების მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის მეშვეობით განკარგვისთვის შეიქმნა. ამის შედეგად დღეისათვის ნებისმიერ პირს სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად შეუძლია, ერთი მხრივ, შეიძინოს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო საკუთრებაში არსებული ქონება და, მეორე მხრივ, განათავსოს ინფორმაცია საკუთარი გასაყიდი ქონების შესახებ.*

წამყვანი დაწესებულება: საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

დამხმარე დაწესებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სააგენტოები, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია

დაწყების თარიღი: 2014 წელი | დასრულების თარიღი: 2015 წელი

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება		შუალედური საბოლოო		გახსნა ამან მთავრობა?				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებული	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუაზრესა	არაფერი შეცვალა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი	გამორჩეული
21. ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა				✗	გაურკვეველი				✗					✗				✗			
															✗						
25. საჯარო ფინანსების მართვის სისტემა				✗	გაურკვეველი				✗							✗		✗			
																✗					

21: საჯარო სამსახურისთვის ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის განვითარება

ვალდებულების მიზანი:

ამ ვალდებულებით საჯარო სამსახურის ბიურომ მიზნად დაისახა ყველა საჯარო მოხელის სამუშაო აღწერილობების ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის, e-HMRS-ის, მეშვეობით. ეს სისტემა გააუმჯობესებდა საჯარო სექტორში HR-პოლიტიკის მართვას და შეამცირებდა მასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

სტატუსი

შუალედური: შეზღუდული

ეს ვალდებულება შუალედური ანგარიშის შედგენის დროს შეზღუდულად იყო შესრულებული. e-HMRS მხოლოდ 13 სამინისტროში დაინერგა, ხოლო სხვა სამინისტროებში, მუნიციპალიტეტებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ჯერ კიდევ დანერგვის პროცესში იყო.

საბოლოო: არსებითი

ეს ვალდებულება საბოლოო ანგარიშის შედგენის დროს არსებითად იყო შესრულებული. 2016 წლის ივლისის მონაცემებით, საჯარო სამსახურის ბიურომ მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან თანამშრომლობით e-HMRS 275 საჯარო უწყებაში (მათ შორის, 19 სამინისტროსა და 149 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში) დანერგა, ხოლო კიდევ 40 საჯარო უწყებაში ახალი მოდული დანერგვის პროცესში იყო.[3]

25: საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაზრდა

ვალდებულების მიზანი:

ამ ვალდებულების მიზანი იყო საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესება და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა ერთიანი საინფორმაციო სისტემის, საჯარო ფინანსების მართვის (Public Finance Management – PFM), მეშვეობით, რომელიც შედგებოდა ისეთი ელექტრონული მოდულებისგან, როგორებიცაა e-Treasury, e-Budget, e-Debt-ის მართვა და ინვესტიცია, e-HMRS და e-Auction. ეს სისტემები ხელს შეუწყობდა საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაერთიანებას და ამ ინფორმაციის ადმინისტრირებასთან და პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას.

სტატუსი

შუალედური: შესრულებული

ეს ვალდებულება შუალედური ანგარიშის შედგენამდე შესრულდა. e-Budget (თავისი ბიუჯეტის დაგეგმვის მოდულით) 2012 წელს e-Treasury-სთან გაერთიანდა. 2015 წლის იანვარში ადგილობრივი თვითმმართველობების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და PFM-ის საკუთარი ფინანსებიც ამ სისტემის ნაწილი გახდა. ამის შემდეგ საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული ყველა ტრანზაქცია ხაზინის ერთიან ანგარიშზე აისახება. e-DMS, რომელიც სახელმწიფო ვალის გადახდის პროცესის გაუმჯობესებას ემსახურება, 2015 წლის ივნისში ახალი მოდულებით (მათ შორის, მიზნობრივი გრანტის მოდულით) განახლდა. 2015 წელსვე e-Auction-ს დაემატა ახალი მოდული – „იყიდე ახლავე“ – მყისიერი ონლაინშესყიდვებისთვის, ასევე მობილური აპლიკაციები.

გახსნა ამან მთავრობა?

ახალი ელექტრონული სისტემების განვითარება მნიშვნელოვანია საჯარო ადმინისტრაციის რეფორმისთვის, თუმცა რადგან ეს სისტემები არ შეიცავს საზოგადოებასთან ურთიერთობის კომპონენტს, შუალედურმა ანგარიშმა დაადგინა, რომ არც e-HRMS-ს და არც PFM-ის მოდულებს OGP-სთან არსებითი კავშირი არ ჰქონდა. კერძოდ, e-HMRS-იდან, e-Treasury-დან, e-Budget-იდან და e-DMS-იდან მიღებული ინფორმაცია მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის არის განკუთვნილი. მეორე, e-Auction-ის ახალი მოდულები ორიენტირებულია უფრო მომსახურების მიწოდების გაუმჯობესებაზე, ვიდრე საჯარო აუქციონების გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებაზე. გარდა ამისა, აღნიშნული ვალდებულების ტექნიკური ხასიათიდან გამომდინარე, მოქალაქეებს

მისი არსის გაგება გაუჭირდებათ, რაც ასევე არ შეესაბამება OGP–ის მიზნებს. ამ ანალიზის მიხედვით, საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის გაუმჯობესების ვალდებულებას მთავრობის მეტი ღიაობის უზრუნველყოფაში წვლილი არ შეუტანია.

გაგრძელდა სამომავლოდ?

მთავრობამ ეს ვალდებულება არ გააგრძელა. დაინტერესებული მხარეებისა და IRM–ის მკვლევრის აზრით, მომავალი სამოქმედო გეგმები უნდა შეიცავდეს არა შიდა სამთავრობო პროცესებზე ორიენტირებულ, არამედ ისეთ ვალდებულებებს, რომლებსაც მოქალაქეები გაითავისებენ და მონიტორინგს გაუწევენ. საჯარო ფინანსების მართვის სისტემის მეტი ანგარიშვალდებულებისთვის უფრო მნიშვნელოვანია ონლაინმოდულის შექმნა, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეები თვალს მიადევნებენ იმას, თუ როგორ ხარჯავს სხვადასხვა საჯარო უწყება სახელმწიფო ფინანსებს.

[1] იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 21 სამოქმედო გეგმაში, გვ. 28, http://bit.ly/1Yf5K76.
[2] იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 25 სამოქმედო გეგმაში, გვ. 32, http://bit.ly/1Yf5K76.
[3] ირინა აღაპიშვილი, საჯარო სამსახურის ბიუროს საჯარო სამსახურში ინსტიტუციური მოწყობისა და პრაქტიკის განზოგადების დეპარტამენტის უფროსი, ინტერვიუ IRM–ის მკვლევართან, 2016 წლის 5 ივლისი.

ჯგუფი 6 | არქივების გამჭვირვალობა

22. ელექტრონული შენახვის სისტემა: E-ARCHIVE[1]

დღეისათვის საქართველოში ელექტრონული არქივის სისტემა არ არსებობს, რაც ელექტრონულად შექმნილი დოკუმენტების ხანგრძლივად შენახვის პროცესში მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ელექტრონული არქივი – ციფრული მონაცემების შენახვის ელექტრონული გადაწყვეტა – ციფრული მონაცემების ხანგრძლივი შენახვის, მათი ავთენტიკური ელექტრონული ხელმისაწვდომობისა და გამოყენების შესაძლებლობას შექმნის.

ელექტრონული არქივის პროექტი საქართველოს ელექტრონული მმართველობის სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ის საშუალებას იძლევა, ელექტრონული დოკუმენტი ხანგრძლივად, ტექნოლოგიებისგან ნეიტრალური სახით, საიმედოდ იქნეს შენახული და ინტერნეტის მეშვეობით ყველა დაინტერესებული მხარისთვის იყოს ხელმისაწვდომი.

წამყვანი დაწესებულებები: საქართველოს ეროვნული არქივი, მონაცემთა გაცვლის სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

დამხმარე დაწესებულებები: ელექტრონული სერვისების მიმწოდებელი კერძო კომპანიები

დაწყების თარიღი: 2014 წლის მაისი დასრულების თარიღი: 2015 წლის დეკემბერი

23. ეროვნული არქივის გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა[2]

საქართველოს ეროვნულ არქივში IX საუკუნიდან დღემდე შექმნილი უნიკალური ისტორიული მასალაა დაცული. იგი შეუზღუდავად უნდა იყოს ხელმისაწვდომი როგორც მკვლევართათვის, ისე, ზოგადად, მოქალაქეებისთვის. ამჟამად სახელმწიფოს გამგებლობაში არსებული არქივების მომსახურება ფასიანია. გარდა ამისა, ხელმისაწვდომია მხოლოდ დოკუმენტების დედნები, რაც ხშირი გამოყენების პირობებში მათ დაზიანებას იწვევს. მეორე სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სსიპ – საქართველოს ეროვნული არქივის თაოსნობით შეისწავლის და გადასინჯავს ნორმატიულ ბაზას და არქივების გამჭვირვალობისა და საზოგადოებრივი ჩართულობის გასაზრდელად საჭირო ცვლილებებს შეიმუშავებს. არქივებში დაცული დოკუმენტების ელექტრონული ვერსიები უფასოდ იქნება ხელმისაწვდომი; მკვლევრები საარქივო დოკუმენტებზე შეუზღუდავად იმუშავებენ; დოკუმენტების დედნები ყოველდღიურად არ გაიცემა, რაც მათ მეტ დაცულობას უზრუნველყოფს.

წამყვანი დაწესებულებები: საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

დამხმარე დაწესებულებები: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, არასამთავრობო ორგანიზაციები

დაწყების თარიღი: 2014 წლის ივლისი დასრულების თარიღი: 2015 წელი

24. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ელექტრონული კატალოგის შექმნა და გამოქვეყნება[3]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, რომელიც ყოფილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანოების არქივებს მოიცავს, საბჭოთა პერიოდშიც და შემდგომაც, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ერთ-ერთი ყველაზე რთულად ხელმისაწვდომი დაწესებულება იყო.

ვინაიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია უნიკალური ისტორიული ინფორმაცია, რომელიც საქართველოს XX საუკუნის ისტორიის ყველა ასპექტს მოიცავს, ამ არქივისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დოკუმენტების დიგიტალიზაციისა და მონაცემთა ბაზების შექმნის პროცესი პერმანენტულად მიმდინარეობს, დღეისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტები სრულად არ არის დახარისხებული თანამედროვე კატალოგიზაციის სისტემის მიხედვით. ზოგიერთი ფონდის აღწერილობა და რეესტრი საკმაოდ ზოგადი შინაარსისაა, რაც გარკვეულწილად ხელს უშლის დაინტერესებული პირების მიერ დოკუმენტების კომფორტულ გამოყენებას.

ყოფილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივში დაცული მასალებისადმი მაღალი საზოგადოებრივი და სამეცნიერო ინტერესიდან გამომდინარე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი ყოფილ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში დაცული დოკუმენტების ელექტრონული კატალოგის (შესაბამისი აღწერილობით) შექმნას და მის კანონით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში გამოქვეყნებას უზრუნველყოფს.

წამყვანი დაწესებულება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია

დამხმარე დაწესებულება: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

დაწყების თარიღი: 2014 წელი დასრულების თარიღი: 2015 წელი

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP–ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება		შუალედური		გახსნა ამან მთავრობა?				
															საბოლოო						
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვალა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი	გამორჩეული
22. ელექტრონული შენახვის სისტემა: e-Archive			✗		გაურკვეველი					✗				✗				✗			
														✗							
23. არქივების გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა				✗	✗					✗					✗				✗		
																✗					
24. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ელექტრონული კატალოგები				✗	✗					✗				✗					✗		
																✗					

22: ელექტრონული შენახვის სისტემა: E-ARCHIVE

ვალდებულების მიზანი:

ამ ვალდებულების მიზანი იყო მონაცემების უკეთ შენახვა და მათი უკეთესი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დაარქივებული მონაცემების ახალი ელექტრონული კატალოგის სისტემის, e-Archive-ს, მეშვეობით.

სტატუსი

შუალედური: შეზღუდული

ეს ვალდებულება შუალედური ანგარიშის შედგენის დროს შეზღუდულად იყო შესრულებული. ეროვნულმა არქივმა მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან კონსულტაციები 2014 წელს დაიწყო. ამ კონსულტაციებზე დაყრდნობით, ეროვნულმა არქივმა შეიმუშავა ელექტრონული არქივის სისტემის ზოგადი კონცეფციის პროექტი, რომელიც სისტემის ძირითადი მოდულებისა და მოთხოვნების შესახებ ინფორმაციას მოიცავდა. თუმცა მის განხორციელებაში წინსვლა არ ყოფილა.

საბოლოო: შეზღუდული

ამ ვალდებულების შესრულების დონე საბოლოო ანგარიშის შედგენის დროს შეზღუდული დარჩა. ეროვნული არქივის გენერალური დირექტორის თქმით, ძირითადი დაბრკოლება არასაკმარისი ფინანსებია.[4]

გახსნა ამან მთავრობა?

დაარქივებული მონაცემების ელექტრონული კატალოგის შექმნა ამ მონაცემების გაცვლას გაამარტივებს. თუმცა რადგან e-Archive არ შეიცავს საზოგადოებასთან ურთიერთობის კომპონენტს, შუალედურმა ანგარიშმა დაადგინა, რომ აღნიშნულ ვალდებულებას OGP-ის ღირებულებებთან სუსტი კავშირი ჰქონდა. გარდა ამისა, მისი შესრულების დონე მეორე სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდში შეზღუდული იყო. შესაბამისად, ვალდებულებას მთავრობის მეტი ღიაობის უზრუნველყოფაში წვლილი არ შეუტანია.

გაგრძელდა სამომავლოდ?

მთავრობამ ეს ვალდებულება არ გააგრძელა. მთავრობამ თავი უნდა შეიკავოს მომავალ სამოქმედო გეგმებში e-Archive-ს მსგავსი ვალდებულებების შეტანისგან, რადგან ისინი ძირითადად ტექნიკური ხასიათისაა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომპონენტი არ აქვთ.

23: ეროვნული არქივის გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა

ვალდებულების მიზანი:

ამ ვალდებულების მიზანი იყო დაარქივებული მონაცემების შეუზღუდავი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ამ მონაცემებით სარგებლობისთვის გადასახადის გაუქმებით.

სტატუსი

შუალედური: არსებითი

ეს ვალდებულება შუალედური ანგარიშის შედგენის დროს არსებითად იყო შესრულებული. ეროვნულმა არქივმა დაარქივებული მონაცემების უფასო ხელმისაწვდომობისთვის შესაბამისი კანონპროექტი შეიმუშავა და იგი იუსტიციის სამინისტროს გადაუგზავნა. ეროვნულ არქივს დამატებითი ტექნიკური რესურსი და ინფრასტრუქტურა სჭირდებოდა. არსებული 3 სამკითხველო დარბაზი,

ელექტრონულ კატალოგებთან დაკავშირებული 9 კომპიუტერი და 2500 დაარქივებული საქმე (516000 ფაილი) არასაკმარისი იყო. ეს კატალოგები ონლაინსივრცეში ხელმისაწვდომი არ იყო. ამიტომ მომხმარებელი ეროვნულ არქივში უნდა მისულიყო, რეგისტრაციისთვის პირადი ნომერი უნდა წარედგინა და სამკითხველო დარბაზში არსებული თავისუფალი კომპიუტერი უნდა გამოეყენებინა.

საბოლოო: შესრულებული

ეს ვალდებულება საბოლოო ანგარიშის შედგენამდე შესრულდა. 2015 წლის დეკემბერში პარლამენტმა კანონმდებლობა შეცვალა, რის შედეგადაც ეროვნულ არქივში დაცული მონაცემები უფასოდ გახდა ხელმისაწვდომი.[5] ამას გარდა, ეროვნული არქივის ყველა სამკითხველო დარბაზი დამატებითი კომპიუტერებითა და აუცილებელი ტექნიკური ინფრასტრუქტურით აღიჭურვა მოქალაქეებისთვის ელექტრონულად დაცული დოკუმენტების ძიების გასაადვილებლად.[6]

24: შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ელექტრონული კატალოგის შექმნა და გამოქვეყნება

ვალდებულების მიზანი:

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საბჭოთა პერიოდის არქივების (მათ შორის, ყოფილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და კომუნისტური პარტიის არქივების) დიგიტალიზაციისა და გამოქვეყნების ვალდებულება აიღო.

სტატუსი

შუალედური: შეზღუდული

ეს ვალდებულება შუალედური ანგარიშის შედგენის დროს შეზღუდულად იყო შესრულებული. მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყოფილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და კომუნისტური პარტიის დაარქივებული დოკუმენტების 90 პროცენტის ელექტრონული კატალოგი შექმნა და გამოაქვეყნა, მოქალაქეების მოთხოვნის საფუძველზე მათთვის მხოლოდ საკუთარი ნათესავების პირადი მონაცემები იყო ხელმისაწვდომი. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ IRM-ის 2014-2015 წლების შუალედური ანგარიში.

საბოლოო: შესრულებული

ეს ვალდებულება საბოლოო ანგარიშის შედგენამდე შესრულდა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავის ვებგვერდზე შექმნა სპეციალური განყოფილება, რომელშიც ხელმისაწვდომი იყო საბჭოთა არქივების ელექტრონული კატალოგები. მათში ინფორმაცია პირის სახელის, გვარის, წყაროსა და თემის მიხედვით იძებნებოდა.[7]

გახსნა ამან მთავრობა?

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: მცირედი ცვლილება

შუალედური ანგარიშის მიხედვით, ეს ორი ვალდებულება OGP-ს უკავშირდებოდა, რადგან საჯარო არქივების ხელმისაწვდომობის გაზრდა სასარგებლოა მოქალაქეებისთვის. თუმცა შესაბამისი მონაცემები შეზღუდულად გამოიყენება. ეროვნულ არქივში დაცული მონაცემები ონლაინსივრცეში ხელმისაწვდომი არ არის. შესაბამისად, ამ მონაცემების ხელმისაწვდომობისთვის მოქალაქე არქივში უნდა მივიდეს, რეგისტრაციისთვის პირადი ნომერი უნდა წარადგინოს და სამკითხველო დარბაზში არსებული თავისუფალი კომპიუტერი უნდა გამოიყენოს. ამასთანავე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე წარმოდგენილია მხოლოდ მცირე რაოდენობის დაარქივებული მონაცემი, რომლებიც სკანირებული ფაილების სახით არის ხელმისაწვდომი. დამატებითი დოკუმენტებისთვის მოქალაქეებმა სამინისტროს სპეციალური მოთხოვნის ფორმები უნდა გაუგზავნონ და თითოეული

დოკუმენტისთვის განსაზღვრული თანხა უნდა გადაიხადონ. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ არც ეროვნულ არქივს და არც შინაგან საქმეთა სამინისტროს არ ჩაუტარებია საჯარო კამპანია ახალდაარქივებულ დოკუმენტებზე მოქალაქეთა ინფორმირებისთვის. ამის გათვალისწინებით, IRM-მა დაადგინა, რომ აღნიშნულმა ორმა ვალდებულებამ მთავრობის ღიაობის გაზრდაზე მხოლოდ მცირედი გავლენა მოახდინა.

გაგრძელდა სამომავლოდ?

მთავრობამ ეს ვალდებულებები არ გააგრძელა. დაინტერესებული მხარეების აზრით, ეროვნულმა არქივმა და შინაგან საქმეთა სამინისტრომ საკუთარი მონაცემები დამუშავებად ფორმატში უნდა გამოაქვეყნონ და საინფორმაციო კამპანია უნდა ჩაატარონ ამ მონაცემების მომხმარებელთა რაოდენობის გასაზრდელად.[8] ამ უწყებებმა ასევე უნდა გამოაქვეყნონ სტატისტიკა იმის თაობაზე, თუ რამდენი მოქალაქე იყენებს მათ მიერ დაარქივებულ მონაცემებს და როგორია მიწოდებული სერვისებით მათი კმაყოფილების დონე. თუმცა არქივების იოლი ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც მეცნიერებისა და კვლევის სფეროში მუშაობს, ზოგადად კი, მოქალაქეები მთავრობის ახალი პოლიტიკისა და მიმდინარე საქმიანობის შესახებ განახლებული ინფორმაციის მიღებით უფრო არიან დაინტერესებული. შესაბამისად, IRM-ის აზრით, მთავრობამ მომავალ სამოქმედო გეგმებში აქცენტი ისეთ ვალდებულებებზე უნდა გააკეთოს, რომლებსაც მოქალაქეების ცხოვრებასთან პირდაპირი კავშირი აქვს, კერძოდ, მთავრობის მიმდინარე საქმიანობის შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია უნდა გასცეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად.

[1] იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 22 სამოქმედო გეგმაში, გვ. 29, http://bit.ly/1Yf5K76.
[2] იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 23 სამოქმედო გეგმაში, გვ. 30, http://bit.ly/1Yf5K76.
[3] იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 24 სამოქმედო გეგმაში, გვ. 31, http://bit.ly/1Yf5K76.
[4] თეონა იაშვილი, საქართველოს ეროვნული არქივის გენერალური დირექტორი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2016 წლის 6 ივლისი.
[5] საქართველოს მთავრობა, დადგენილება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №506 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, №643, 2015 წლის 22 დეკემბერი, http://bit.ly/2c2dx9P.
[6] იაშვილი, ინტერვიუ, 2016 წლის ივლისი.
[7] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, http://bit.ly/2bdxR5B.
[8] სალაძე, ინტერვიუ, 2016 წლის ივლისი.

ჯგუფი 7 | ტექნოლოგიების მეშვეობით უსაფრთხო გარემოს შექმნა

26. „112“–თან დაკავშირების აღტერნატიული არხების შექმნა[1]

უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“ მასთან დაკავშირების აღტერნატიულ და ინოვაციურ არხებს შექმნის, რათა საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა სხვა პირისთვის (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის) „112“, საჭიროების შემთხვევაში, ოპერატიულად იყოს ხელმისაწვდომი. მნიშვნელოვანია, რომ გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრთან დაკავშირება შეიძლებოდეს არა მხოლოდ ტელეფონით, რომლის გამოყენება ყოველთვის ვერ ხერხდება, არამედ სხვა არხებითაც.

2014 წლის ბოლოსთვის ცენტრი ხელმისაწვდომი იქნება სხვადასხვა აღტერნატიული არხით: ა) ტელეფონით; ბ) სხვადასხვა ობიექტზე დამონტაჟებული ხანძარსაწინააღმდეგო ან მხუთავი აირის დეტექტორით, რომელიც ობიექტზე საფრთხის წარმოქმნისთანავე განგაშის სიგნალს ავტომატურად გაუგზავნის „112“–ს; გ) მოკლე ტექსტური შეტყობინებით (SMS) ან ვიდეოზარით – დაკავშირების ეს არხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რომელთაც სმენის ან მეტყველების პრობლემა აქვთ; დ) GPS „ტრეკერით“ – ამ სატელიტური მოწყობილობით პირი განგაშის სიგნალს გაუგზავნის „112“–ს, მაშინაც კი, თუ მისი მობილური ტელეფონი მომსახურების ზონიდან არის გასული. ამასთანავე, ეს მოწყობილობა საშუალებას იძლევა, დადგინდეს პირის ზუსტი ადგილსამყოფელი, რათა მას სწრაფად და ეფექტიანად გაეწიოს გადაუდებელი დახმარება.

წამყვანი დაწესებულება: „112“

დამხმარე დაწესებულებები: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)

დაწყების თარიღი: 2014 წლის მარტი

დასრულების თარიღი: 2014 წლის ბოლო

27. ინტერაქტიული სტატისტიკა და დანაშაულის კრიმინოგენური რუკა[2]

ეს ვალდებულება დანაშაულის სტატისტიკის გაფართოებას და მის ინტერაქტიულ და ინოვაციურ ფორმატში წარმოდგენას გულისხმობს.

1. *ხელმისაწვდომი იქნება სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების ერთიანი ელექტრონული სისტემის მონაცემებზე დაფუძნებული ინტერაქტიული სტატისტიკა (სისტემა უზრუნველყოფს სისხლის სამართლის საქმეთა ელექტრონულ წარმოებას გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეტაპებზე).*
2. *შემუშავდება დანაშაულის დეტალიზებული კრიმინოგენური რუკა – ეს ინტერაქტიული ინსტრუმენტი დეტალური და მრავალფეროვანი სტატისტიკის სხვადასხვა ფორმატში და ცვლადებით (მათ შორის, დანაშაულის ტიპის, ჩადენის დროის, რეგიონისა და სხვა პარამეტრების მიხედვით) ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.*

წამყვანი დაწესებულება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

დამხმარე დაწესებულება: საქართველოს მთავარი პროკურატურა

დაწყების თარიღი: 2014 წელი

დასრულების თარიღი: 2015 წელი

ვაღდებულების აღწერა	კონკრეტु-ღობა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება		შუალედური / საბოლოო		გახსნა ამან მთავრობა?				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვალა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი	გამორჩეული
26. „112“-თან დაკავშირების აღტერნატიული არხების შექმნა				✗	გაურკვეველი						✗					✗		✗			
																✗					
27. ინტერაქტიუ-ლი სტატისტიკა და დანაშაულის კრიმინოგენური რუკა				✗	✗			✗			✗			✗				✗			
														✗							

26: „112“-თან დაკავშირების აღტერნატიული არხების შექმნა

ვაღდებულების მიზანი:

იმისთვის, რომ მოქალაქეებს საგანგებო მდგომარეობის დროს დახმარების თხოვნა გაადვილებოდათ, გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ-მა – „112“-მა, მასთან დასაკავშირებლად აღტერნატიული და ინოვაციური კომუნიკაციის არხების შექმნის ვაღდებულება აიღო. ვაღდებულების პირველი ორი კომპონენტი – „112“-თან ტელეფონითა და ხანძარსაწინააღმდეგო ან მხუთავი აირის დეტექტორით დაკავშირება – მეორე სამოქმედო გეგმის მიღებამდე შესრულდა. შესაბამისად, გეგმის შესრულების პერიოდში „112“ ორიენტირებული იყო მასთან დაკავშირების სხვა აღტერნატიული არხების – მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS), ვიდეოზარისა და GPS „ტრეკერის“ სერვისების – შექმნაზე.

სტატუსი

შუალედური: შესრულებული

ეს ვაღდებულება შუალედური ანგარიშის შედგენამდე შესრულდა. SMS-ისა და ვიდეოზარის სერვისების უმთავრეს სამიზნე ჯგუფს ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანები შეადგენდნენ, ვინაიდან „112“-ს მხოლოდ ეს ჯგუფი ვერ უკავშირდებოდა. „112“-მა „საქართველოს ყრუთა კავშირთან“ რამდენიმე სამუშაო შეხვედრა და კონსულტაცია მოაწყო. ამ კონსულტაციებზე დაყრდნობით, „112“-მა სპეციალური თარჯიმნები დაიქირავა და 2015 წლის მარტში SMS-ისა და ვიდეოზარის სერვისები აამოქმედა. ამას მოჰყვა ქვეყნის მასშტაბით პიარღონისძიებების სერია, რომლის ფარგლებშიც „112“ ამ ღონისძიებების ყველა მონაწილეს ახალ სისტემაში არეგისტრირებდა.

გარდა ამისა, იქიდან გამომდინარე, რომ უცხოელი ტურისტები ხშირად იკარგებიან და მათი პოვნა რთულია, „112“-მა ამ პრობლემის GPS „ტრეკერების“ მეშვეობით გადაჭრა გადაწყვიტა, რადგან ეს „ტრეკერები“ საშუალებას იძლევა, განისაზღვროს დაკარგული ადამიანების ზუსტი ადგილსამყოფელი, მაშინაც კი, როდესაც ისინი მობილური ოპერატორების დაფარვის ზონის მიღმა იმყოფებიან. აღნიშნული ვაღდებულების ძირითადი ბენეფიციარები არიან: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო და ექსტრემალურ

სპორტსა და სამთო ტურიზმში სპეციალიზებული კომპანიები. „112“-მა შეიძინა 60 „ტრეკერი“ 24000 აშშ დოლარად (თითოეულში 400 აშშ დოლარი გადაიხადა) და ისინი ზემოხსენებულ ორგანიზაციებს გადასცა. შემდეგ ამ ორგანიზაციებს პირდაპირი ბენეფიციარების იდენტიფიცირება უნდა მოეხდინათ და მათთვის „ტრეკერები“ სპეციალური მოხმარების წესების მიხედვით უნდა გადაეცათ. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ IRM-ის 2014-2015 წლების შუალედური ანგარიში.

გახსნა ამან მთავრობა?

შუალედური ანგარიშის მიხედვით, ამ ვალდებულებას OGP-სთან გაურკვეველი კავშირი ჰქონდა, რადგან იგი მეტწილად სერვისის მიწოდებაზე იყო ორიენტირებული. შესაბამისად, ვალდებულებამ მთავრობის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდაზე გავლენა ვერ მოახდინა.

გაგრძელდა სამომავლოდ?

მთავრობამ ეს ვალდებულება გააგრძელა. მესამე სამოქმედო გეგმაში „112“-მა მიზნად დაისახა მასთან დასაკავშირებლად ახალი კომუნიკაციის არხის – მობილური აპლიკაციის შექმნა, რომელიც საგანგებო სიტუაციების დროს უფრო სწრაფ რეაგირებას უზრუნველყოფს. შუალედურ ანგარიშზე დაყრდნობით, IRM-ის რეკომენდაციაა, რომ მთავრობამ თავი შეიკავოს მომავალ სამოქმედო გეგმებში სერვისის მიწოდებაზე ორიენტირებული ისეთი ვალდებულებების შეტანისგან, რომლებსაც OGP-სთან ნათელი კავშირი არ აქვს. იმისთვის, რომ ვალდებულება OGP-ის ღირებულებებს დაუკავშირდეს, „112“-მა მიზნად უნდა დაისახოს ისეთი უკუკავშირის სისტემის შექმნა, რომლის მეშვეობითაც მისი მომხმარებლები მიწოდებულ სერვისებთან დაკავშირებით კომენტარებს გააკეთებენ, „112“ კი ამ კომენტარებს სერვისების გაუმჯობესებისთვის გამოიყენებს. „112“-მა ასევე უნდა გამოაქვეყნოს ანგარიში მის მიერ მიწოდებული სერვისებით მომხმარებელთა კმაყოფილების დონის შესახებ.

27: ინტერაქტიული სტატისტიკა და დანაშაულის კრიმინოგენური რუკა

ვალდებულების მიზანი:

ეს უკვე არსებული ვალდებულება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დანაშაულის სტატისტიკის ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით გამოქვეყნებას ითვალისწინებდა. კერძოდ, სამინისტრომ მიზნად დაისახა სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების ერთიანი ელექტრონული სისტემიდან აღებული მონაცემების მიხედვით დანაშაულის ინტერაქტიული რუკის მოდულის შექმნა. იგი მოქალაქეებს საშუალებას მისცემდა, ენახათ დანაშაულის სტატისტიკა ისეთი კატეგორიების მიხედვით, როგორებიცაა დანაშაულის ტიპი, ჩადენის დრო და ადგილი.

სტატუსი

შუალედური: შეზღუდული

ეს ვალდებულება შუალედური ანგარიშის შედგენის დროს შეზღუდულად იყო შესრულებული. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააყენა სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების ერთიანი ელექტრონული სისტემის პროგრამა, თუმცა შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებისთვის GPS „ტრეკერები“ არ შეუძენია. ეს მოწყობილობები, რომელთა საერთო ღირებულება 100000 ლარია, აუცილებელი იყო დანაშაულის სტატისტიკის რუკაზე ვიზუალიზაციისთვის. მთავრობამ სპეციალური განკარგულებით (№2116) შინაგან საქმეთა სამინისტროს თანხმობა მისცა GPS „ტრეკერების“ გამარტივებული შესყიდვის პროცედურის გამოყენებით შეძენაზე. თუმცა, შუალედური ანგარიშის მიხედვით, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, 2015 წლის იანვარში მინისტრის

შეცვლამ, შემდგომ სამინისტროს რესტრუქტურიზაციამ და თანხების ნაკლებობამ ხელი შეუშალა ამ პროცესში პროგრესის მიღწევას.

საბოლოო: შეზღუდული

ამ ვალდებულების შესრულების დონე საბოლოო ანგარიშის შედგენის დროს შეზღუდული დარჩა. შინაგან საქმეთა სამინისტრო GPS „ტრეკერებს“ 2016 წლის ბოლოს შეიძენს. იუსტიციის სამინისტრო და მისდამი დაქვემდებარებული სსიპ – „სმართ ლოჯიქი“ (Smart Logic) პასუხისმგებელი არიან შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის სპეციალური კოორდინატებისა და პროგრამის მიწოდებისთვის, რომლებიც აუცილებელია დანაშაულის ინტერაქტიული სტატისტიკისა და რუკის გამოქვეყნებისთვის.[3]

გახსნა ამან მთავრობა?

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: არაფერი შეცვალა

შუალედური ანგარიშის მიხედვით, ეს ვალდებულება ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ტექნოლოგიებისა და ინოვაციის გამოყენებით მთავრობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდას უკავშირდებოდა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ დანაშაულის სტატისტიკის ერთიან ონლაინმოდულზე საზოგადოების მოთხოვნილება მაღალი იყო. თუმცა პირველი ორი სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვერ შეძლო GPS „ტრეკერების“ შეძენა, რომლებიც აუცილებელი იყო დანაშაულის ინტერაქტიული რუკის გამოქვეყნებისთვის. დაინტერესებული მხარეების აზრით, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სავარაუდოდ, აქვს საქართველოში დანაშაულის სრული სტატისტიკა და რუკები შიდა მოხმარებისთვის, მაგრამ მას არ სურს, ეს მონაცემები ფართო საზოგადოებისთვის თავისუფლად ხელმისაწვდომი გახადოს და მიზეზად თანხების ნაკლებობას ასახელებს.[4]

გაგრძელდა სამომავლოდ?

მთავრობამ ეს ვალდებულება არ გააგრძელა. დაინტერესებული მხარეების აზრით, პირველი ორი სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდში ვალდებულების შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზები პოლიტიკურია. კერძოდ, ისინი ფიქრობენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს არ სურს, მონიტორინგის განმახორციელებელ არასამთავრობო ორგანიზაციებს მისცეს შესაძლებლობა, ჩაატარონ დანაშაულის მონაცემების ძირეული კვლევა, რადგან მან შეიძლება სამინისტროს საქმიანობაში პრობლემები გამოკვეთოს და საზოგადოებრივ აზრზე გავლენა მოახდინოს. ინტერაქტიული დანაშაულის სტატისტიკის გამოქვეყნება ჭრის იმ პრობლემას, რომლის მოგვარებასაც ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია და მოქალაქე წლების განმავლობაში ითხოვდა. არასამთავრობო ორგანიზაციების მოსაზრებით, დანაშაულის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემები ერთიან მეთოდოლოგიას არ ემყარება, რაც ართულებს ამ მონაცემების წლების მიხედვით შედარებას და ახალი ტენდენციების გამოკვეთას. ეს, თავის მხრივ, საზოგადოების აღქმას (რომ ქვეყანაში დანაშაულის რაოდენობა მომატებულია) და შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკას (რომელიც საპირისპირო სურათს აჩვენებს) შორის კონფლიქტს წარმოშობს. შესაბამისად, დაინტერესებული მხარეების აზრით, დანაშაულის სტატისტიკურმა მონაცემებმა შეიძლება ტრანსფორმაციული გავლენა მოახდინოს დანაშაულის პრევენციაზე, მოქალაქეთა უსაფრთხოების გაუმჯობესებასა და შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებაზე. ამ საკითხის გადასაწყვეტად შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნული ვალდებულება რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეასრულოს.

---

[1] იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 26 სამოქმედო გეგმაში, გვ. 34, http://bit.ly/1Yf5K76.
[2] იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 27 სამოქმედო გეგმაში, გვ. 35, http://bit.ly/1Yf5K76.
[3] გიორგი ყავლაშვილი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო–ანალიტიკური დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს უფროსი, ინტერვიუ IRM–ის მკვლევართან, 2016 წლის 5 ივლისი.
[4] სალაძე, ინტერვიუ, 2016 წლის ივლისი.

ცაღკე მდგომი ვაღდებულებები

10 | ინფორმაციის თავისუფლების აქტის პროექტის შემუშავება[1]

ამჟამად საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი ნორმები ცალკეულ საკანონმდებლო აქტებშია გაბნეული. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი სირთულეები გვხვდება კანონმდებლობის განხორციელებისას. პრაქტიკაში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, ამ სფეროს მოსაწესრიგებლად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სპეციალური კანონის პროექტის მიღება, რომელმაც, ერთი მხრივ, საკანონმდებლო ხარვეზები უნდა აღმოფხვრას და, მეორე მხრივ, ინფორმაციის საჯაროობის მარეგულირებელ ნორმებს ერთ ნორმატიულ აქტში უნდა მოუყაროს თავი.

კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებულ პროცესებს კოორდინაციას საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უწევს. კანონპროექტზე მუშაობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით მიმდინარეობს. ფართო საკონსულტაციო პროცესის წარმართვისთვის და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის უზრუნველსაყოფად შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც კონსულტაციების საფუძველზე და საერთაშორისო ექსპერტიზის გამოყენებით შეიმუშავებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელ ნორმებს. მზა კანონპროექტი საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს 2015 წლის გაზაფხულზე წარედგინება.

წამყვანი დაწესებულებები: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ანტიკორუფციული საბჭო

დამხმარე დაწესებულებები: საქართველოს პარლამენტი, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

დაწყების თარიღი: 2014 წლის თებერვალი

დასრულების თარიღი: 2015 წლის გაზაფხული

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება		შუალედური		გახსნა ამან მთავრობა?				
															საბოლოო						
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისთვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვალა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი	გამორჩეული
10. ინფორმაციის თავისუფლების აქტის პროექტის შემუშავება				✗	✗					✗				✗	✗			✗			

ვალდებულების მიზანი:

იუსტიციის სამინისტრომ ვალდებულება აიღო, დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო თანამშრომლობით ინფორმაციის თავისუფლების ცალკე კანონის პროექტი შეემუშავებინა და გადაეგზავნა მთავრობისთვის, რომელიც ამ კანონპროექტს მისაღებად პარლამენტს წარუდგენდა. ძირითადი

მიზანი იყო მანამდე არსებულ კანონებში გაბნეული სხვადასხვა ნორმის ერთ კანონში მოქცევა და მთავრობის გამჭვირვალობის გაზრდა.

სტატუსი

შუალედური: არსებითი

ეს ვალდებულება შუალედური ანგარიშის შედგენის დროს არსებითად იყო შესრულებული. ფონდმა „ღია საზოგადოება – საქართველომ“ კანონპროექტის შემუშავებაში სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან წამყვანი როლი შეასრულა. მთავრობისგან თანხმობის მიღების შემდეგ, 2014 წლის იანვარში ფონდმა შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის საქმიანობაში შესაბამისი სფეროს გამოჩენილი ექსპერტები მონაწილეობდნენ. ამ ჯგუფმა შეისწავლა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა (განსაკუთრებით მექსიკის ინფორმაციის თავისუფლების კანონი) და პირველი პროექტი უკვე 2014 წლის გაზაფხულზე შეიმუშავა. კანონპროექტი ითვალისწინებდა რამდენიმე მნიშვნელოვან სიახლეს, მათ შორის, დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს (ინფორმაციის თავისუფლების კომისარი) შექმნას და საზოგადოებრივი ინტერესის ტესტის შემოღებას. ეს კანონპროექტი იუსტიციის სამინისტროს 2014 წლის ოქტომბერში გადაეგზავნა, თუმცა მის ავტორებს სამინისტროსგან პასუხი არ მიუღიათ. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ IRM-ის 2014-2015 წლების შუალედური ანგარიში.

საბოლოო: შეზღუდული

შუალედური ანგარიშის შედგენის შემდეგ ამ ვალდებულების შესრულებაში წინსვლა არ ყოფილა და იგი საბოლოო ანგარიშის შედგენის დროისთვის შეუსრულებელი დარჩა. იმის გათვალისწინებით, რომ მთავრობამ მის შესრულებაში ბოლო 2 წლის განმავლობაში პროგრესს ვერ მიაღწია და არც საჯარო კონსულტაციები ჩაატარა არსებულ კანონპროექტზე 2015 წლის შემოდგომაზე, როგორც დაგეგმილი ჰქონდა, IRM-მა გადაწყვიტა, რომ ამ ვალდებულების შესრულების „არსებითი“ დონე „შეზღუდულით“ შეეცვალა.

გახსნა ამან მთავრობა?

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: არაფერი შეცვალა

შუალედური ანგარიშის მიხედვით, ეს ვალდებულება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდას უკავშირდებოდა. ახალი, ცალკე კანონი საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებას უფრო გააძლიერებდა, ვიდრე ცალ-ცალკე გაბნეული იურიდიული ნორმები. თუმცა, აღნიშნული ვალდებულების შესრულების შეზღუდული დონის გათვალისწინებით, მან მთავრობის ღიაობის არსებული პრაქტიკა ვერ შეცვალა.

გაგრძელდა სამომავლოდ?

მთავრობამ ეს ვალდებულება გააგრძელა. იუსტიციის სამინისტრომ მიზნად დაისახა, ინფორმაციის თავისუფლების ახალი კანონის პროექტი შეემუშავებინა და გადაეგზავნა მთავრობისთვის, რომელიც ამ კანონპროექტს მისაღებად პარლამენტს წარუდგენდა. იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, მეორე სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდში ვალდებულების შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზი შეზღუდული დრო იყო. მთავრობის დღის წესრიგში იდგა სხვა, უფრო მწვავე საკითხები, კერძოდ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი კოდექსის მიღება და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი ინფორმაციის თავისუფლების კანონის პირველი პროექტის დახვეწა, რაც მნიშვნელოვანი სამუშაოს ჩატარებას მოითხოვდა. დაინტერესებული მხარეები სხვაგვარად ფიქრობენ. მათი აზრით, Ichange.gov.ge-სა და დანაშაულის ინტერაქტიული სტატისტიკის გამოქვეყნების ვალდებულებების მსგავსად, აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზი იყო ნაკლებობა მთავრობის პოლიტიკური ნებისა და პროცესში ჩართულ უწყებებს შორის კოორდინაციისა, განსაკუთრებით სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან.[3]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) წარმომადგენლის თქმით, მთავრობას არ სურდა გამჭვირვალობის უფრო მაღალი სტანდარტის დაკმაყოფილება, რასაც თავდაპირველი კანონპროექტი ითვალისწინებდა. აქ იგულისხმებოდა: იმ ზიანის განმარტება, რომელიც დახურული ინფორმაციის გამოქვეყნების შედეგად შეიძლება სახელმწიფოსა და საზოგადოებას მიადგეს; ისეთი დახურული ინფორმაციის ღიაობის უზრუნველყოფა, რომლის მიმართაც მაღალი საჯარო ინტერესი არსებობს; ახალი დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს (ინფორმაციის თავისუფლების კომისარი) შექმნა, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის დამრღვევი უწყებების მიმართ ადმინისტრაციული ჯარიმები შემოეღო. და ბოლოს, მთავრობა ვერ ხედავდა აუცილებლობას ან საჭიროებას, რომ ინფორმაციის თავისუფლების ახალი კანონის მიღებით თავისი საქმიანობა უფრო გამჭვირვალე გაეხადა. ამის საპირისპიროდ, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი საკმაოდ სწრაფად იქნა მიღებული, მიუხედავად იმისა, რომ ამას საზოგადოების ნაწილი, განსაკუთრებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ეწინააღმდეგებოდა.[4]

[1] იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 10 სამოქმედო გეგმაში, გვ. 16, http://bit.ly/1Yf5K76.
[2] ზურაბ სანიკიძე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი, ინტერვიუ IRM–ის მკვლევართან, 2016 წლის 6 ივლისი.
[3] ნაცვლიშვილი, ინტერვიუ, 2016 წლის აგვისტო.
[4] სალაძე, ინტერვიუ, 2016 წლის ივლისი.

11 | ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი[1]

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი არის ღია მმართველობის პარტნიორობის ეროვნული საკოორდინაციო–საკონსულტაციო მექანიზმი, რომელიც ანტიკორუფციული საბჭოს ფარგლებში მოქმედებს და სამოქმედო გეგმის შემუშავების ხელშეწყობის და მისი შესრულების მონიტორინგის მიზნითაა შექმნილი. ფორუმის წევრები არიან საჯარო უწყებები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები და კერძო სექტორი. ფორუმის პირველი შეხვედრა 2014 წლის 15 იანვარს გაიმართა. ამის შემდეგ ფორუმი ყოველთვიურად იკრიბება და ძირითადად სამოქმედო გეგმის შემუშავებაზეა ორიენტირებული. სამოქმედო გეგმის ღია მმართველობის პარტნიორობის სამდივნოსთვის წარდგენის შემდეგ ფორუმი გააგრძელებს ეროვნულ დონეზე სამოქმედო გეგმის შესრულების ხელშეწყობას, ამ პროცესის მონიტორინგს, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და ღია მმართველობის პარტნიორობის სხვა პროცესების კოორდინაციას.

ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნო (იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი) უზრუნველყოფს:

1. *ფორუმის საქმიანობის კოორდინაციასა და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;*
2. *ფორუმის შეხვედრების დღის წესრიგისა და განსახილველი საკითხების განსაზღვრას;*
3. *ფორუმის შეხვედრის ოქმის მომზადებასა და ვებგვერდზე განთავსებას;*
4. *წელიწადში ორჯერ ანტიკორუფციული საბჭოსთვის ფორუმის საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენას.*

წამყვანი დაწესებულება: ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნო

დამხმარე დაწესებულებები: სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებები, ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის წევრი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები

დაწყების თარიღი: 2014 წლის იანვარი დასრულების თარიღი: განსაზღვრული არ არის

ვალდებულების აღწერა	კონკრეტუ–ლობა				OGP–ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება		შუალედური	საბოლოო	გახსნა ამან მთავრობა?				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისთვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეფერხებული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვალა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი	გამორჩეული
11. ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი				✗		✗	✗			✗						✗				✗	
																✗					

ვალდებულების მიზანი:

ამ ვალდებულების მიზანი იყო ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მუშაობის გაუმჯობესება ფორუმის შეხვედრების დღის წესრიგისა და ოქმების მომზადებით და ფორუმის საქმიანობის შესახებ ანგარიშის ანტიკორუფციული საბჭოსთვის წარდგენით.

სტატუსი

შუალედური: შესრულებული

ეს ვალდებულება მეორე სამოქმედო გეგმის შესრულების დაწყებამდე შესრულდა. 2014 წლის იანვრიდან იუსტიციის სამინისტრომ გააგრძელა ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის შეხვედრების მასპინძლობა. შეხვედრები ჯერ (მეორე სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს) თვეში ერთხელ, ხოლო შემდეგ (სამოქმედო გეგმის შესრულების დროს) – ორ თვეში ერთხელ იმართებოდა. იუსტიციის სამინისტრო შეხვედრების დღის წესრიგს ფორუმის წევრებთან ერთად განსაზღვრავდა. იგი მათ შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე უგზავნიდა ელექტრონულ ფოსტას დღის წესრიგთან ერთად. ამასთანავე, იუსტიციის სამინისტრო თავის ვებგვერდზე თანამიმდევრულად აქვეყნებდა ფორუმის ყველა შეხვედრის ოქმებს და ფორუმის წევრებსა და ანტიკორუფციულ საბჭოს რეგულარულად აწვდიდა ანგარიშებს მეორე სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის შესახებ.

გახსნა ამან მთავრობა?

მოქალაქეთა ჩართულობა: მნიშვნელოვანი ცვლილება
ანგარიშვალდებულება: მცირედი ცვლილება

შუალედური ანგარიშის მიხედვით, ეს ვალდებულება OGP-ის პროცესში ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას უკავშირდებოდა. დაინტერესებული მხარეების აზრით, ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი არის მთავრობის ყველაზე წარმატებული საკოორდინაციო მექანიზმი, რომელიც სხვა სფეროებისთვისაც სამაგალითოა. მათ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს თანამომხსენებლების პრაქტიკას, რომელთა მეშვეობითაც არასამთავრობო ორგანიზაციები მთავრობასთან ერთად ფორუმის წევრებს რეგულარულად აწვდიან ანგარიშებს სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის შესახებ. ფორუმი არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს, მიიღონ განახლებული ინფორმაცია OGP-ის სფეროში მთავრობის მუშაობასთან დაკავშირებით, წამოჭრან საკითხები და ჩაერთონ დისკუსიაში უშუალოდ პასუხისმგებელ უწყებებთან და ამ უწყებებს სამოქმედო გეგმის განვითარებასა და შესრულებასთან დაკავშირებით საკუთარი რეკომენდაციები წარუდგინონ. ამას გარდა, ფორუმის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად იყვნენ ჩართული OGP-ის საკონსულტაციო შეხვედრებში პირველი ორი სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და ამ პროცესის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით. იუსტიციის სამინისტროს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ფორუმის სახელით სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ერთობლივი შეხვედრები ჩაატარეს ამ სამოქმედო გეგმებთან დაკავშირებით მოქალაქეთა კომენტარების მოსასმენად. არასამთავრობო ორგანიზაციების მცდელობისა და საკონსულტაციო შეხვედრებზე მიღებული მოქალაქეთა კომენტარების გათვალისწინების შედეგად აღნიშნული სამოქმედო გეგმები ისეთ ვალდებულებებს შეიცავდა, რომლებიც რეფორმული ინიციატივების განხორციელებას გულისხმობდა და OGP-ის პრინციპების დამკვიდრებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. შესაბამისად, ფორუმმა მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

ამას გარდა, ფორუმმა შექმნა მონიტორინგის ჩარჩო OGP-ის ვალდებულებების შესრულების უკეთესი მონიტორინგისთვის. ამ მექანიზმის მიხედვით, პასუხისმგებელი უწყებები ფორუმის წევრებს აწვდიან კვარტალურ ანგარიშებს სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით მათი მოსაზრებების მისაღებად. მონიტორინგის შედეგები ფორუმის შეხვედრებზე განიხილება. თუმცა ამ შეხვედრებში გადაწყვეტილების მიმღები საკვანძო პირები არ მონაწილეობენ, ფორუმს კი არ აქვს მექანიზმი, რომლითაც მისი წევრები პასუხისმგებელ უწყებებს მათდამი ანგარიშვალდებულს გახდიან. ფორუმის ასეთმა შეზღუდულმა გავლენამ მისი საქმიანობისადმი არასამთავრობო ორგანიზაციების ინტერესის თანდათანობითი კლება გამოიწვია. ამის გათვალისწინებით, IRM-მა დაადგინა, რომ აღნიშნულმა ვალდებულებამ მთავრობის ანგარიშვალდებულების გაზრდაზე მხოლოდ მცირედი გავლენა მოახდინა.

გაგრძელდა სამომავლოდ?

მთავრობამ ეს ვალდებულება არ გააგრძელა, რადგან იგი უკვე შესრულებული იყო. ვალდებულებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს (მაგალითად, უწყებათაშორისი მრავალმხრივი საკონსულტაციო მექანიზმის – ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის – მუშაობის გაუმჯობესებას) ქვეყნისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, რათა მან OGP–ში მონაწილეობა შეძლოს. შესაბამისად, სასურველია, რომ მთავრობამ ფორუმი წარმატებით გამოიყენოს, როგორც OGP–ის მექანიზმი ეფექტიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და შესრულებისთვის, მაგრამ ფორუმის საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულება სამოქმედო გეგმაში არ შეიტანოს. სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და შესრულების დროს საკონსულტაციო მექანიზმებს IRM საკუთარი ანგარიშის ცალკე თავში აფასებს.

მთავრობამ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა გადაჭრან ფორუმის საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც შუალედურმა ანგარიშმა გამოავლინა: ფორუმის შეხვედრებში მთავრობის ხელმძღვანელი პირები არ მონაწილეობენ, შუა რგოლის საჯარო მოხელეების მონაწილეობა კი გამოიხატება მათ მიერ უფრო ტექნიკური პრეზენტაციების წარდგენით, ვიდრე მათი უწყებების ვალდებულებების შესრულების შედეგებთან დაკავშირებით ფორუმის წევრებთან არსებით დისკუსიებში აქტიური ჩართვით; ფორუმის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას მხოლოდ შესაბამის სფეროში ხანგრძლივად მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციათა მცირე ჯგუფი აგრძელებს, რეგიონული და სპეციალიზებული ორგანიზაციები კი მასში არ მონაწილეობენ; ფორუმს არ აქვს უკუკავშირის ონლაინმექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ეს ორგანიზაციები მათთვის მნიშვნელოვან ვალდებულებებთან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებებს ფორუმის წევრებს გააცნობდნენ.

[1] იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 11 სამოქმედო გეგმაში, გვ. 18, http://bit.ly/1Yf5K76.

13 | საჯარო სამსახურში მიღების გამჭვირვალობა[1]

საჯარო სამსახურში მიღების სისტემის დასახვეწად განსახორციელებელ ღონისძიებებს კოორდინაციას სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურო გაუწევს. ფართო საკონსულტაციო პროცესის წარმართვისთვის სპეციალური სამუშაო ჯგუფი შეიქმნება.

წამყვანი დაწესებულება: საჯარო სამსახურის ბიურო

დამხმარე დაწესებულება: სპეციალური სამუშაო ჯგუფი (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები)

დაწყების თარიღი: 2014 წლის ივლისი დასრულების თარიღი: 2014 წლის შემოდგომა

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება		შუალედური / საბოლოო		გახსნა ამან მთავრობა?				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვალა	მცირედ ცვლილება	მნიშვნელოვანი	გამორჩეული
13. საჯარო სამსახურში მიღების გამჭვირვალობა				✗	✗	✗	✗				✗					✗			✗		
																✗					

ვალდებულების მიზანი:

ამ ვალდებულების მიზანი იყო საჯარო სამსახურში მიღების პროცედურების გამჭვირვალობა და მთავრობის საკადრო პოლიტიკისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლება.

სტატუსი

შუალედური: შესრულებული

ეს ვალდებულება შუალედური ანგარიშის შედგენამდე შესრულდა. 2014 წლის ივნისში მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომელმაც საჯარო მოხელეების მიღების ახალი წესები განსაზღვრა. ძირითადი სიახლე ის იყო, რომ საკონკურსო კომისიაში დამოუკიდებელი ექსპერტების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პროფესიული კავშირების წარმომადგენელთა ჩართვა სავალდებულო გახდა.

გარდა ამისა, დადგენილებით გაიზარდა საჯარო სამსახურის ბიუროს მონიტორინგის უფლებამოსილება ორი მიმართულებით: 1) საჯარო სამსახურის ბიურო უფლებამოსილი გახდა დაენიშნა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე და უზრუნველეყო კომისიის შემადგენლობაში დამოუკიდებელი წევრების არსებობა; 2) ბიურო ასევე უფლებამოსილი გახდა hr.gov.ge-ზე (საჯარო სამსახურში დასაქმების ვებპორტალი) ყოველი ვაკანსიის გამოქვეყნებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში შეემოწმებინა ეს ვაკანსია, რათა მასში მოცემული სამუშაო აღწერილობა გამოცხადებული თანამდებობისადმი წაყენებული მოთხოვნების ადეკვატური ყოფილიყო. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ IRM-ის 2014-2015 წლების შუალედური ანგარიში.

გახსნა ამან მთავრობა?

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: მცირედი ცვლილება
მოქალაქეთა ჩართულობა: მცირედი ცვლილება
ანგარიშვალდებულება: მცირედი ცვლილება

შუალედური ანგარიშის მიხედვით, ეს ვალდებულება OGP–ის ყველა ძირითად ღირებულებას, კერძოდ, ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მოქალაქეთა ჩართულობას და ანგარიშვალდებულებას, უკავშირდებოდა. მანამდე არასამთავრობო ორგანიზაციებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, მიეღოთ მონაწილეობა საკონკურსო კომისიების საქმიანობაში და გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები საჯარო სამსახურში კადრების მიღებასთან დაკავშირებით. ადრე საზოგადოებისთვის მთელი ეს პროცესი დახურული იყო, რაც საკონკურსო კომისიის წევრების მიერ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღებას, საჯარო მოხელეების პოლიტიკური ნიშნით განთავისუფლებას და საჯარო სამსახურში ნეპოტიზმისა და ფავორიტიზმის ფაქტების არსებობის გამო საზოგადოების უკმაყოფილებას იწვევდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესის გახსნისთვის პოზიტიური ცვლილება განხორციელდა, ადგილობრივ დონეზე ზოგიერთი საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა. კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელებს (და არა საჯარო სამსახურის ბიუროს) ჰქონდათ სრული უფლებამოსილება, განესაზღვრათ საკონკურსო კომისიების წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა. ზოგიერთ შემთხვევაში დამოუკიდებელ დამკვირვებლებს არ ეძლეოდათ საშუალება, საკონკურსო კომისიების სხდომებს დასწრებოდნენ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში კადრების მიღების პროცესს სრულად დაჰკვირვებოდნენ. არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშების მიხედვით, სწორედ ადგილობრივ დონეზე არსებობდა პოლიტიკურ მიკერძოებულობასთან, ნეპოტიზმსა და ფავორიტიზმთან დაკავშირებული უფრო მაღალი რისკები.[2] მიუხედავად ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა, რომელთანაც IRM–ის მკვლევარმა ინტერვიუ ჩაატარა, აღნიშნა, რომ საკონკურსო კომისიებში ჩართულობამ ორგანიზაციას საშუალება მისცა, საჯარო სამსახურში მიღების პროცესთან დაკავშირებით უფრო მეტი ინფორმაცია მიეღო და ამ პროცესში აქტიური მონაწილეობით შეემუშავებინა უფრო გამიზნული რეკომენდაციები არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ უშუალოდ კადრების მიმღებ საჯარო უწყებებს წარუდგინონ საჩივრები მათი შერჩევის სხვადასხვა ეტაპზე, რაც კადრების მიღების პროცესთან დაკავშირებით ამ უწყებების მეტ ანგარიშვალდებულებას უზრუნველყოფს. შესაბამისად, დაინტერესებული მხარეების აზრით, საჯარო სამსახურში მიღების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების მიუხედავად, აღნიშნულმა ვალდებულებამ ამ პროცესთან დაკავშირებით მთავრობის ღიაობის გაზრდაზე მცირედი გავლენა მაინც მოახდინა.[3]

გაგრძელდა სამომავლოდ?

მთავრობამ ეს ვალდებულება არ გააგრძელა, რადგან იგი უკვე შესრულებული იყო. საჯარო სამსახურში (განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე) მიღების მიმართ მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, მთავრობამ შემდეგი ღონისძიებები უნდა განახორციელოს:

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის სავალდებულო უნდა გახდეს საკონკურსო კომისიებში დამოუკიდებელი დამკვირვებლების ჩართვა;
- დამოუკიდებელი დამკვირვებლები თავისუფლად უნდა იქნენ დაშვებული კონკურსის ყველა ეტაპზე, მათ შორის, ინტერვიუს ეტაპზე და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დროს;
- შემოღებული უნდა იქნეს იმ ინფორმაციის გაცემის ერთიანი საკანონმდებლო სტანდარტი, რომლის მიმართაც მაღალი საჯარო ინტერესი არსებობს;
- დაინტერესებულ მხარეებს სრულყოფილად და დროულად უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია ვაკანსიებზე განმცხადებელთა შესახებ, მათ შორის, მათი კონკურსის შედეგების თაობაზე;
- კონკურსის ჩატარებამდე უნდა შემუშავდეს კანდიდატების შერჩევის ნათელი კრიტერიუმები;

- შესაძლებელი უნდა იყოს წერითი ტესტის შედეგების ტესტირების დასრულებისთანავე, ადგილზე ამობეჭდვა საბოლოო შედეგებთან შესადარებლად;
- ყველა მუნიციპალიტეტში სხვადასხვა რანგის საჯარო მოხელეთათვის წერითი ტესტის ჩაბარების ერთიანი ბარიერი უნდა შემუშავდეს;
- უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი ორგანო, რომელსაც კონკურსის შედეგებთან დაკავშირებით კანდიდატების საჩივრების განხილვა დაევალება.

[1] იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 13 სამოქმედო გეგმაში, გვ. 20, http://bit.ly/1Yf5K76.
[2] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საჯარო მოხელეთა ატესტაცია–კონკურსის პროცესის მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში, 2015 წლის 22 დეკემბერი, http://bit.ly/2iUM2SB.
[3] გიგი ჩიხლაძე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ უფროსი იურისტი, ინტერვიუ IRM–ის მკვლევართან, 2016 წლის 17 აგვისტო.

14 | საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემა[1]

დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შემუშავებასთან დაკავშირებულ პროცესებს კოორდინაციას სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურო გაუწევს. ეს პროცესი სამთავრობო უწყებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით წარიმართება.

წამყვანი დაწესებულება: საჯარო სამსახურის ბიურო

დამხმარე დაწესებულებები: ანტიკორუფციული საბჭო, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)

დაწყების თარიღი: 2014 წლის მარტი

დასრულების თარიღი: 2015 წელი

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP–ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება		შუალედური / საბოლოო		გახსნა ამან მთავრობა?				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებული	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვალა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი	გამორჩეული
14. საჯარო მოხელეთა ქონებრივი ხელმისაწვდომობა მონიტორინგის სისტემა		✗			✗		✗				✗				✗			✗			
															✗						

ვალდებულების მიზანი:

ამ უკვე არსებული ვალდებულების მიზანი იყო საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შექმნა საჯარო სამსახურში კორუფციის რისკების შესამცირებლად.

სტატუსი

შუალედური: არსებითი

ეს ვალდებულება შუალედური ანგარიშის შედგენის დროს არსებითად იყო შესრულებული. 2014 წელს საჯარო სამსახურის ბიურომ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შესაბამისი სამთავრობო უწყებებისგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტებისგან შედგებოდა. 2015 წლის თებერვალში ანტიკორუფციული საბჭოს ფარგლებში კიდევ ერთი უწყებათაშორისი ჯგუფი შეიქმნა. საჯარო სამსახურის ბიურომ ქვეყნის მასშტაბით 8 საჯარო კონსულტაცია ჩაატარა და საზოგადოებისგან მიღებული მოსაზრებები მის მიერ შემუშავებულ საკანონმდებლო პაკეტში ასახა. ეს პაკეტი ჯერ, 2015 წლის ივნისში ანტიკორუფციულ საბჭოს წარედგინა, ხოლო ერთი თვის შემდეგ – პარლამენტს. 2015 წლის აგვისტოს მდგომარეობით, ძირითად კანონპროექტს პარლამენტში უკვე გავლილი ჰქონდა პირველი მოსმენა.

კანონპროექტის მიხედვით, საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსს უნდა შეექმნა დამოუკიდებელი კომისია, რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებდა სამოქალაქო საზოგადოება და რომელიც

მონიტორინგისთვის დეკლარაციებს შემთხვევითი შერჩევის წესით, სპეციალური მეთოდოლოგიის გამოყენებით შეარჩევდა. ბიურო შემთხვევითი შერჩევის წესით შერჩეულ დეკლარაციათა მონიტორინგის შედეგებს ყოველი წლის დასაწყისში პროაქტიულად გამოაქვეყნებდა.

საბოლოო: არსებითი

ამ ვალდებულების შესრულების დონე არ შეცვლილა და იგი საბოლოო ანგარიშის შედგენის დროისთვის შეუსრულებელი დარჩა. 2015 წლის ოქტომბერში პარლამენტმა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მომზადებული საკანონმდებლო პაკეტი მიიღო. თუმცა დეკლარაციების მონიტორინგის ახალი სისტემა მხოლოდ 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება, რაც მეორე სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდის მიღმაა.[2]

გახსნა ამან მთავრობა?

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: არაფერი შეცვალა
ანგარიშვალდებულება: არაფერი შეცვალა

შუალედური ანგარიშის მიხედვით, ეს ვალდებულება ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდას უკავშირდებოდა. მანამდე საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის ოფიციალური მექანიზმი არ არსებობდა და არასამთავრობო ორგანიზაციები ხშირად აქვეყნებდნენ ანგარიშებს, რომლებშიც საჯარო მოხელეების მიერ დეკლარაციებში მათი ქონების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამალვის ან არასწორი მონაცემების შეტანის ფაქტები იყო აღნიშნული. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ IRM-ის 2014-2015 წლების შუალედური ანგარიში. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მონიტორინგის ახალი სისტემა მეორე სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდში არ ამოქმედებულა, აღნიშნულმა ვალდებულებამ მთავრობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების არსებული პრაქტიკა ვერ შეცვალა.

გაგრძელდა სამომავლოდ?

მთავრობამ ეს ვალდებულება გააგრძელა. საჯარო სამსახურის ბიურომ მიზნად დაისახა, ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის ახალი სისტემა 2017 წელს აემოქმედებინა. ამ სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის მთავრობამ საჯარო სამსახურის ბიურო შესაბამისი რესურსებით უნდა აღჭურვოს, მონიტორინგის შედეგები სამუშაოს ჩატარებიდან ერთ თვეში უნდა გამოაქვეყნოს და უარყოფითი შეფასების მიზეზები უნდა მიუთითოს. ამას გარდა, იქიდან გამომდინარე, რომ ახალი სისტემა მხოლოდ 2017 წლის იანვრის შემდეგ წარდგენილ დეკლარაციებს შეეხება, მთავრობისადმი არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციაა, რომ ეს სისტემა წარსულში წარდგენილ დეკლარაციებსაც შეეხოს, რადგან მათ შეიძლება საჯარო სამსახურში კორუფციის ფაქტებთან დაკავშირებით ღირებული ინფორმაცია გამოავლინონ.[3]

[1] იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 14 სამოქმედო გეგმაში, გვ. 21, http://bit.ly/1Yf5K76.
[2] „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 18, პუნქტი 1, http://bit.ly/1Lo3Pbg.
[3] გიორგი თოფურია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ უფროსი ანალიტიკოსი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2016 წლის 30 ივლისი.
[3] ნაცვლიშვილი, ინტერვიუ, 2016 წლის აგვისტო.

16 | სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდის ხელმისაწვდომობა[1]

ამჟამად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის (კერძოდ, უსინათლოთათვის) შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია ვებგვერდის, www.police.ge–ს, მეშვეობით სრულად ხელმისაწვდომი არ არის. შინაგან საქმეთა სამინისტრო საზოგადოებასთან კომუნიკაციას ელექტრონული ფოსტისა და „Facebook"–ის გამოყენებით ახორციელებს. თუმცა ამ უწყების მიზანია საზოგადოებასთან ურთიერთობის შემდგომი განვითარება და ამისთვის სამინისტროს ვებგვერდზე „ღია ბიჭის" აპლიკაციის განთავსება.

ვალდებულების ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი ხელმისაწვდომი გახდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. დაინერგება ონლაინკონსულტაციების მექანიზმი. „ღია ბიჭის" აპლიკაციით მოქალაქე შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ თემაზე მის თანამშრომელს დაუკავშირდება და შეკითხვით თუ რეკომენდაციით მიმართავს.

წამყვანი დაწესებულება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

დამხმარე დაწესებულებები: განსაზღვრული არ არის

დაწყების თარიღი: 2014 წლის მაისი

დასრულების თარიღი: 2014 წელი

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP–ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება		შუალედური / საბოლოო		გახსნა ამან მთავრობა?				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვალა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი	გამორჩეული
16. სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდის ხელმისაწვდომობა				✗	✗						✗					✗ / ✗					✗

ვალდებულების მიზანი:

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვალდებულება აიღო, მის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია უსინათლო და მხედველობადაქვეითებული ადამიანებისთვისაც გაეხადა ხელმისაწვდომი, ასევე, ზოგადად, მოქალაქეებთან კომუნიკაცია გაეუმჯობესებინა.

სტატუსი

შუალედური: შესრულებული

ეს ვალდებულება შუალედური ანგარიშის შედგენამდე შესრულდა. სპეციალური ვებგვერდი, voice.police.ge, რომელიც police.ge–ზე განთავსებული ინფორმაციის მოსმენის საშუალებას იძლევა, 2014 წელს ამოქმედდა. ამას წინ უძღოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსულტაციები „საქართველოს უსინათლოთა კავშირის“ წარმომადგენლებთან, რათა ახალი ვებგვერდი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს მორგებოდა. გარდა ამისა, 2015 წლის იანვარში შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოქალაქეებთან უფრო აქტიური კომუნიკაციისთვის თავის „Facebook“– გვერდზე „ლაივჩათის“ აპლიკაცია აამოქმედა.

გახსნა ამან მთავრობა?

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: გამორჩეული

შუალედური ანგარიშის მიხედვით, ეს ვალდებულება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდას უკავშირდებოდა. მანამდე უსინათლო და მხედველობადაქვეითებულ ადამიანებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, მიეღოთ განახლებული ინფორმაცია მთავრობის, განსაკუთრებით შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის შესახებ. შესაბამისად, „საქართველოს უსინათლოთა კავშირის“ წარმომადგენლის თქმით, ხმოვანი საჯარო ვებგვერდების შექმნა არის გამორჩეული რეფორმული ინიციატივა, რომელიც ყველა მოქალაქისადმი მთავრობის ღიაობას უზრუნველყოფს. კავშირის წევრებს, რომლებიც voice.police.ge–ს შექმნაში იყვნენ ჩართული, არ აქვთ პრობლემა ამ ახალი ვებგვერდის გამოყენების დროს, არც შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კომუნიკაციის დროს, რომლისგანაც ისინი რეგულარულად იღებენ განახლებულ ინფორმაციას სამინისტროს საქმიანობის შესახებ.[2]

გაგრძელდა სამომავლოდ?

მთავრობამ ეს ვალდებულება არ გააგრძელა, რადგან იგი უკვე შესრულებული იყო. IRM–ის მკვლევრის რეკომენდაციაა, რომ მიღებულ იქნეს საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ყველა საჯარო უწყებას დაავალდებულებს, თავიანთი ვებგვერდები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს მოარგონ. ამასთანავე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ რეგულარულად უნდა გამოაქვეყნოს მონაცემები voice.police.ge–ს და „ლაივჩათის“ აპლიკაციის გამოყენების სიხშირის და ამ მექანიზმებით მომხმარებელთა კმაყოფილების დონის შესახებ, ასევე უნდა ჰკითხოს მომხმარებლებს, დამატებით რა ინფორმაციის ან მომსახურების მიღება სურთ მათ სამინისტროსგან.

[1] იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 16 სამოქმედო გეგმაში, გვ. 23, http://bit.ly/1Yf5K76.
[2] ლადო ურდულაშვილი, „საქართველოს უსინათლოთა კავშირის“ წევრი და ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი, სატელეფონო ინტერვიუ IRM–ის მკვლევართან, 2016 წლის 25 აგვისტო.

17 | ფარული მიყურადების მონაცემების პროაქტიული გამოქვეყნება[1]

სამართალდამცავი ორგანოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად საქართველოს უზენაესი სასამართლო 2014 წლიდან აწარმოებს ოპერატიულ–სამძებრო ღონისძიების ჩატარების შუამდგომლობის განხილვის სტატისტიკას, თუმცა მონაცემები მეორე სამოქმედო გეგმის შემუშავების ეტაპისთვის პროაქტიულად გამოქვეყნებული არ ყოფილა.

მოქმედი კანონმდებლობით სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების განხორციელება მხოლოდ მოსამართლის თანხმობით არის შესაძლებელი. სასამართლოს შეუძლია აწარმოოს სტატისტიკა და იგი პროაქტიულად გამოაქვეყნოს. საქართველოს უზენაესი სასამართლო 2014 წლის სექტემბრიდან მიყურადების შესახებ კვარტალურ სტატისტიკას, 2015 წლიდან კი – წლიურ სტატისტიკას გამოაქვეყნებს.

წამყვანი დაწესებულება: საქართველოს უზენაესი სასამართლო

დამხმარე დაწესებულებები: განსაზღვრული არ არის

დაწყების თარიღი: 2014 წლის სექტემბერი

დასრულების თარიღი: 2015 წლის იანვარი

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP–ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება		შუალედური / საბოლოო		გახსნა ამან მთავრობა?				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისთვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვალა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი	გამორჩეული
17. ფარული მიყურადების მონაცემების პროაქტიული გამოქვეყნება				✗	✗							✗				✗ / ✗					✗

ვალდებულების მიზანი:

მთავრობის ფარული მიყურადების პრაქტიკის ზოგიერთი კომპონენტის შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის მისაღებად უზენაესმა სასამართლომ სატელეფონო მიყურადების შესახებ სტატისტიკის რეგულარულად, საჯაროდ გამოქვეყნების ვალდებულება აიღო.

სტატუსი

შუალედური: შესრულებული

ეს ვალდებულება შუალედური ანგარიშის შედგენამდე შესრულდა. უზენაესი სასამართლომ სატელეფონო მიყურადების შესახებ სტატისტიკის წარმოება აღნიშნული საკითხის მიმართ მაღალი საჯარო ინტერესის გათვალისწინებით 2014 წლის იანვრიდან დაიწყო. საწყის ეტაპზე სტატისტიკა მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის წარმოებდა. თუმცა, ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის წევრების თხოვნისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების განხორციელების შემდეგ სასამართლომ 2014 წლის ოქტომბრიდან მეორე სამოქმედო გეგმაში

შეტანილი ვალდებულების მიხედვით ყოველწლიური სტატისტიკის, ხოლო 2015 წლიდან – უკვე კვარტალური სტატისტიკის პროაქტიულად გამოქვეყნება დაიწყო. სასამართლოს ვებგვერდზე PDF–ფაილების სახით წარმოდგენილი მონაცემები შეიცავს ინფორმაციას პროკურატურის მიერ სასამართლოებისთვის წარდგენილი ფარული სატელეფონო მიყურადების შუამდგომლობების რაოდენობის და სასამართლოების მიერ ამ შუამდგომლობების დაკმაყოფილების შესახებ. როგორც უზენაესი სასამართლოს წარმომადგენელმა განმარტა, ეს მონაცემები, ფარული მიყურადების ობიექტების პერსონალური ინფორმაციის დაცვის ვალებულებიდან გამომდინარე, მეტ დეტალს არ შეიცავს.

გახსნა ამან მთავრობა?

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: გამორჩეული

შუალედური ანგარიშის მიხედვით, ეს ვალდებულება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდას უკავშირდებოდა. მანამდე ხშირად ქვეყნდებოდა ანგარიშები მთავრობის მიერ მოქალაქეების უკანონო სატელეფონო მიყურადებასთან დაკავშირებით. ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა ამ სფეროში მეტი გამჭვირვალობა მოითხოვეს. შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეებს მიაჩნიათ, რომ მიყურადების მონაცემების პროაქტიული გამოქვეყნება გამორჩეული ვალდებულებაა მთავრობის გამჭვირვალობის გასაზრდელად და იგი პირდაპირ უპასუხებს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხს. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თქმით, ეს ორგანიზაციები აქტიურად იყენებენ ამ ახალ მონაცემებს კამპანია „ეს შენ გეხებას“ ფარგლებში საკუთარი ადვოკატირების ღონისძიებების წარმატებით განსახორციელებლად. აღნიშნული კამპანიის მიზანია მთავრობის მიერ მოქალაქეების მიყურადების ყოვლისმომცველი პრაქტიკის შეზღუდვა და მასზე ეფექტიანი ზედამხედველობა.[2,3]

გაგრძელდა სამომავლოდ?

მთავრობამ ეს ვალდებულება გააგრძელა. შუალედურ ანგარიშში მოცემული IRM–ის რეკომენდაციისა და ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის წევრების თხოვნის გათვალისწინებით, უზენაესმა სასამართლომ აიღო ვალდებულება, გამოაქვეყნოს დამატებითი მონაცემები, რომლებიც დახარისხებული იქნება მოსმენის ობიექტის მიერ ჩადენილი დანაშაულის ტიპისა და სიმძიმის, ასევე იმ პირების კატეგორიის მიხედვით, რომელთა მიერ წარდგენილ ფარული სატელეფონო მიყურადების შუამდგომლობასაც სასამართლო აკმაყოფილებს. ამ მონაცემების წაკითხვის გასაადვილებლად სასამართლომ მათი Excel–ის ცხრილების სახით გამოქვეყნების ვალდებულებაც აიღო.

[1] იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 17 სამოქმედო გეგმაში, გვ. 24, http://bit.ly/1Yf5K76.
[2] კლდიაშვილი, ინტერვიუ, 2016 წლის აგვისტო.
[3] ნაცვლიშვილი, ინტერვიუ, 2016 წლის აგვისტო.

18 | საარჩევნო პროცესების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება[1]

ამომრჩეველთა ჩართულობის გაზრდისა და საარჩევნო პროცესებში მონაწილე მხარეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (შემდგომ – ცესკო) და სსიპ – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი (შემდგომ – სწავლების ცენტრი) სხვადასხვა ფორმატის საინფორმაციო ღონისძიებებს განახორციელებენ.

წამყვანი დაწესებულებები: ცესკო, სწავლების ცენტრი

დამხმარე დაწესებულებები: ცესკო, ყველა დაინტერესებული საჯარო უწყება, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები

დაწყების თარიღი: 2014 წლის სექტემბერი დასრულების თარიღი: 2015 წლის ოქტომბერი

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP–ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება		შუალედური	საბოლოო	გახსნა ამან მთავრობა?				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისთვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვალა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი	გამორჩეული
18. საარჩევნო პროცესების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება			✗		✗	✗					✗				✗	✗				✗	

ვალდებულების მიზანი:

საარჩევნო პროცესებზე მოქალაქეთა უკეთ ინფორმირებისთვის და ამ პროცესებში მათი აქტიური ჩართულობისთვის ცესკომ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელების ვალდებულება აიღო. ეს გულისხმობდა უნივერსიტეტებში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, ამომრჩეველთა სხვადასხვა ჯგუფისთვის და არჩევნებში მონაწილე მხარეებისთვის ტრენინგების ჩატარებას, ასევე გენდერული თანასწორობის პროექტებისა და გრანტების განხორციელებას საზოგადოების საარჩევნო კულტურის ასამაღლებლად.

სტატუსი

შუალედური: არსებითი

ეს ვალდებულება შუალედური ანგარიშის შედგენის დროს არსებითად იყო შესრულებული. ცესკომ ქვეყნის მასშტაბით 19 წამყვან უნივერსიტეტთან გააფორმა მემორანდუმები, რათა საარჩევნო სამართლის კურსი მათი სასწავლო პროგრამების ნაწილი გამხდარიყო. ამ პროექტის ფარგლებში 2015 წლის აპრილში სწავლების ცენტრმა სტუდენტებისთვის შექმნა იურიდიული კლინიკა, რომლის ეგიდით ეწყობოდა თემატური დებატები საარჩევნო საკითხებზე, მაგალითად, საარჩევნო ასაკსა და გენდერულ კვოტებზე.

გარდა ამისა, ცესკომ 70 ობოდი ბავშვისთვის (მათ შორის, 18 წელს მიღწეული მოზარდებისთვის, რომლებიც არჩევნებში პირველად მონაწილეობენ) თბილისსა და ქუთაისში ორკვირიანი საარჩევნო კურსი ჩაატარა. 2015 წლის ივლისში მან საქართველოს 10 საარჩევნო ოლქში 17–დან 25 წლამდე ახალგაზრდებისთვის პროექტის „საარჩევნო განვითარების სკოლები“ განხორციელება დაიწყო. ცესკომ 923 განაცხადი მიიღო. მათგან 550 შეირჩა. ცესკოს თავმჯდომარის თქმით, კურსის შესახებ მონაწილეთა პირველი შეფასება ძალიან პოზიტიური იყო. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ IRM–ის 2014–2015 წლების შუალედური ანგარიში.

და ბოლოს, ცესკომ ორი საგრანტო კონკურსი გამოაცხადა. პირველი მათგანი ოთხ ძირითად პრიორიტეტზე იყო ორიენტირებული: 1) ამომრჩეველთა განათლება; 2) ქალების პოლიტიკური მონაწილეობა; 3) პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების გაძლიერება, განსაკუთრებით რეგიონულ დონეზე; 4) საზოგადოებრივ–პოლიტიკურ პროცესებში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის ხელშეწყობა. ამ საგრანტო კონკურსზე ცესკომ 75–ზე მეტი განაცხადი მიიღო და 25 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია 1.3 მილიონი ლარით დააფინანსა. 2015 წლის ივლისში მან გამოაცხადა მეორე საგრანტო კონკურსი, რომელიც ორ პრიორიტეტზე იყო ორიენტირებული: 1) 2015 წლის ოქტომბერში გასამართ პარლამენტის შუალედურ არჩევნებზე ამომრჩეველთა ინფორმირება; 2) 2015 წლის ოქტომბერში გასამართი პარლამენტის შუალედური არჩევნების პროცესში მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის ხელშეწყობა.

საბოლოო: შესრულებული

ეს ვალდებულება საბოლოო ანგარიშის შედგენამდე შესრულდა. 2015 წლის სექტემბრიდან 2016 წლის ივლისამდე პერიოდში ცესკომ ამომრჩეველთა სხვადასხვა ჯგუფისთვის და არჩევნებში მონაწილე მხარეებისთვის (მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებისთვის, ახალგაზრდებისთვის, საარჩევნო საკითხებზე მომუშავე იურისტებისთვის, საარჩევნო კომისიების წევრებისთვის, პოლიტიკური პარტიებისთვის და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებისთვის) ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები მოაწყო. გარდა ამისა, მან გენდერისა და არჩევნების საკითხებზე რეგიონული კონფერენცია და ტრენინგების ციკლი ჩაატარა.[2] კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ცესკომ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობით შეიმუშავა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული გეგმა (2015–2019), რომელშიც შეტანილ იქნა ისეთი ვალდებულებები, როგორებიცაა გენდერული პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება და ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის ხელშეწყობა.[3]

გახსნა ამან მთავრობა?

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: მნიშვნელოვანი ცვლილება
მოქალაქეთა ჩართულობა: მნიშვნელოვანი ცვლილება

შუალედური ანგარიშის მიხედვით, ეს ვალდებულება ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას უკავშირდებოდა. საქართველოში მოქალაქეები საარჩევნო პერიოდის დასრულების შემდეგ საარჩევნო პროცესებისადმი ინტერესს კარგავენ, რაც იმით არის განპირობებული, რომ ისინი სკოლებში საარჩევნო განათლებას არ იღებენ და, ზოგადად, ამ პროცესების შესახებ მწირი ინფორმაცია აქვთ. შესაბამისად, დაინტერესებული მხარეების აზრით, ცესკოს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებმა მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაზრდაში და არჩევნების სფეროში მათ აქტიურ მონაწილეობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. ცესკომ, პოლიტიკურმა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა „საარჩევნო განვითარების სკოლების“ კურსდამთავრებულები 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დროს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებად და დამკვირვებლებად დაასაქმეს. უფრო მეტიც, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საიამ) ერთ–ერთ კურსდამთავრებულს სამუშაო კონტრაქტი შესთავაზა. საია უფრო მეტ კურსდამთავრებულს

დაასაქმებს, რათა ისინი მის მიერ განხორციელებულ საარჩევნო პროცესების მონიტორინგსა და ანალიტიკურ საქმიანობაში ჩაერთონ.[4]

გაგრძელდა სამომავლოდ?

მთავრობამ ეს ვალდებულება არ გააგრძელა, რადგან იგი უკვე შესრულებული იყო. დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციაა, რომ ცესკომ „საარჩევნო განვითარების სკოლები“ მოაწყოს არა მხოლოდ ახალგაზრდებისთვის, არამედ საზოგადოების სხვა ჯგუფებისთვისაც, რომელთაც საარჩევნო განათლება აკლიათ.[5]

[1] იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 18 სამოქმედო გეგმაში, გვ. 25, http://bit.ly/1Yf5K76.
[2] ცესკო (საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია), ღონისძიებების კალენდარი, http://bit.ly/2kiZ5cB.
[3] საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული გეგმა (2015–2019), http://bit.ly/2bRn4NS.
[4] ირმა პავლიაშვილი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საარჩევნო პროექტების იურისტი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2016 წლის 12 ოქტომბერი.
[5] პავლიაშვილი, ინტერვიუ, 2016 წლის ოქტომბერი.

19 | საბიუჯეტო პროცესების გამჭვირვალობა[1]

საბიუჯეტო პროცესებზე საზოგადოების ინფორმირება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე პრეზენტაციებისა და საჭირო დოკუმენტების განთავსებით ხდება, თუმცა ამ პროცესის სამართავად ფორმალიზებული სქემა არ არსებობს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კოორდინაციით, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდა კონკრეტული ღონისძიებების ნუსხა და სქემა, რომლის მიხედვითაც მოხდება საბიუჯეტო პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელება, საზოგადოებისთვის მიწოდება და ამ პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართვა.

წამყვანი დაწესებულება: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დამხმარე დაწესებულებები: საქართველოს პარლამენტი, საერთაშორისო ორგანიზაციები, ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციები

დაწყების თარიღი: 2014 წლის ივლისი დასრულების თარიღი: 2015 წლის დეკემბერი

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება		შუალედური	საბოლოო	გახსნა ამან მთავრობა?				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისთვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვალა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი	გამორჩეული
19. საბიუჯეტო პროცესების გამჭვირვალობა			✗		✗	✗					✗					✗		✗			
																✗					

ვალდებულების მიზანი:

საბიუჯეტო პროცესების მეტი გამჭვირვალობისთვის ფინანსთა სამინისტრომ ძირითადი საბიუჯეტო დოკუმენტების საინფორმაციო პრეზენტაციებთან ერთად გამოქვეყნების და საზოგადოების აზრის გასაგებად ონლაინკითხვარის შექმნის ვალდებულება აიღო.

სტატუსი

შუალედური: შესრულებული

ეს ვალდებულება შუალედური ანგარიშის შედგენამდე შესრულდა. 2014 წლის ივნისში ფინანსთა სამინისტრომ თავის ვებგვერდზე განთავსებული ონლაინკითხვარი განაახლა, რათა მოქალაქეებს საშუალება ჰქონოდათ, 2016 წლისთვის უკეთ დაეგეგმათ საკუთარი საბიუჯეტო პრიორიტეტები სხვადასხვა სექტორის მიხედვით. 2015 წლის აგვისტოს მონაცემებით, ეს კითხვარი 4157-მა მოქალაქემ შეავსო. მათი პრიორიტეტები იყო განათლება, მეცნიერება, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამები. გარდა ამისა, 2015 წელს ფინანსთა სამინისტრომ უფრო ხელმისაწვდომ ფორმატში გამოაქვეყნა მოქალაქის ბიუჯეტი, რომელიც უკვე მიღებული

სახელმწიფო ბიუჯეტის უფრო მოკლე და ნაკლებად ტექნიკური ვარიანტია. ეს დოკუმენტი შეიცავდა საინფორმაციო ცხრილებსა და გრაფებს, რომლებიც ბიუჯეტის ძირითად მონაცემებს აჯამებდა.

გახსნა ამან მთავრობა?

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: არაფერი შეცვალა
მოქალაქეთა ჩართულობა: არაფერი შეცვალა

შუალედური ანგარიშის მიხედვით, ეს ვალდებულება ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას უკავშირდებოდა. მთავრობა მოქალაქეებს ბიუჯეტის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის, თუმცა მოქალაქეებს შეზღუდული აქვთ შესაძლებლობა, საბიუჯეტო პროცესებში ჩაერთონ და საბიუჯეტო პროგრამების მათ საჭიროებებზე მორგება უზრუნველყონ. აღნიშნული ვალდებულების მნიშვნელობის მიუხედავად, დაინტერესებული მხარეების აზრით, მან მთავრობის საბიუჯეტო გამჭვირვალობის არსებული პრაქტიკა ვერ შეცვალა. მთავრობა მეორე სამოქმედო გეგმის მიღებამდეც თანამიმდევრულად აქვეყნებდა ყველა ძირითად საბიუჯეტო დოკუმენტს და საინფორმაციო პრეზენტაციებს. გარდა ამისა, ფინანსთა სამინისტროს ონლაინკითხვარი ისე იყო შედგენილი, რომ იგი საბიუჯეტო პროცესის სხვადასხვა ეტაპზე მოქალაქეთა ჩართულობას ვერ უზრუნველყოფდა და არც უკუკავშირის მექანიზმი ჰქონდა.[2] იქიდან გამომდინარე, რომ არ მომხდარა კითხვარის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა, ის მხოლოდ 4814 მოქალაქემ შეავსო, რაც საქართველოს მოსახლეობის (3.7 მილიონი) 0.1 პროცენტია.[3] და ბოლოს, ეს კითხვარი არ განახლებულა, რის გამოც მოქალაქეებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, საკუთარი პრიორიტეტები 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებითაც განესაზღვრათ.

გაგრძელდა სამომავლოდ?

მთავრობამ ეს ვალდებულება არ გააგრძელა. საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის ინსტიტუციონალიზაციისთვის მთავრობამ უნდა შეიმუშაოს საკანონმდებლო პროცედურები, რომელთა მიხედვით, ფინანსთა სამინისტრო ვალდებული იქნება, მოქალაქეები საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე ჩართოს გადაწყვეტილების მიღებაში, მათ შორის, ბიუჯეტის შემუშავებაში, შესრულებასა და მონიტორინგში. ფინანსთა სამინისტრომ თავისი ხარჯვითი პროგრამები საზოგადოების საჭიროებებს უნდა მოარგოს, რისთვისაც მან მოქალაქეებთან კომუნიკაცია პროაქტიულად უნდა განახორციელოს, უფრო ეფექტიანად უნდა ჩართოს ისინი საბიუჯეტო განხილვებში და მათი მოსაზრებები ძირითადი პრიორიტეტების თაობაზე მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებებში უნდა ასახოს. გარდა ამისა, ფინანსთა სამინისტრომ საბიუჯეტო დოკუმენტები ღია მონაცემთა ფორმატში უნდა გამოაქვეყნოს და მომხმარებლებს ამ მონაცემების დახარისხების და კონკრეტული ინფორმაციის ძირითადი სიტყვებით მოძიების საშუალება უნდა მისცეს. და ბოლოს, ფინანსთა სამინისტრომ საბიუჯეტო ხარჯებზე, შემოსავლებსა და სახელმწიფოს ვალზე სხვადასხვა მაკროეკონომიკურ გათვლაში (როგორებიცაა, მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდა და ინფლაციის დონე) შესაძლო ცვლილებების შედეგების ანალიზი უნდა გამოაქვეყნოს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში არსებული ბოლოდროინდელი სავალუტო კრიზისისა და ფასების ზრდის კონტექსტში.

[1] იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 19 სამოქმედო გეგმაში, გვ. 26, http://bit.ly/1Yf5K76.
[2] მიხეილ კუკავა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ უფროსი ანალიტიკოსი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2016 წლის 1 აგვისტო.
[3] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი, http://bit.ly/2bl7N4Y.

20 | შესყიდვების ელექტრონული სისტემა[1]

სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობის გასაზრდელად სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო გააფართოებს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემას მასში კონკურსის ელექტრონული მოდულის ინტეგრირებით.

დღეს არსებული წესის შესაბამისად, კონკურსი, რომელიც სახელმწიფო შესყიდვის აღტერნატიული სახეა, სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე ცხადდება. კონკურსის ჩატარება არ არის სრულად ავტომატიზებული, როგორც ეს ტენდერის შემთხვევაშია. კონკურსი შემსყიდველ ორგანიზაციაში ტარდება, ხოლო კონკურსთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ეგზავნება სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, რომელიც მას თავის ვებგვერდზე აქვეყნებს.

ეს მეთოდი ვერ უზრუნველყოფს გამჭვირვალობისა და საჯაროობის ისეთ ხარისხს, როგორიც ტენდერის შემთხვევაშია. კონკურსის ჩატარებისას შემსყიდველი ორგანიზაცია ფართო ავტონომიით სარგებლობს. ამასთანავე, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები დავების განხილვის საბჭოში არ საჩივრდება.

კონკურსის ელექტრონული მოდულის დანერგვის შედეგად მიმწოდებლები კონკურსში მონაწილეობას სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიიღებენ, როგორც ეს ტენდერის შემთხვევაში ხდება. კონკურსების სისტემაში ინტეგრირება გეოგრაფიულ ბარიერს მოხსნის და კონკურსში მონაწილეობას გაამარტივებს. კონკურსების სისტემაში ინტეგრირების შედეგად უკვე შესაძლებელი იქნება საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებების დავების განხილვის საბჭოში გასაჩივრება, რაც კონკურსში მონაწილე მიმწოდებელთა უფლებების ეფექტიან დაცვას უზრუნველყოფს. კონკურსების სისტემაში ინტეგრირება კონკურსის ჩატარების პროცესს კიდევ უფრო გამჭვირვალეს გახდის, რაც პირდაპირ უპასუხებს OGP–ის პრინციპებს და სახელმწიფო ფინანსების ხარჯვის ეფექტიანობას უზრუნველყოფს.

წამყვანი დაწესებულება: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

დამხმარე დაწესებულებები: განსაზღვრული არ არის

დაწყების თარიღი: 2014 წლის ივნისი

დასრულების თარიღი: 2015 წლის მაისი

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP–ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება		შუალედური / საბოლოო		გახსნა ამან მთავრობა?				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვალა	მცირედ ცვლილება	მნიშვნელოვანი	გამორჩეული
20. შესყიდვების ელექტრონული სისტემა				✗	✗		✗				✗					✗			✗		
																✗					

ვალდებულების მიზანი:

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ ვალდებულება აიღო, შესყიდვების არსებული ელექტრონული სისტემა გაეუმჯობესებინა მასში კონკურსის ელექტრონული მოდულის ინტეგრირებით, რომელიც დიზაინის, არქიტექტურული და საინჟინრო სერვისების შესაძენად გამოიყენება.

სტატუსი

შუალედური: შესრულებული

ეს ვალდებულება შუალედური ანგარიშის შედგენამდე შესრულდა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ კონკურსის ელექტრონული მოდულის საპილოტო ვერსია 2015 წლის მაისში, ხოლო მთლიანი სისტემა – 2015 წლის 1 ივლისს აამოქმედა.

ძირითადი სიახლე ის არის, რომ კონკურსის ყველა პროცედურა (იგულისხმება შემოტანილი განაცხადების შერჩევა, შეფასება და გამარჯვებული კომპანიის შერჩევის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება) ელექტრონულად ხორციელდება. ახალი სისტემა ასევე ითვალისწინებს შემოტანილი განაცხადების ერთდროულად ფასისა და ხარისხის მიხედვით შეფასებას და გამარჯვებული განაცხადის ავტომატურად გამოვლენას. და ბოლოს, კონკურსის ელექტრონული მოდული განმცხადებელს საშუალებას აძლევს, საჩივრით მიმართოს დავების განხილვის საბჭოს, თუ მიიჩნევს, რომ მისი განაცხადი უსამართლოდ იქნა დისკვალიფიცირებული.

შესაბამისი დაინტერესებული მხარეების (მათ შორის, შემსყიდველი საჯარო უწყებების და კერძო კომპანიების) ინფორმირებისთვის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ სხვადასხვა ქალაქში ჩაატარა საჯარო კონსულტაციები იმაზე, თუ როგორ მუშაობს კონკურსის ელექტრონული მოდული პრაქტიკაში. გარდა ამისა, სააგენტომ სპეციალური სახელმძღვანელო შეიმუშავა და იგი თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ IRM-ის 2014-2015 წლების შუალედური ანგარიში.

გახსნა ამან მთავრობა?

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: მცირედი ცვლილება
ანგარიშვალდებულება: მცირედი ცვლილება

შუალედური ანგარიშის მიხედვით, ეს ვალდებულება ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდას უკავშირდებოდა. სახელმწიფო შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობას მთავრობასა და კერძო სექტორში კორუფციის თავიდან აცილებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. დაინტერესებული მხარეების აზრით, კონკურსის ახალი ელექტრონული მოდული სასარგებლო მონიტორინგის მექანიზმია სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისთვის კონკურსის პროცესის გამჭვირვალობისა და მიუკერძოებლობის გასაზრდელად. თუმცა ის ვერ ჭრის შემდეგ პრობლემას: მთავრობა გამარტივებული შესყიდვების უკიდურესი საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე წარმოებაზე თანხმობას ბუნდოვანი კრიტერიუმების მიხედვით გასცემს. გამარტივებული შესყიდვები შემსყიდველ ორგანიზაციებს, განსაკუთრებით სამართალდამცავ და თავდაცვის უწყებებს, საშუალებას აძლევს, მათთვის ხელსაყრელ მიმწოდებლებს მილიონობით ლარის ღირებულების კონტრაქტები შესყიდვების ელექტრონული სისტემის გვერდის ავლით გაუფორმონ, რაც კონკურენციას ამცირებს და კორუფციის რისკს ქმნის.[2,3] ამავე დროს, კონკურსი შესყიდვის ყველაზე იშვიათად გამოყენებული მეთოდია და, შესაბამისად, ელექტრონულ შესყიდვებზე ბევრად ნაკლები კონკურენცია ახასიათებს. კერძოდ, 2015 წლის ივლისიდან 2016 წლის ოქტომბრამდე პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე ელექტრონული კონკურსის წესით მხოლოდ 226 ტენდერი გამოცხადდა, ელექტრონული შესყიდვების ჩვეულებრივი წესით კი – ბოლო 6 წლის განმავლობაში 51131 ტენდერი (წელიწადში 8500-ზე მეტი). 226-დან მხოლოდ 4 ელექტრონული კონკურსის წესით გამოცხადებული ტენდერი იყო 1 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების. ყველაზე

ძვირად ღირებული ტენდერი 2016 წლის აგვისტოში გამოცხადდა – მისი ფასი 4 მილიონ ლარს შეადგენდა. ამის საპირისპიროდ, ელექტრონული შესყიდვების ჩვეულებრივი წესით გამოცხადებული 2036 ტენდერის ფასი 1 მილიონ ლარს აღემატებოდა. ყველაზე ძვირი ტენდერი 58 მილიონი ლარი ღირდა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ IRM–ის 2014–2015 წლების შუალედური ანგარიში. ამის გათვალისწინებით, IRM–მა დაადგინა, რომ აღნიშნულმა ვალდებულებამ მთავრობის ღიაობის გაზრდაზე მხოლოდ მცირედი გავლენა მოახდინა.

გაგრძელდა სამომავლოდ?

მთავრობამ ეს ვალდებულება გააგრძელა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ მიზნად დაისახა შესყიდვების არსებულ ელექტრონულ სისტემაში ისეთი დამატებითი კომპონენტების ინტეგრირება, როგორებიცაა: ახალი ვებგვერდი, რომელიც წარსულში ჩატარებული ყველა ტენდერის შესახებ გაერთიანებულ ინფორმაციას შეიცავს; e–Plan მოდული, რომელიც შემსყიდველი საჯარო უწყებების ყოველწლიური შესყიდვების გეგმების შესახებ დეტალურ ინფორმაციას შეიცავს; e–Market მოდული, რომელიც შესყიდვის ობიექტების საბაზრო ღირებულების ელექტრონულ კატალოგს შეიცავს.

არასამთავრობო ორგანიზაციები[4] ჩვეულებრივი და გამარტივებული წესებით გამოცხადებული ტენდერების მონიტორინგით უფრო არიან დაინტერესებული, ვიდრე ელექტრონული კონკურსის წესით გამოცხადებული ტენდერებისა. მათი და IRM–ის მკვლევრის აზრით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ გამარტივებული შესყიდვების წესით ჩასატარებელი ტენდერების მონიტორინგის ეფექტიანი სისტემა უნდა შექმნას. ამასთან დაკავშირებული კიდევ ერთი რეკომენდაციაა, რომ შეიზღუდოს შესყიდვების ელექტრონული სისტემის გვერდის ავლით ჩასატარებელი ტენდერების რაოდენობა და ნათლად განიმარტოს, რა იგულისხმება „უკიდურეს საზოგადოებრივ საჭიროებაში“ ასეთი ტენდერის ჩატარების შემთხვევაში. ეს, თავის მხრივ, უზრუნველყოფს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და თავდაცვის სამინისტრომ მათ მიერ ჩატარებული მნიშვნელოვანი საჯარო ტენდერების შესახებ ინფორმაცია ონლაინრეჟიმში გამოაქვეყნონ. და ბოლოს, ელექტრონული შესყიდვების ვებგვერდის მეშვეობით მომხმარებლებმა მათთვის საინტერესო ტენდერების შესახებ ელექტრონული შეტყობინებების ავტომატურად მიღება უნდა შეძლონ.

[1] იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 20 სამოქმედო გეგმაში, გვ. 27, http://bit.ly/1Yf5K76.
[2] საღაძე, ინტერვიუ, 2016 წლის ივლისი.
[3] თოფურია, ინტერვიუ, 2016 წლის ივლისი.
[4] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), „ჯამსტარტ ჯორჯია“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“.

მეთოდოლოგია

ეს ანგარიში ეფუძნება მთავრობის პროგრამების, კანონპროექტებისა და კანონების, მთავრობის თვითშეფასების ანგარიშის, მეორე სამოქმედო გეგმის ვალდებულებებისა და მათი შესრულების პროცესის მონიტორინგის სამაგიდო კვლევას. IRM-ის მკვლევარმა ასევე ჩაატარა ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, პასუხისმგებელი უწყებების წარმომადგენლებთან, სამოქალაქო საზოგადოების ძირითად სუბიექტებთან და უშუალო ბენეფიციარებთან. კერძოდ, მან 2016 წლის 4 ივლისიდან 25 აგვისტომდე პერიოდში პერსონალური შეხვედრები გამართა და სატელეფონო ზარები განახორციელა საჯარო უწყებების 13 თანამდებობის პირთან, სამოქალაქო საზოგადოების 7 წარმომადგენელთან და უსინათლო და მხედველობადაქვეითებული ადამიანებისთვის გათვალისწინებული ვალდებულების 1 უშუალო ბენეფიციართან. მიღებულმა ინფორმაციამ მეორე სამოქმედო გეგმის საბოლოო შეფასებაში ღირებული წვლილი შეიტანა.

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მიზანია გამჭვირვალობის, მოქალაქეთა უფლებამოსილებებით აღჭურვის, კორუფციასთან ბრძოლის და მმართველობის გაძლიერების მიზნით ახალი ტექნოლოგიების დასანერგად მთავრობების მიერ აღებული კონკრეტული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა. OGP-ის დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი აფასებს ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და შესრულებას დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობისთვის და ანგარიშგების გასაუმჯობესებლად.

Independent Reporting Mechanism
Open Government Partnership
c/o OpenGovHub
1110 Vermont Ave NW Suite 500
Washington, DC 20005

Open Government Partnership
INDEPENDENT REPORTING MECHANISM